პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№098
(12 168)

28 აპრილი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# ორნი ოქროსთვის

## ამერი და ზესტაფონი საჩემპიონო რბოლას გამოეთიშნენ




გუშინ, გლდანში. ამერი-ზესტაფონი. ტატანაშვილი (ამერი) ანგარიშს ათანაბრებს

ნუგზარ სუარიძის ფოტო

### XXII ტური

| | |
|---|---|
| ბორჯომი-სიონი | 2:0 |
| ტორპედო-კახეთი | 2:1 |
| ამერი-ზესტაფონი | 1:1 |
| დილა-ლოკომოტივი | 1:1 |
| დინამო-მერანი | 3:0 |
| ბათუმი-ოლიმპი | 1:2 |
| ჩიხურა-ვიტ ჯორჯია | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 22 | 17 | 4 | 1 | 52-7 | 55 |
| 2. დინამო | 22 | 17 | 1 | 4 | 47-17 | 52 |
| 3. ამერი | 22 | 14 | 5 | 3 | 43-14 | 47 |
| 4. ზესტაფონი | 22 | 13 | 8 | 1 | 44-10 | 47 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 22 | 12 | 7 | 3 | 39-23 | 43 |
| 6. სიონი | 22 | 11 | 2 | 9 | 26-19 | 35 |
| 7. ტორპედო | 22 | 9 | 4 | 9 | 21-24 | 31 |
| 8. ბორჯომი | 22 | 7 | 6 | 9 | 24-30 | 27 |
| 9. ბათუმი | 22 | 6 | 5 | 11 | 21-26 | 23 |
| 10. ლოკომოტივი | 22 | 5 | 6 | 11 | 14-30 | 21 |
| 11. მერანი | 22 | 4 | 7 | 11 | 15-35 | 19 |
| 12. ჩიხურა | 22 | 4 | 6 | 12 | 12-33 | 18 |
| 13. დილა | 22 | 2 | 4 | 16 | 15-54 | 10 |
| 14. კახეთი | 22 | 0 | 1 | 21 | 18-69 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ს. იაშვილი (დინამო) | 16 |
| ფიფია (ზესტაფონი) | 13 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 8 |
| ს. დავითაშვილი (ამერი) | 8 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 8 |

### XXIII ტური

**5 მაისი. შაბათი. 17:00**

ოლიმპი-დინამო
ჩიხურა-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია-ბათუმი
მერანი-დილა
ლოკომოტივი-ამერი
ზესტაფონი-ტორპედო
კახეთი-სიონი



# ვიტ ჯორჯია ირჩევს ნემსაძეს

კვარაცხელიამ ახალკაცს სანთელი დაუნთო **4-5**

## ვარსკვლავები ვერის ბაღში

# დღეს: ქართული ALL STAR




LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXII ტური

**ამერი-ზესტაფონი**

**1:1**

27.04. თბილისი. ამერი
1000 მაყურებელი

0:1 ვიეირა (6. გ. ჭელიძის პასით), 1:1 ტატანაშვილი (60. დავითაშვილის პასით)

ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი (46. ტატანაშვილი), დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, ჯელაძე, დიდავა, ბოლქვაძე (86. ნიკოლაიშვილი), დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი (78. ჩიმაკაძე)

*სათადარიგოები:* *ნადირაშვილი, ხვადაგიანი, მესხი, გაბისკირია*

ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ლონლაძე (90. ბ. ნოზაძე), სანტოსი, კ. ჩხეტიანი, ნ. კვასხვაძე (65. იონანიძე), გ. ჭელიძე, კესანი, რ. ონიანი, ვიეირა, ფიფია (73. ჟონატასი)

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, ხიდეშელი, დაუშვილი, გ. ჩხეტიანი*

გაფრთხილება: ჩიკვილაძე (61), ს. თოდუა (69)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

# კვლავ თასის იმედად

ორმა გამორჩეულმა ქართულმა კლუბმა ქვეყნის ჩემპიონობის შანსი საბოლოოდ დაკარგა. ამ მატჩში ვერმოგება ქართული ოქროს პერსპექტივას "ამერსაც" და "ზესტაფონსაც" ართმევდა. უკომპრომისო ბრძოლაში სწორედ ის შედეგი დაფიქსირდა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, "ოლიმპსა" და "დინამოს" აძლევდათ ხელს. შარშანდელი სეზონის მსგავსად, გლდანელები და ფეროელები თასის ფინალის იმედად იქნებიან და ევროთასებზე საქართველოს ღირსებას მხოლოდ ერთი მათგანი დაიცავს. თუმცა მაინცაა იმის ალბათობა, რომ ფინალში განცდილი მარცხის შემთხვევაში, "ზესტაფონმა" ინტერტოტოზე თამაშზე თანხმობა განაცხადოს. ამის შესახებ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** თქვა.

ორივე გუნდის სასტარტო შემადგენლობაში თითო გამოკვეთილი ფორვარდი ვიხილეთ. მასპინძლებმა ჩვეულ სქემას იძულებით გადაუხვიეს, ვინაიდან ტრავმების გამო, თამაში **დოლიძემ** და **წინამძღვრიშვილმა** ვერ შეძლეს. **გიორგი ჩიხრაძემ** მოედანზე ხუთკაციანი ნახევარდაცვა გაიყვანა, დაცვიდან შუა ხაზში **გივი დიდავამ** აიწია. თავიდანვე ვთქვათ, რომ ამერელთა ერთადერთმა ძირითადმა თავდამსხმელმა **სულიკო დავითაშვილმა** უდიდესი მოცულობის სამუშაო ჩაატარა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.



ფიფიასა (მარცხნივ) და ჩიკვილაძის ორთაბრძოლა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

სტუმართა რიგებში ბევრი სიახლე არ გვიხილავს. ყურადღების ცენტრში ხშირად ხვდებოდა გაბონელი **პოლ კესანი**, რომელიც თამაშიდან თამაშამდე ყალიბდება თავისი ახალი გუნდის ერთ-ერთ ლიდერად. აქტიური იყო **ვიეირა**, ოღონდ მეორე ტაიმში უკვე ნაკლებად ხვდებოდა ყურადღების ცენტრში. ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა **გოგი ფიფიამაც**, თუმცა ამ სეზონში მას გაცილებით უკეთესი თამაშებიც ჩაუტარებია.

შეხვედრა სწრაფ ტემპში წარიმართა, საკმაოდ შთამბეჭდავი იყო მისი საწყისი ნაწილი. მეტოქეები ელვისებური იერიშებით ცდილობდნენ შეტევაში ხეირის ნახვას.

პირველივე გააზრებულ კომბინაციას გოლი მოჰყვა. "ამერის" საჯარიმომდე ბურთი **ჭელიძემ** აიტანა, მარცხნივ ვიეირას დაუგორა, რომლის დარტყმისგანაც **ქვაჩახიამ** კარი ვერ იხსნა - 0:1.

"ზესტაფონის" უპირატესობა კიდევ რამდენიმე წუთს გაგრძელდა, დასამახსოვრებელი ჭელიძის დარტყმა იყო, რის შემდეგაც მასპინძლები ნელ-ნელა გააქტიურდნენ და მეტოქის კართან ხიფათიც შექმნეს. **ჯელაძის** ჩაწოდებას **დავითაშვილის** არაზუსტი თავური მოჰყვა. ამას გარდა, იყო კიდევ ორი დასამახსოვრებელი ეპიზოდი, ორივე "აბრეზას" მონაწილეობით. ჯერ იყო და სულიკო მეკარესთან პირისპირ გადიოდა და თამაშგარე დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი **სანტოსთან** ორთაბრძოლაში დაეცა, რისთვისაც ამერელები თერთმეტმეტრიანს ითხოვდნენ. პირველი ტაიმის კიდევ ერთი დასამახსოვრებელი მომენტი დიდავას ეფექტური შორეული დარტყმა იყო, რომელიც **ჭანტურიამ** კუთხურზე მოიგერია.

"ამერს" ტემპი არც შესვენების შემდეგ დაუგდია. შეცვლაზე შესული **იონანიძე** აქტიურობდა, მაგრამ "ზესტაფონს" მეტი საგოლე შანსი აღარ მისცემია. სამაგიეროდ, კვლავ დავითაშვილი იყო ყურადღების ცენტრში - მე-60 წუთზე ის საგოლე პასის ავტორად მოგვევლინა. დავითაშვილმა ჯარიმა სწრაფად გაათამაშა, რამაც სტუმართა მცველების ყურადღება მოადუნა, შეცვლაზე შესულ **ტატანაშვილს** გადაწყვეტილების მისაღებად საკმაო დრო ჰქონდა, ბურთი კარგად დაამუშავა და უძლიერესი დარტყმით ხარიხიდან ასხლეტით გაახვია მოწინააღმდეგის კარში. მატჩის შემდეგ ზესტაფონელი ქომაგები მსაჯთა მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, მათი აზრით, ტატანაშვილი თამაშგარეში იყო.

შეხვედრის ბოლო ორი საინტერესო ეპიზოდი **ჩიმაკაძის** მონაწილეობით განვითარდა. ჯერ იყო და "ამერის" ახალგაზრდა ფორვარდმა ახლო მანძილიდან ააცილა, მალე კი **ლონლაძეს** შეეჯახა და ორივემ დასისხლიანებულმა დატოვა ბრძოლის ველი. საფინალო სასტვენიც იქვე გაისმა.

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ ორი გამართული ქართული გუნდიდან ერთ-ერთი უეფას თასზე ვერ იასპარეზებს. ვნახოთ, მოიგებენ მესამე ცდაზე ზესტაფონელები დავით ყიფიანის თასს, თუ ქართულ ჯილდოს ზედიზედ მეორედ გლდანელები დაეუფლებიან. ჩემპიონატს რაც შეეხება, "ამერმაც" და "ზესტაფონმაც" ღირსეულად იასპარეზეს, მიზანს კი ცხრილის ქვედა ნაწილის გუნდებთან დაკარგული ქულების გამო ვერ მიაღწიეს.

## მატჩის შემდეგ

**გიორგი ჩიხრაძე (ამერი):** ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩი გამოვიდა. დანაკლისის მიუხედავად, ურიგოდ არ გვითამაშია. ფრე ამ შეხვედრის კანონზომიერი შედეგია.

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** კარგად დავიწყეთ, მაგრამ 1:0-ის შემდეგ ინიციატივა დავთმეთ, რისთვისაც დავისაჯეთ კიდეც. მეორე ტაიმში "ამერმა" გვაჯობა და დამსახურებულად გაათანაბრა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**დინამო-მერანი**

**3:0**

27.04. თბილისი. მ. მესხი
800 მაყურებელი

1:0 კობახიძე (7. იაშვილის პასით), 2:0 იაშვილი (32. ოდიკაძის პასით), 3:0 ფეიქრიშვილი (81. ხუციშვილის პასით)

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ოდიკაძე (74. ხუციშვილი), დილმელაშვილი, ხმალაძე, მერებაშვილი (70. ხუციშვილი), კობახიძე (80. სპასოევიჩი), იაშვილი.

*სათადარიგოები: ლორია, გ. კაშია, თომაშვილი, ლ. ნოზაძე.*

მერანი: გლუნჩაძე, კედელაშვილი, ჯანგიძე (75. გულიაშვილი), აფშილავა, სარალიძე, ბურჯანაძე, ა. ნოზაძე, ბესარაშვილი, ფურთუხია, ქემაშვილი (46. ზედელაშვილი), დეისაძე (65. კეტაშვილი).

*სათადარიგოები: ლომიძე, ოსიტაშვილი, ჩივაძე, ქორიძე.*

გაფრთხილება: ოდიკაძე (40)

გაძევება: გლუნჩაძე (88), ხუციშვილი (88)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

# რატომ გააძევეს ხუციშვილი?

უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ქომაგებში უკვე დატოვა გარკვეული კვალი. ახალგაზრდული, სწრაფად მოთამაშე და მებრძოლი გუნდი თუნდაც იმითაა დასამახსოვრებელი, რომ ჩემპიონობის ორი ფავორიტს, "ზესტაფონს" და "ვიტ ჯორჯიას" ქულები დააკარგვინა. მერანელთა თავკაცი **ასლან ბალაძე**, მოგეხსენებათ, 17-წლამდელთა შტაბშიცაა და ამჟამად სწორედ მათ ახლავს სლოვენიაში საერთაშორისო ტურნირზე. მის არყოფნაში კი გუნდი "დინამოს" წინააღმდეგ **დავით ეჯიბიშვილმა** მოამზადა. "კერკეტ კაკლად" მიჩნეული "მერანი" გუშინაც შეეცადა მეტოქისთვის ქულების წართმევას, მაგრამ ამჯერად ეს ვერ შეძლო. წყვილში ფავორიტი "დინამო" იყო და **დუშან უჰრინის** გუნდმა დამსახურებულად და დამაჯერებლად მოიგო. მასპინძელთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი დინამოელთა ლიდერებმა შეიტანეს. კვლავ გამორჩეული გახლდათ **სანდრო იაშვილი**, რომელმაც ბურთის გატანის გარდა, საგოლე პასიც მიითვალა. ასევე აღსანიშნავია სლოვაკი მცველის **მიროსლავ კრშკოს** კარგი თამაშიც. ყურადსაღებია კიდევ ერთი მომენტი, "დინამოს" სასტარტოში, მარჯვენა გარემარბად **ფეიქრიშვილის** ნაცვლად **ოდიკაძე** ვიხილეთ.

მატჩის სტარტზევე გამოჩნდა, რომ "დინამოს" სწრაფი გოლით დაწინაურება ჰქონდა ჩაფიქრებული და უჰრინის ბიჭებმა ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანეს. პირველად **კობახიძის** პასით ოდიკაძემ გაისროლა, მაგრამ არაზუსტად. ის-ის იყო სტუმრები ბრჭყალების გამოჩენას შეეცადნენ, რომ **მერებაშვილი-იაშვილი-კობახიძის** კომბინაცია ამ უკანასკნელმა გოლით დააგვირგვინა - 1:0. გოლმა დინამოელები უფრო მეტად გაააქტიურა და რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელებინა. თავის მხრივ სტუმრებიც არ იყვნენ გულხელდაკრეფილნი. ჯერ **ბესარაშვილმა** გაისროლა, მერე **ქემაშვილმა**, მაგრამ უშედეგოდ. 32-ე წუთზე კი ბრიტანულ სტილში შესრულებული გოლი ვიხილეთ – ოდიკაძის ჩაწოდებულზე იაშვილი მეკარეზე მაღლა ახტა და თავურით ეფექტური გოლი გაიტანა – 2:0. აი ამის მერე კი დინამოელები ოდნავ მოეშვნენ, მაგრამ კლასისა და გამოცდილების ხარჯზე მაინც არ უთმობდნენ მეტოქეს არაფერს. ტაიმის მიწურულს იაშვილი კიდევ ერთხელ დაემუქრა სტუმრებს, მაგრამ მის მიერ კარგად შესრულებული ჯარიმა მეკარე **გლუნჩაძემ** აილო.



იაშვილმა კიდევ ერთი თავური გაიტანა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მეორე ნახევარი "მერანმა" უკეთ დაიწყო. საწყის 15 წუთში სტუმრები ტერიტორიულ უპირატესობასაც დაეუფლნენ, მაგრამ მასპინძელთა დაცვა და მეკარე **გრიშიკაშვილი** თავს საიმედოდ იცავდნენ. დინამოელებს აშკარად ეტყობოდათ, რომ 5 მაისს, "ოლიმპთან" მატჩისთვის თავს უფრთხილდებოდნენ, თუმცა ეპიზოდურ შეტევებს მაინც ახორციელებდნენ. ასე მაგალითად 62-ე წუთზე იაშვილს მეკარემ აუღო. ორიოდე წუთში კი მისივე პასით მერებაშვილმა სტუმართა კარის ძელი შეაზანზარა. მერე თამაშმა ისევ დუნე ხასიათი მიიღო, ბოლო 10 წუთში კი დინამოელებმა ერთხელაც მოინდომეს და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს - 81-ე წუთზე **დილმელაშვილის** პასით ფეიქრიშვილმა ხარიხას გაარტყა, ასხლეტილი ბურთი მეკარემ ვერ დაიჭირა, ხუციშვილმა ფეიქრიშვილს დაუგორა და, 3:0.

88-ე წუთზე მომხდარმა და მთავარ არბიტრ **დავით ხარიტონაშვილის** საქციელმა კი თითქმის ყველა გააოგნა. დინამოელთა მორიგი შეტევისას გლუნჩაძემ იმარჯვა პირისპირ გასულ ხუციშვილთან ორთაბრძოლაში, რასაც ხუციშვილის მეკარესთან ინერციით შეჯახება მოჰყვა. თითქოსდა უწყინარი ვითარება იყო, მაგრამ ხუციშვილს გლუნჩაძემ სახეში უთავაზა. დინამოელმა მოითმინა... მაგრამ გლუნჩაძესთან ერთად წითელი ბარათი მან მაინც მიიღო. ყველას ერთი კითხვა გაუჩნდა – რატომ გააძევეს ხუციშვილი? გაძევებული მეკარის ნაცვლად კარში **აფშილავა** ჩადგა, რომელსაც დარჩენილ დროში მხოლოდ ერთხელ მოუწია თამაშში ჩართვა და ისიც მარტივ სიტუაციაში.

## მატჩის შემდეგ

**დავით ეჯიბიშვილი (მერანი):** ამ წყვილში ფავორიტი "დინამო" იყო და დამსახურებულადაც მოიგო. წაგება სამწუხაროა, მაგრამ რას ვიზამთ, "დინამო" შემადგენლობით, კლასითა და გამოცდილებით ჩვენზე უკეთესი გუნდია.

**დუშან უჰრინი (დინამო):** ჩვენ თავიდანვე სიფრთხილითა და ყურადღებით ვიყავით მეტოქის მიმართ. ბოლო 8 მატჩში "მერანმა" მხოლოდ 6 გოლი გაუშვა. ამ გუნდმა ლიდერებს ქულები დააკარგვინა და ჩვენც არ გვქონია იოლი თამაში. სამწუხაროდ, ჩვენი ნაკლი კვლავაც საგოლე მომენტების გამოუყენებლობაა, თორემ დიდი ანგარიშითაც მოვიგებდით.

პირველ ტაიმში უკეთ ვითამაშეთ და ორი გოლიც გავიტანეთ. 2:0-ის შემდეგ დინამოელები უკვე რუსთავის მატჩზე ფიქრობდნენ და ცდილობდნენ ჯანმრთელად და გაფრთხილებათა გარეშე შეხვედროდნენ ამ მატჩს. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის, რომ მეორე ნახევრის საწყის 30 წუთში გუნდმა სათანადოდ ვერ ითამაშა. მართალი გითხრათ, ვერაფრით ავხსენი თუ რის გამო უჩვენა არბიტრმა ხუციშვილს წითელი ბარათი.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსაგებად ტაიმი არ კმარა

**ჩიხურა-ვიტ ჯორჯია**

**0:1**

27.04. გორი. ქართლი
50 მაყურებელი

0:1 სახოკია (53)

ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე, გიგაური, ქემოკლიძე, ქუხილავა, ვაშაკიძე, ბუცხრიკიძე (70. მ. მიქაძე), ზაბახიძე (74. გვეტაძე), მახარაძე, დვალი, გ. მიქაძე

*სათადარიგოები:* მწყერაშვილი, თავბერიძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (90. ადამაძე), მელქაძე, (88. კვალინიძე), ლუჭაშვილი, ბერიაშვილი, სახოკია (80. ინჯგია).

*სათადარიგოები:* ლურბელეიშვილი, კაიშაური, ლიპარტია, კიკნაძე

გაფრთილებები: გ. მიქაძე (87), მახარაძე (89)

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

აუტსაიდერი „ჩიხურა“ ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან მატჩში დასაწყისიდანვე დაეუფლა უპირატესობას და პირველი ტაიმის მიწურულამდე მოახერხა მისი შენარჩუნება. უკვე მესამე წუთზე საჩხერელებმა **დვალის** მოცელვისათვის საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული სახიფათო სტანდარტული ვერ გამოიყენეს. მოვლენებს გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ ამ შეხვედრაში სტუმართა მცველები ერთობ ხისტად თამაშობდნენ. ამ თვალსაზრისით მათი უპირველესი სამიზნე კი ჯაბა დვალი გახლდათ, რომლის შესაჩერებლადაც ჯორჯიელებმა არაერთხელ მიმართეს არაკორექტულ თამაშს. თბილისელებმა ცოტა ხანში საპასუხოდ მწვავე კონტრშეტევა განავითარეს და **სტურუას** თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა დასჭირდა მასთან პირისპირ გასული **ბერიანიძის** შესაჩერებლად.

ტაიმის ბოლომდე საჩხერელებმა კიდევ არაერთხელ შეუტიეს. ისინი უმთავრესად ცენტრიდან უტევდნენ, რამდენჯერმე კი შორი მანძილიდან დარტყმითაც სცადეს მეტოქის კარის აღება. ერთ-ერთი იშვიათი ფლანგური იერიშისას ბურთი კარიდან შვიდიოდ მეტრში მდგარ **მიქაძეს** მიუვიდა, რომელმაც ის ერთი შეხებით დაამუშავა და კარიდან ზურგით მდგარმა ეფექტური დარტყმით ძელი შეაზანზარა. მალევე სტურუას **დათუნაიშვილის** თავური დარტყმის მოგერიებისას კიდევ ერთხელ მოუწია ოსტატობის გამოვლენა. ბოლოს **მელქაძემაც** შეწუხა საჩხერელთა კიპერი, თუმცა ისევ უშედეგოდ.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯია“ უფრო ეფექტურად ათამაშდა. **მუმლაძის** შეგირდებმა მალევე გოლიც მოიმკეს, 53-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული **სახოკიას** მიუვიდა და მანაც მახვილი კუთხიდან იმერლების კარის აღება შეძლო. გოლმა სტუმრებს მეტი სტიმული მისცა. საჩხერელთა ინერტულობის ფონზე „ვიტ ჯორჯია“ იერიშებს სულ უფრო ადვილად ახორციელებდა.

78-ე წუთზე ნომინალურ მასპინძლებს კიდევ ერთხელ გაეპარათ ვიტელთა სახიფათო იერიში, რა დროსაც **ვასილ ლუჭაშვილი** აღმოჩნდა სტურუასთან პირისპირ, მაგრამ ფორვარდის დარტყმული ძელს ოდნავ ასცდა.

**გიორგი ედიშერაშვილი**
გორიდან



რუსთაველებმა ბათუმიდან დაგეგმილი სამი ქულა წამოიღეს

# ბორჯომი ფლეი ოფს ასცდა

**ბორჯომი-სიონი**

**2:0**

27.04. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
700 მაყურებელი

1:0 შ. ჯიქია (71. გრიგალაშვილის პასით), 2:0 გრიგალაშვილი (82. კოშკაძის პასით).

ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ლ. მერებაშვილი, მემარნიშვილი, ლონლაძე, თედიაშვილი, გრიგალაშვილი (80. რ. კვერნაძე), კოშკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი, კაკალაძე.

*სათადარიგოები:* ასაბაშვილი, გოგიჩაიშვილი, ნ. ლომიძე.

სიონი: მამალაძე, კობაური, სვანიძე, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი (80. გიგინეიშვილი), უგრეხელიძე (60. ალავიძე), ბაჯელიძე, კორღალიძე, ბაბუნაშვილი, ქარდავა (55. ბ. ცხადაძე), სანიკიძე.

*სათადარიგოები:* ბობლიაშვილი, ბოიომო, ბუბუტეიშვილი.

გაფრთხილება: კოშკაძე (30), ქარდავა (35), გრიგალაშვილი (42)

გაძევება: სანიკიძე (85)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

ბორჯომელებს სამი ქულაღა უნდოდათ ფლეი ოფის ზონას რომ ასცდენოდნენ და მიაღწიეს კიდეც საწადელს. მასპინძელთაგან განსხვავებით სტუმრები თითქმის უმოტივაციოდ იყვნენ დარჩენილნი - "სიონს" არც ლიგიდან გავარდნა ემუქრება და არც ევროთასებზე გამსვლელი ადგილის დაკავება. მასპინძელთა გამარჯვებაში ლომის წილი **შოთა გრიგალაშვილმა** დაიდო, რომელმაც ბურთიც გაიტანა და საგოლე პასიც მიითვალა.

როგორც გამოჩნდა მატჩის ბედი მწვრთნელთა მიერ განხორციელებულმა შეცვლებმა განაპირობა. **ვოვა ხაჩიძის** მიერ შეცვლაზე შეყვანილმა ფეხბურთელებმა ბორჯომელთა იმედები გაამართლეს, რასაც ვერ ვიტყვით, "სიონის" რეზერვისტები.

შეხვედრა დაბალ ტემპში დაიწყო და ასევე გაგრძელდა. ფეხბურთელები ცდილობდნენ რაც შეიძლებოდა დიდხანს ეკონტროლებინათ ბურთი. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, პირველ ტაიმში საგოლე მომენტი არცერთ კართან არ შექმნილა.

მეორე ნახევარში თამაშმა შედარებით აგრესიული ხასიათი მიიღო. 50-ე წუთზე **უგრეხელიძე-ქარდავას** კომბინაციისას, ქარდავას დარტყმული კარს ასცდა. 66-ე წუთზე **სანიკიძე** შეცდა და **კაიდარაშვილი** დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ **მამალაძემ** იმარჯვა და ბურთი ნახტომში კუთხურზე მოიგერია. მალე მარჯვენა ფრთიდან **კობაურმა** სწრაფი რეიდი განახორციელა, გამოზომილი პასით **ბაჩანა ცხადაძე** გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ამ უკანასკნელს დარტყმა არ გამოუვიდა და ბურთი **შეყრილაძეს** ხელებში მიუვიდა. ამის მერე კი ბორჯომელთა გოლები ვიხილეთ. მასპინძლებმა მარცხენა ფრთიდან სწრაფი შეტევა დაიწყეს. **გრიგალაშვილმა** საჯარიმოში **შოთა ჯიქიას** გაუკეთა ზუსტი გადაცემა. შოთამ არცთუ ძლიერად, მამალაძისგან შორეულ დაბალი კუთხეში გაგზავნა ბურთი - 1:0.

ათიოდე წუთში, ზუსტად იმავე ადგილიდან, გრიგალაშვილმა დაერტყა, საჯარიმოს მარცხნიდან შორეულ კუთხეში, მამალაძემ ვერც ამჯერადაც იხსნა გუნდი - 2:0.

დასამახსოვრებელი კიდევ ის გახლდათ, რომ მატჩის მიწურულს, არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის **სანიკიძე** გააძევეს მოედნიდან.

**კახა გიორგაძე**
ბორჯომიდან

# ოლიმპი ოლიმპისკენ

**ბათუმი-ოლიმპი**

**1:2**

27.04. ბათუმი. ადელი
400 მაყურებელი

0:1 გოცირიძე (8); 0:2ქებაძე (31); 1:2 ნერგაძე (90. მაკარიანის პასით)

დინამო: სომხიშვილი, კუნჭულია, გალოგრე, ლობჟანიძე, მაკარიანი შალამბერიძე, ნერგაძე, ცანავა (57. ტულუში), დარჩიძე, ბეჟანიძე (70. დემურაძე), კერესელიძე (66. ფარტენაძე).

*სათადარიგოები:* ბექთაშევი, ბაციკაძე, რამიშვილი, მახარაძე.

ოლიმპი: მერლანი, გ. ონიანი, მახვილაძე, ჭიჭვეიშვილი, სეთურიძე, გეწაძე (46. დვალიშვილი), ნავალოვსკი (46. ძამსაშვილი), აფციაური, ქებაძე, კახელიშვილი (68. ბერუაშვილი), გოცირიძე.

*სათადარიგოები:* ალავიძე, ჩხარტიშვილი, ხუბუა.

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი.

ბათუმში გამარჯვებით „ოლიმპმა“ ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. რუსთაველები თავიდანვე გეგმავდნენ სამ ქულას და **რევაზ ძოძუაშვილსაც** იმედები არ გაუცრუეს. სანამ მატჩის პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, ერთ სასიხარული ინფორმაციას მოგაწვდით, რომელიც, პირველ რიგში, ალბათ, ფეხბურთის ბათუმელ გულშემატკივრებს გაახარებს.

მიმდინარე ჩემპიონატის მეორე წრიდან ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო არენა დაუნგრიეს და გუნდი მას შემდეგ „ადელზე“ თამაშობს. ამ დღეებში კი ცნობილი გახდა, რომ ბათუმში საბოლოოდ გადაწყდა ახალი სტადიონის აშენება. მართალია, მავანმა ეს მორიგ დაპირებად აღიქვა, თუმცა ინფორმაცია თავად ქალაქის მერმა **ირაკლი თავართქილაძემ** დაადასტურა. კომენტარი ამ ფაქტზე ბათუმის „დინამოს“ ტექნიკურ დირექტორს **თამაზ ცინარიძეს** ვთხოვეთ: *„გადაწყვეტილი ამბავია, ანგისას დასახლებაში ახალი, ევროსტანდარტების სტადიონი აშენდება, რომელზეც უსაფრთხოების ყველა ზომა იქნება დაცული. იგი 12 ათას გულშემატკივარს დაიტევს, თუმცა პროექტი ისეთია, რომ ადგილების დამატება შესაძლებელი იქნება. მშენებლობა მიმდინარე წლის ზაფხულში დაიწყება და 2009 წლისთვის დასრულდება.“*

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ანგისის ტერიტორია საფეხბურთო აკადემიის დასაარსებლად **კახა კალაძეს** ჰქონდა შეგულებული, მაგრამ, ჩანს, საბოლოო შეთანხმება არ შედგა და ამ ადგილზე ბათუმის სტადიონი აშენდება.

დავუბრუნდეთ „დინამო“-„ოლიმპის“ მატჩს, რომელიც სანახაობრივად საკმაოდ უსახური გამოდგა. პირველ ტაიმში მოედანზე ერთი გუნდი თამაშობდა, მართალია, ორი გოლი ვიხილეთ, მაგრამ საერთო სურათის შეცვლა ამანაც ვერ შეძლო.

პირველი გოლი საკმაოდ კურიოზულ სიტუაციაში გავიდა. **სეთურიძემ** აუტი მოაწოდა, ბურთმა ყველას გადაუფრინა და ერთ-ერთი ბათუმელი მცველის წინ დაეცა. სანამ მასპინძელთა დაცვის ხაზი ვითარებაში გარკვევას მოახერხებდა, **გოცირიძემ** იყოჩაღა და **სომხიშვილს** მშვიდად გადაუგდო ბურთი თავზე - 0:1.

მე-18 წუთზე **აფციაურმა** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა **გეწაძე**. მანაც დაარტყა, მაგრამ ამჯერად სომხიშვილი ფხიზლობდა და ბურთის დაუფლება შეძლო. ტერიტორიული უპირატესობა სტუმართა მხარეს იყო. 31-ე წუთზე გეწაძემ კუთხური ჩააწოდა, მცველებმა ცუდად მოიგერიეს, **ქებაძემ** კი, რომელიც მეკარის მოედანთან ახლოს იდგა, შანსი არ გაუშვა და - 0:2.

ერთადერთი მომენტი, რომელიც მასპინძლებმა შექმნეს, ტაიმის მიწურულს ვიხილეთ. **დარჩიძემ** მარჯვენა ფლანგზე **შალამბერიძეს** გაუკეთა ზუსტი გადაცემა, ეს უკანასკნელი საჯარიმოში შევიდა და გამჭოლი გადაცემა გააკეთა, **კერესელიძემ** ბურთი გაატარა, **ბეჟანიძემ** კი დაარტყა, მაგრამ აქ უკვე **მახვილაძემ** ითამაშა თავგანწირვით და ვარდნაში გუნდი გოლს გადაარჩინა.

მეორე ტაიმი ორად-ორი მომენტით დაგვამახსოვრდა. ერთხელ გოცირიძემ ძელს გაარტყა ბურთიო. მეორე მომენტში კი გოლიც გავიდა - **მაკარიანმა** მარცხენა ფლანგიდან **მერლანის** კარიდან დაახლოებით 30 მეტრში მდგარ **ნერგაძეს** გადააწოდა ბურთი, მანაც არ დააყოვნა დარტყმა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!


გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

**დილა-ლოკომოტივი**

**1:1**

27.04. გორი. თ. ბურჯანაძე
1500 მაყურებელი

1:0 გონჩაროვი (36. სულთანიშვილის პასით), 1:1 ჟღენტი (75)

დილა: თევდორაძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, კ.ხანიშვილი, ნოზაძე, სადალაშვილი, ვარდოსანიძე (83. ტლაშაძე), სულთანიშვილი (71. სამადაშვილი), გონჩაროვი (85. ბ. ჩიტაია)

*სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, კობახიძე, კურტანიძე, აბრამიშვილი*

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, გუშარაშვილი, კვახაძე, კუპრეიშვილი (52. ბარბაქაძე), მალიჩავა, ყენია, ალავერდაშვილი, ჟღენტი (83. ებრალიძე), გულორდავა (60. სოსელია), გოჩაშვილი

*სათადარიგოები: მიგინეიშვილი, კირკიტაძე, ბახტაძე, ელიზბარაშვილი*

გაფრთხილებები: სულთანიშვილი (34), ყენია (43), ალავერდაშვილი (54), ბალაშვილი (77), მალიჩავა (77), კ. ხანიშვილი (89)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

# ნამატჩევს მხოლოდ მსაჯებს ახსენებდნენ

ცხრილის ქვედა ნაწილში განთავსებული ორი გუნდის მატჩი „თენგიზ ბურჯანაძეზე", როგორც მოსალოდნელი იყო საკმაოდ საინტერესო და, ამასთან ერთად საგოლე მომენტებით დახუნძლული გამოდგა. მოსალოდნელზე მეტი კი, ალბათ, ამ შეხვედრაში დაძაბულობა იყო, რომელიც განსაკუთრებით შეხვედრის მეორე ნახევარს სდევდა თან.

მასპინძლები შეხვედრის დაწყებამდე იმედოვნებდნენ, რომ რკინიგზელებს სძლევდნენ და შესაბამისად მატჩის შემდგომ უმაღლეს ლიგაში დარჩენის გაზრდილ შანსზე ისაუბრებდნენ, თუმცა ნამატჩევს გორში ადგილობრივი ფეხბურთელი, მწვრთნელი და გულშემატკივარი მხოლოდ მსაჯებს ახსენებდა.

ორივე გუნდმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა. პირველ ნახევარში „დილამ" აჯობა მეტოქეს, მეორეში კი პირიქით „ლოკომოტივი" გამოიყურებოდა უკეთ.

ფეხბურთელები დებიუტიდანვე ენერგიულად შეუდგნენ სასურველი შედეგისათვის ბრძოლას. გორელთა გუნდის ყველა სათამაშო რგოლი თავიდანვე რიგიანად ათამაშდა, განსაკუთრებით კი მათი შუა ხაზი იყო გამორჩეული, რომელთა ნაყოფიერი გარჯის მეოხებითაც მასპინძელთა ხელში აღმოჩნდა სრული ტერიტორიული უპირატესობა. **საბა სულთანიშვილს** ჯერ კიდევ მე-6 წუთზე მართებდა გატანა, როცა თანაგუნდელებმა იგი საჯარიმოში დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს. დარტყმა კარგი აღმოჩნდა, მაგრამ უფრო უკეთ **გვარამაძემ** ითამაშა და საკუთარი კარი იხსნა. „ლოკომოტივს" შესვენებამდე დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნია. ამ გუნდის შემტევი ფეხბურთელები საიმედოდ ჰყავდათ განეიტრალებული „დილის" მცველებს და მათ გოლკიპერსაც საქმე თითქმის არ მისცემია.

რკინიგზელთა დაცვის ხაზი კი გორელთა სწრაფი იერიშების შეჩერებას უმეტესწილ, ხელოვნური თამაშგარის მეშვეობით ცდილობდა. ასეთმა ოფსაიდებმა რამდენიმეჯერ „დილის" ფეხბურთელების უკმაყოფილება გამოიწვია, რაც მეორე ტაიმში უფრო მწვავედაც გამოხატეს შიდაქართლელებმა, თუმცა ამაზე ქვემოთ, მანამდე კი ...

დროის სვლასთან ერთად, გორელების შეტევები სულ უფრო მწვავე ხდებოდა. ანგარიშის გახსნამდეც არაერთხელ შეეძლოთ მასპინძლებს გატანა. კერძოდ, ისევ საბა სულთანიშვილსა და **ბორის გონჩაროვს** ჰქონდათ ასეთი მომენტები. საბოლოოდ საბამ მაინც ვერ გაიტანა, თუმცა გოლში ასისტენტობით დაიდო წვლილი. 36-ე წუთზე სწორედ მან მისცა პასი გონჩაროვს, ამ უკანასკნელის თავური დარტყმა სტუმართა კარის ბადეში გაეხვა. გოლიდან ერთ წუთში ისევ სულთანიშვილს შეექმნა ხელსაყრელი მომენტი გასატანად, მაგრამ პირისპირ გასული ოდნავ შეყოვნდა და წამოწეულმა მცველებმა მომენტი განმუხტეს.

მეორე ნახევარში „ლოკომოტივი" გაორმაგებული ენერგიით დაუბრუნდა მოედანს. მასპინძლებს ცოტა დაღლა დაეტყოთ და ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრიც „შეეპარათ". **გიორგი კიკნაძის** შეგირდები ჯერ „დილის" ნახევარს, შემდგომ კი მათ საჯარიმოს გაუშინაურდნენ. ვიდრე სტუმრები რაიმე ღირებულს შექმნიდნენ 66-ე წუთზე **ვარდოსანიძის** 15 მეტრიდან დარტყმული ასცდა კარს მცირედით. ორ წუთში **გუშარაშვილის** მიერ ახლოდან „ცხრიანში" დარტყმული თავგანწირული ნახტომით მოხსნა **თევდორაძემ**. აქვე გვინდა აღვნიშნოთ „დილისა" და ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერის ბრწყინვალე თამაში ამ მატჩში. „ლოკომოტივი" განაგრძობდა დაწოლას და, როგორც იტყვიან, გოლიც მომწიფდა, რომელიც 75-ე წუთზე **ჟღენტმა** გაიტანა - 1:1.

ბოლო 15 წუთში „დილა" დანაკლისის ანაზღაურებას შეეცადა. გორელთა იერიშებს არბიტრი ხშირად წყვეტდა მეტოქისგან ხელოვნური ოფსაიდის შექმნის მიზეზით და მასპინძელთა პროტესტიც გახშირდა, რასაც მალევე მწვრთნელებისა და გულშემატკივართა მწვავე რეაქციაც დაერთო და მოედანზე მდგომარეობა დაიძაბა. რამდენჯერმე მობურთალნიც წაკინკლავდნენ, რომელთა დასაწყნარებლადაც **ფანიაშვილმა** ყვითელ ბარათებს მიმართა. ერთ მომენტში გორელები პენალტსაც ითხოვდნენ. საფინალო სასტვენამდე ხუთიოდ წუთით ადრე ორივე გუნდს შეეძლო გატანა. ჯერ **ალავერდაშვილმა** გაარტყა ძელს, შემდეგ **ბალიაშვილის** ძლიერად დარტყმულს გადაეფარა მცველი, ხოლო მოწოდებული კუთხურისას რკინიგზელთა კართან შექმნილი არეულობით ვერ ისარგებლეს გორელებმა და საბოლოოდ ანგარიში აღარ შეცვლილა.

მატჩის დასასრულს არბიტრი სტადიონზე შეკრებილმა მაყურებელმა ხმაურით გააცილა, რაც, სხვათა შორის, ამ არენაზე დიდი ხანია აღარ მომხდარა. ვერ გეტყვით ეს ფაქტორი რამდენად სახარბიელოა, მაგრამ ვფიქრობთ, ადგილობრივთათვის ერთი დადებითი მომენტის მაუწყებელი მაინც უნდა იყოს - „დილას" ქომაგი უბრუნდება. ქომაგს კი ის ძველი ემოცია და მოთხოვნილება აქვს - ფრესაც გულისწყვეტა მოაქვს.

მატჩის შემდეგ გიორგი კიკნაძე შეგირდთა მადლობელი იყო, მამუკა ვარდოსანიძემ კი აქცენტი მსაჯობაზე გააკეთა: *"ჩემმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს, მაგრამ მსაჯმა თამაში გააფუჭა, სხვა სახელს ვერ მოვუძებნი იმას, რაც მოედანზე ხდებოდა. ასეთი მსაჯობით ჩვენი ფეხბურთის წინსვლაზე ლაპარაკიც არ შეიძლება."*

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

**ტორპედო-კახეთი**

**2:1**

27.04. ქუთაისი. ცენტრალური
1000 მაყურებელი

1:0 ქუთათელაძე (26. იმედაძის პასით), 1:1 მურველაშვილი (75. ბიძინაშვილის პასით), 2:1 კირკიტაძე (89. ქუთათელაძის პასით)

ტორპედო: ქვილითაია, გურული, ლალაძე, კვერნაძე, ზივზივაძე, კვეტენაძე (46. მდივნიშვილი), ჭედია, ჩხეტიანი, ლონლაძე (64. გორგოძე), იმედაძე (74. კირკიტაძე), ქუთათელაძე

*სათადარიგოები: ოდიშარია, დანელია, კიკვიძე, ხურცილავა*

კახეთი: იაშვილი, გიგაური (46. მ. ხიდაშელი), მურველაშვილი, იოსებაშვილი, გერგიშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი (55. გ. ხიდაშელი), კველიშვილი (74. დავითულიანი), ბიძინაშვილი, ტეტიაშვილი, ძამუკაშვილი

*სათადარიგოები: ქუფარაშვილი, ბურნაძე*

გაფრთხილება: ჭედია (48)

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

# მეშვიდე მატჩი და სამი ქულა

„ტორპედოსა" და „კახეთს" ჩემპიონატში თავიანთი ადგილი გარკვეული აქვთ. ქუთათურები ცხრილის შუაში იმყოფებიან და გავარდნა არ ემუქრებათ, კახელებმა კი უკვე გაიფორმეს ქვედა დივიზიონის საგზური. გუშინდელი მატჩი მხოლოდ იმით იყო საინტერესო, მოახერხებდა თუ არა „ტორპედო" ჩემპიონატში ექვსმატჩიანი წაგებათა სერიის შეწყვეტას, ან შეძლებდა თუა არა „კახეთი" დასუსტებულ რიონისპირელებთან ამ სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვებას.

შეხვედრის პირველმა ნახევარმა დაბალ ტემპში, ორმხრივ შეცდომებში ჩაიარა. პირველად მასპინძლებმა შეამოწმეს კახელთა მეკარის სიფხიზლე: მე-3 წუთზე **კვეტენაძის** პასით ქუთათელაძე ურტყამდა თავით, მაგრამ იაშვილს არ გასჭირვებია ბურთის დაუფლება.

მე-10 წუთზე სტუმრებმა შეუტიეს სახიფათოდ. გერგიშვილის პასს **ძამუკაშვილმა** თავური მიაყოლა, თუმცა მცირედით ააცილა კარს. კახელ მცველებს **გერგიშვილისა** და **მურველაშვილის** მეთაურობით არ უჭირდათ მასპინძელთა შეტევების მოგერიება. ტორპედოელები აუტსაიდერებს ვერაფრით სჯობდნენ, მაგრამ დაწინაურება მაინც მოახერხეს, რაც მთლიანად „ტორპედოს" „ძველი გვარდიელების" დამსახურებაა - **იმედაძემ** ბრწყინვალე პასით **ქუთათელაძე** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და ზვიადსაც არ გასჭირვებია კარის აღება, 1:0.

ტაიმის ბოლოს სტუმრებსაც მიეცათ გატანის შანსი, საჯარიმოსთან ახლოს **კვერნაძეს** ფეხი დაუცდა და ბურთი მეტოქეს ჩააბარა, თუმცა კახელებმა საჩუქარი ვერ შეირგეს, შეტევა გააჭიანურეს და **ტეტიაშვილსაც** მცველებმა დარტყმის საშუალება აღარ მისცეს.

მეორე ტაიმი გაცილებით საინტერესო გამოდგა. ტემპმაც იმატა და სახიფათო მომენტების რაოდენობამაც. 55-ე წუთზე **არუდაშვილმა** მოედანზე **გიორგი ხიდაშელი** გამოიყვანა, რომელმაც თელაველთა შეტევებს სიმწვავე შემატა. სხვათა შორის, გრძელი, შავი თმების გამო იგი ქუთაისელმა გულშემატკივრებმა ერთ-ერთი ტელესერიალის გმირს სალვადორს მიამსგავსეს და ხიდაშელის მისამართით ამ სახელს სკანდირებდნენ. 57-ე წუთზე გიორგის უძლიერესი დარტყმა **ქვილითაიამ** გაჭირვებით მოიგერია, შემდეგ ეპიზოდში კი რამდენიმე მცველს შორის დატრიალდა, ბურთიც გაისწორა, მაგრამ ბოლო მომენტში არ დაარტყმევინეს.

70-ე წუთზე ქუთათელაძის პასის შემდეგ იმედაძე ორ მეტოქეს გასცდა, მაგრამ მეკარეს ვერ აჯობა. ცოტა ხნის შემდეგ **იაშვილმა ჭედიას** დარტყმაც მოიგერია. მერე კახელების ჯერიც დადგა. 71-ე და 72-ე წუთებზე ქვილითაიამ გიორგი ხიდაშელის დარტყმები მოიგერია, 74-ე წუთზე კი ძამუკაშვილის თავური დარტმა მცველს მოხვდა და კარს მცირედით ასცდა. საბოლოოდ კახელებმა მაინც გაიტანეს გოლი. **ბიძინაშვილის** მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულს საჯარიმოში **მურველაშვილი** დაუხვდა და ძლიერი დარტყმით დალაშქრა ქვილიათაიას კარი. ანგარიშის გათანაბრებამ კახელები იმტაზე მოიყვანა, რამდენიმე ხნით ისინი უპირატესობასაც დაეუფლნენ, მაგრამ ბოლოს ინიციატივა დათმეს და გამარჯვებას ვინ დაეძებს, ანგარიშის შენარჩუნებაც ვეღარ მოახერხეს. 89-ე წუთზე ჭედია მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, გზად სამი მეტოქე ჩამოიცილა და ქუთათელაძეს დაუტოვა ბურთი. მან კი მცველებისგან უყურადღებოდ მიტოვებული **კირკიტაძე** მოძებნა, რომელმაც ათიოდე მეტრიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა - 2:1... გოლისას ისე ჩანდა, თითქოს ჭედიამ ქუთათელაძეს ხელით დაუგდო ბურთი, თუმცა ვიდეოფირის ნახვის გარეშე რაიმეს მტკიცება ძნელია. ფაქტი კი ის არის, რომ ექვსმატჩიანი წარუმატებელი სერიის შემდეგ „ტორპედომ" სამი ქულა მოიპოვა და საბოლოოდ აიცილა თავიდან გადათამაშებაში მოხვედრის „პერსპექტივა".

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან



გურამ რუხაძე

არჩევნებამდე

# გურამ რუხაძე: ნემსაძე ღირსეული კანდიდატია!

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ოფიციალურად დარეგისტრირდა პრეზიდენტობის კანდიდატი **გიორგი ნემსაძე**. ის საფეხბურთო კლუბმა თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" წარადგინა.

საარჩევნო ბატალიები რთული და დაუნდობელია. ოპოზიციური კანდიდატურის მხარდაჭერას ყველა ვერ რისკავს და სუბიექტები ღიად პოზიციის დაფიქსირებასაც ერიდებიან.

თუმცა ახლა ვითარება შეიცვალა - გიორგი ნემსაძე და მისი მომხრეები გამარჯვებაში დარწმუნებულები არიან და პოზიციის დამალვას არ აპირებენ. "ვიტ ჯორჯიის" პრეზიდენტ **გურამ რუხაძეს** კომენტარი ვთხოვეთ, რა მიზეზით დაუჭირა მხარი ოპოზიციონერ კანდიდატს: *"ჯერ ერთი, გიორგი ნემსაძე არის ღირსეული პიროვნება და მის კანდიდატურას მხარს ამის გამო ვუჭერთ. ამასთანავე, გიორგიმ წარმოადგინა ის მიმართულებები, რომელთაგან, ჩვენი აზრით, სამი უმნიშვნელოვანესია.*

*პირველი: საქართველოს ჩემპიონატის დონის გაზრდა, რაშიც დიდ როლს შეასრულებს ინვესტიციების მოზიდვა. მე დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი საამისოდ მართლა ყველაფერს გააკეთებს და რაც მთავარია, ინვესტიციების მოზიდვა რეალურად შეუძლია.*

*მეორე პუნქტად ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე გაცნობილ მოსაზრებებს გამოვყოფდი. მას დღეს არსებული მდგომარეობის გამოსწორება სურს და საამისოდ გონივრული ნაბიჯების გადადგმას გეგმავს. ვიმედოვნებ, რომ გეგმაზომიერი მუშაობით გიორგის ვითარების გამოსწორება შეუძლია. მე, როგორც კლუბის მეპატრონე, ამით დაინტერესებული ვარ, რადგან ზოგადად დღევანდელი მდგომარეობა არ მაკმაყოფილებს.*

*მესამე - სწორი მუშაობით ეროვნული ნაკრების შედეგების გაუმჯობესება შესაძლებელია, რადგან ქართულ ფეხბურთს პოტენციალი გააჩნია. ეს კი უკეთესი სელექციით არის შესაძლებელი და პროგრესიც გამოჩნდება. არის სხვა მიმართულებებიც, რომლებიც გვაერთიანებს, მაგრამ ჩემ მიერ ჩამოთვლილი პუნქტები უმთავრესად მიმაჩნია".*

**მერაბ მამულაშვილი**



გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნებამდე

## მამუკა კვარაცხელია: გაბაშვილი ახალკაცს ეხმარება, ეს არ არის სახელმწიფოს ჩარევა?

გუშინ, საბილიარდო "12 სკამში" ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველმა **მამუკა კვარაცხელიამ** პრესკონფერენცია გამართა და პლაკატი გამოაკრა - "ახალკაცის პრეზიდენტობის დასრულებამდე დარჩა 16 დღე".

- ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. გამოჩნდა პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატი, ნაკრების ყოფილი კაპიტანი გიორგი ნემსაძე. მან კარიერის ბოლოს თავისი მხრებით ათრია საქართველოს ნაკრები და ბოლოს, თბილისის "დინამო". იგი ერთ-ერთია, ვინც უცხოეთიდან მშობლიურ კლუბში დაბრუნდა და აქვე დაასრულა კარიერა.

არჩევნები ბინძური საქმეა, მაგრამ ახლა ეს უფრო მკაფიოდ გამოჩნდა. ვინც ჩუმ-ჩუმად მხარს მიჭერდა, ახლა დადუმდა. დიოგენე კასრში იჯდა, შანდლით დადიოდა და ამბობდა, ადამიანებს ვეძებო. მე კი ქართულ ფეხბურთში კაცებს ვეძებ. თუმცა ახალკაცის მხარდამჭერებსაც პატივს ვცემ. სხვათა შორის, მეეჭვება, რომ მას, რეალურად, 12 მხარდამჭერი ჰყავდეს. ალბათ, ეს რაოდენობა 9-მდე შემცირდება, ძირითადი ბრძოლა კი ჩემსა და ნემსაძეს შორის წარიმართება.

**- ოფიციალურად კანდიდატურას როდის დაარეგისტრირებთ?**

- 30 აპრილს ან 1 მაისს.

**- გურიაში დატრიალებულ მოვლენებზე რა კომენტარს გააკეთებდით?**

- გურიის ფედერაციის პრეზიდენტი დურმიშხან ჩხაიძე გამოცდილი კაცია და გამორიცხულია, ყრილობის ჩატარებაზე დელეგატები არ გაეფრთხილებინა. გურიის ხმის დაბლოკვა ცუდ რეზონანს გამოიწვევს, რადგან ყველამ იცის - ნებისმიერ შემთხვევაში, გურულები ნემსაძეს მიემხრობიან. ამ მხარეში ფეხბურთის განვითარებისთვის ფედერაციამ ვერაფერი ვერ გააკეთა და მათი პოზიცია ლოგიკურია.

**- ფედერაციის ალმასკომის წევრმა, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა თქვა, რომ გურიის ფედერაციისთვის ხმის უფლების შეჩერებას მივემხრობიო.**

- როდესაც სახელმწიფო სტრუქტურების ჩარევაზეა საუბარი, ეს განცხადება საყურადღებოა. გადაწყვეტილებას ალმასკომი იღებს და ასეთი განცხადებები მინისტრისგან გაუგებარია.

**- სახელმწიფო სტრუქტურებიდან გიორგი ნემსაძესაც უჭერენ მხარს, მაგალითად, გიორგობიანი.**

- გიორგი გაბაშვილი ახალკაცს მხარდაჭერას სახალხოდ უცხადებს. მისგან განსხვავებით, გიორგობიანი ასეთ განცხადებებს არ აკეთებს. ვფიქრობ, განსხვავება არსებობს. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებიდან მხოლოდ ახალკაცის მხარდაჭერა დაფიქსირდა.

**- თქვენი აზრით, სახელმწიფოს პოზიცია რაიმეს გადაწყვეტს?**

- რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი პოზიციაა. გაბაშვილის გარდა, ახალკაცს ირიბი მხარდაჭერა თბილისის მერმაც დაუდასტურა, როდესაც ფედერაციასთან მემორანდუმი გააფორმა.

**- ანუ, ახალკაცს პრეზიდენტობა გარანტირებული აქვს?**

- როგორ გეკადრებათ, ის არჩევნებს აუცილებლად წააგებს.

**- რეალურად რომ ვთქვათ, მოქმედ პრეზიდენტს არჩევნების მოსაგებად ბერკეტები გააჩნია და ხომ არ გიჯობთ ნემსაძესთან გაერთიანება?**

- ბერკეტები აქვს? მე მიხარია, ამას ჟურნალისტები რომ ამჩნევთ. დიახ, ახალკაცი სწორედ ბერკეტებით ცდილობს პოსტის შენარჩუნებას. ამიტომაც ვეძებ კაცებს, რომლებიც გვერდში დამიდგებიან და ამ ბერკეტების არ შეეშინდებათ.

**- ნემსაძესთან თანამშრომლობას გამორიცხავთ?**

- როგორ გამოვრიცხავ, როცა ის ჩემი მეგობარია. მან საქართველოს სახელით მოედანზე ბევრი ოფლი დაღვარა და შოტლანდიიდან საქართველოში, მშობლიურ "დინამოში" დაბრუნება არ ითაკილა. ასეთ ადამიანთან თანამშრომლობა სასურველიც არის. პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, დანიის ნაკრებთან მას საზეიმო გაცილებას მოვუწყობ და მაღალ თანამდებობას შევთავაზებ.

**- ნემსაძეც ანალოგიურად მოგექცევათ?**

- არ ვიცი, გიორგისთან საარჩევნო თემებზე ჯერ არ მისაუბრია.

**- ყველა ახალი პრეზიდენტი ფედერაციის გერბს ცვლიდა და ახალ ბაზას აშენებდა. არჩევის შემთხვევაში თქვენც იმავეს აპირებთ?**

- გერბიც იგივე დარჩება და ბაზაც. ახლის აშენებაზე ფიქრს, აჯობებს ის გაიგოთ, "ბასას" კეთილმოწყობისთვის განკუთვნილი მილიონი დოლარი რაში დაიხარჯა? ამ თანხით უნდა აშენებულიყო სამიათასიანი ტრიბუნა, დაეგოთ ხელოვნური და ბუნებრივი მოედანი.

**- ახალკაცმა "ბასა" გამდინარე გრუნტის წყლების გამო დაიწუნა და ახალი ბაზის მშენებლობა საგურამოში დაიწყო.**

- ეს ზღაპრებია. სხვათა შორის, საინტერესო ამბავი მოიძია მსაჯმა ალეკო წერთელმა და ეს საჯაროდ თქვა, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ისედაც უზარმაზარი თანხები მიიღო, მაგრამ ამასაც არ დასჯერდა და დამატებით 600 ათასი ლარის სესხი 24 პროცენტით გამოიტანაო.

საბანკო სისტემის ღრმა ცოდნა არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ეს მეტისმეტად გაბერილი პროცენტია. ამის შემდეგ წერეთელს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ხელმძღვანელი ამირან კაჭახიძე ურეკავს და ემუქრება. ასეთი ბინძური ხერხებით ცდილობენ სიმართლის მიჩქმალვას.

**ალეკო წერეთელი:** - ტელეფონზე კაჭახიძის კაბინეტის ნომერი დაფიქსირდა. პირველად დამემუქრა და ახსნა დამიწყო, შენ თუ იცი, ვინ ვარ მეო? ტელეფონი გავთიშე, შემდეგ მეორედაც დამირეკა და ისეთი სიტყვებს ხმარობდა, გამეორება არ შემიძლია. ეს 25 აპრილს მოხდა.

კაჭახიძე რეგიონალლიგაში მსაჯობის აკრძალვითაც დამემუქრა. ესაა მათი ბერკეტები, არასასურველ ადამიანებს გზიდან იშორებენ. თუმცა სიმართლე არ დაიმალება და ხალხი ყველაფერს გაიგებს.

**მერაბ მამულაშვილი**




მამუკა კვარაცხელია

17-წლამდელთა ნაკრები

## ავსტრიაში სერბებს ვეთამაშებით

**საქართველო-იტალია 0:2**

0:1 მაჩედა (7), 0:2 დესტრა (14).

საქართველო: ნიორაძე, რიგვავა, ახალბედაშვილი, გუგუჩია, ძალამიძე, შეყილაძე, ფილია, მირცხულავა, ჭანკვეტაძე, მელიქიშვილი, მამულაძე.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ვაშაკიძე, გორდეზიანი, ქარდავა.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა სლოვენიაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე პირველი მარცხი განიცადა. ჯგუფში ორი მოგების შემდეგ **ჰერბერტ ცანკერის** გუნდმა დასკვნითი ტურის მატჩი, რომელიც ჯგუფში პირველობის ბედს წყვეტდა, იტალიასთან დათმო. **მაჩედასა** და **დესტრას** გოლებს ქართველებმა ვერაფრით უპასუხეს. შესაბამისად ჯგუფში პირველი ადგილი აპენინელებს დარჩათ. ტურნირზე ასპარეზობას კი ორივე გუნდი განაგრძობს, რაკილა ორივე მათგანს წინა თამაშები მოგებული ჰქონდა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ცანკერის გუნდი სლოვენიიდან ავსტრიას გაემგზავრა, სადაც დღეს ნახევარფინალურ მატჩს ჩაატარებს. ჩვენი ჭაბუკები კოშტას მოტენში სერბეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

## კობიაშვილმა და შალკემ მდგომარეობა გაირთულეს

**ლევან კობიაშვილს** და მის "შალკეს" რთულად აქვთ საქმე, კლუბს ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა გაუმრუდდა, ხოლო თავად ფეხბურთელს კიდევ ერთხელ ანიშნეს, რომ სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელად ამ ეტაპზე არ განიხილავენ. წუხელ "შალკე" "ბოხუმს" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. ლევან კობიაშვილის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში კვლავ **იოზილი** გახლდათ. ლევანმა 62-ე წუთზე **რაფინია** შეცვალა. თუკი, ხვალ "ვერდერი" სტუმრად "არმინიას" დაამარცხებს, "შალკეს" გაუსწრებს და 63 ქულით გალიდერდება. სხვათა შორის, ლევანი "შპორტალმა" გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებით, 3 ბალით დააჯილდოვა.

### ფრე ლომაიას დაბრალდა

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ჩვენთვის მეტად საინტერესო ტური გაიმართა - ლიგაში დასარჩენად მებრძოლი იენის "კარლ ცაისი" "დუისბურგს" მასპინძლობდა, რომელიც ბუნდესლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ქართველთა "ფრაიბურგის" უშუალო კონკურენტია. მასპინძელთა რიგებში მხოლოდ **გიორგი ლომაია** თამაშობდა, **მიხეილ აშვეთია** კვლავ ტრავმირებულია. თავიდან ყველაფერი საჩვენოდ დაიწყო. მატჩის მეორე წუთზე ლომაიამ ძალზე უსიამოვნო რიკოშეტი მოიგერია და ამის შემდეგ სულ "კარლ ცაისი" უტევდა, მე-40 წუთისთვის იენელები 3:0-ს იგებდნენ. მეორე ტაიმში კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. 47-ე წუთზე ლომაია გამოსვლაზე შეცდა, ამ შემთხვევაში მასპინძლები გადარჩნენ, თუმცა... 69-ე წუთზე ქართველმა 22 მეტრიდან გაუშვა საჯარიმო დარტყმა, შემდეგ კი ჩვენმა თანამემამულემ ორ წუთში (83-ე და 85-ე წუთებზე) ორი გოლი გაუშვა - 3:3. "შპორტალმა" მატჩის ანტიგმირად ლომაია გამოიყვანა, მას მასპინძელთა შორის უარესი, 4,5 შეფასება დაუწერეს. ამავე ტურში **დავით სირაძის** ახლანდელი და მომავალი კლუბები გაეჯიბრნენ, "პადერბორნმა" 1:0 დაამარცხა "აუე". დავით სირაძეს არ უთამაშია მომავალი გუნდის წინააღმდეგ. "კარლ ცაისს" 33 ქულა აქვს და ტურის დასრულებამდე მეცამეტე ადგილზეა.



ეს წუთია ლომაია 25 მეტრიდან დარტყმული გაუშვა

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სკანდალის წარსული და დღევანდელობა

## ლანჩხუთური ვერსია: ძამა, ეს რა წესია?!

### საარჩევნოდ ხმაწართმეული გურულები სატელეფონო ჩანაწერებს ამოიღებენ

გურიაში სახელისუფლებო და საფეხბურთო განხეთქილებაა - მიზეზი ფეხბურთი და 13 მაისის სფფ-ის საპრეზიდენტო არჩევნებია. ლანჩხუთისა და ოზურგეთის დავა გასულ სამშაბათს გამართული ვისთვის კანონიერი და ვისთვის უკანონო გრფფ-ის ყრილობით არ დაწყებულა.

ფეხბურთი საქართველოში დიდი პოლიტიკაა და მით უმეტეს, საფეხბურთო გურიაში. მაგალითად, ლანჩხუთელებისთვის „გურია" კლუბზე, ხოლო ფეხბურთი სპორტზე მეტია - ეს კარგად იცის ყველა ხელისუფლებამ და ყველა არჩევნების წინ, „საარჩევნო პროგრამაში" „გურიაც" შედის. ასევეა ოზურგეთშიც - ქვეყნის ყველაზე მაჩანჩალა რეგიონის მთავარ ქალაქში თამაშზე 7-10 ათასი ქომაგი რომ მოვა, ეს ბევრის მანიშნებელია. გურული დერბი კი, ალბათ, საქართველოში ყველაზე დაუნდობელია. ლანჩხუთურ-ოზურგეთული ჯახის ისტორია ჯერ კიდევ ათეული წლების წინ დაიწყო, როცა საქართველოს პირველობაზე მოასპარეზე ამ გუნდების უპირველესი მიზანი იყო ერთმანეთისთვის ეჯობნათ. 16-გუნდა ჩემპიონატში „გურიის" დევიზი იყო, გავიდეთ მე-15 ადგილზე და გავვარდეთ, ოღონდ „მერცხალი" იყოს მე-16. ოზურგეთში კი პირიქით ფიქრობდნენ. მათი დავის საგანი ერთ დროს სახელიც გახლდათ, თუმცა კონკრეტულ სეზონში ლანჩხუთელებმა უკეთ იასპარეზეს და „გურიაც" დაირქვეს. გურული დერბებიდან ალსანიშნავია პირველი ჩემპიონატის მატჩი ოზურგეთში - „გურია" მოგებით საჩემპიონო შანსს ხელიდან ალარ გაუშვებდა, მაგრამ კუდმაკრატელებმა თანაკუთხელებს წარსული გაუხსენეს და კუდით ქვა ასროლინეს - 5:2 და „გურიამ" ჩემპიონობა ოზურგეთში დატოვა. შემდეგ „რევანშის" დღეც დადგა და უკვე „გურიამ"გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ ოზურგეთელები ლიგიდან გაეგდო და სულ რომ არაფერში სჭირდებოდა, 8:2 მოუგო. ცალკე თემაა, თუ რა ხდებოდა სტადიონებზე - გურულ დერბიზე რეგიონის მილიცია-პოლიცია მუდამ „საგანგებო რეჟიმში" მუშაობს.

10 წელია, საფეხბურთო მოედნიდან დავა კაბინეტებში გადავიდა. ჯერ კიდევ ახალშექმნილი იყო გურიის რეგიონული ფედერაცია, როცა ოზურგეთმა მისი ოფისის მთავარ ქალაქში გადატანა მოითხოვა. მაშინ ლანჩხუთმა არ დათმო და **მერაბ ჟორდანიას** მხარდაჭერით **გულსუნდა დუნდუას** ორგანიზაცია ლანჩხუთში დარჩა. 1998 წელს, როგორც ამბობენ, მერაბ ჟორდანიას 2 ათეულზე მეტი ხმა სწორედ დუნდუამ მოუტანა, ამიტომაც ოზურგეთს ალარ გაუბრძოლია. 2002 წლის არჩევნების წინ კი ოზურგეთმა ისევ მოითხოვა გრფფ-ის მთავარ ქალაქში გადატანა. დღევანდელივით მათ მხარს მაშინდელი გუბერნატორი უჭერდა, თუმცა კვლავ შეუვალი იყო ლანჩხუთური ფესვების მქონე ჟორდანია. *„ლანჩხუთი გურიის კი არა, საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საფეხბურთო ცენტრია და გრფფ ლანჩხუთში დარჩება. რეგიონული ფედერაციების ცენტრებს სახელმწიფო მოწყობის მიხედვით კი არა, საფეხბურთო ტრადიციებით ვარჩევთ. ამ მხრივ კი ლანჩხუთი ერთ-ერთი მოწინავეა ქვეყანაში"* - ამ სიტყვების შემდეგ სფფ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა კარგად იცოდა, რომ ოზურგეთის ხმას დაკარგავდა. სამაგიეროდ, **დურმიშხან ჩხაიძე** ხმის მისაცემად ექიმებს საავადმყოფოდან გაეპარა.

ახლაც გრფფ-ის ყრილობა ოზურგეთმა გააპროტესტა. ისინი ვაბანკზე წავიდნენ და არც გაემტყუნებათ - ნოდარ ახალკაცის გამარჯვების შემთხვევაში, დიდი შანსია, რომ გრფფ-ზე კონტროლი მიიღონ. თუმცა საქმე ასე მარტივად არ არის, რადგან რეგიონში 13 ხმისმიმცემი სუბიექტიდან 7 ლანჩხუთს ეკუთვნის, 4 ოზურგეთს და 2 ჩოხატაურს.

გადამწყვეტი ლანჩხუთის ხმებია. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩოხატაურის 2 ხმაც ლანჩხუთელთა მხარესაა. ამიტომაც ისინი ხმის წართმევას იოლად არ შეეგუებიან და გააპროტესტებენ. ლანჩხუთი რამდენიმე კითხვაზე ითხოვს პასუხს: როგორ აღმოჩნდა 13 სუბიექტში ოზურგეთელი სუბიექტები (დურმიშხან ჩხაიძე ამბობს, რომ მონაცემები „გაუფრთხილებელმა" გენმდივანმა სოსო გაგუამ მისცა); როგორ აღმოჩნდნენ ოზურგეთელი სუბიექტები გრფფ-ის ყრილობაზე (რომელიც პროტესტის ნიშნად დატოვეს); როგორ აღმოჩნდნენ „შემთხვევით" სფფ-ის წარმომადგენლები იმავე ყრილობაზე; რაში სჭირდებოდა ლანჩხუთს გაყალბება და წესდების დარღვევა, როცა 13-დან 7 ხმა ყველაფერს წყვეტდა.

ამ კითხვებზე პასუხის გარდა, ლანჩხუთი სატელეფონო საუბრების ჩანაწერის ამოღებას აპირებს, რომლითაც დადასტურდება, რომ სუბიექტები გაფრთხილებულები იყვნენ. მათ ძალიან უკვირთ სფფ-ის წარმომადგენლების განცხადება, რომ ეს ყოველივე გიორგი ნემსაძის მხარდაჭერასთან არაა კავშირში. თუკი სფფ გრფფ-ს არ ენდობა, რატომ ენდობა სიტყვაზე უმცირესობაში მყოფ და ოთხი არაფრის გადამწყვეტ ხმის მქონე ოზურგეთს?

**მამუკა ქანთარია**
**ლანჩხუთიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXXIV ტურის წინ

# რომა vs ლაციო: შურისძიების დერბი

## ტოტის მონაწილეობა საეჭვოა, იბრაჰიმოვიჩმა სეზონი დაასრულა...



ზლატან იბრაჰიმოვიჩი ამ სეზონში ველარ ითამაშებს

**დღეს**

ტორინო-მილანი
ფიორენტინა-კიევო

**ხვალ**

ასკოლი-რეჯინა
ლივორნო-პალერმო
მესინა-ატალანტა
პარმა-კალიარი
რომა-ლაციო
სიენა-სამპდორია
უდინეზე-კატანია
ინტერი-ემპოლი

სერია A-ს 34-ე ტურს დღეს „ტორინო"-„მილანის" შეხვედრა გახსნის. „მილანმა" ჩემპიონატში ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო, მეხუთეადგილოსან „ემპოლის" 6 ქულით გაასწრო და მეოთხე ადგილი პრაქტიკულად გაინაღდა კიდეც. ამიტომ გუნდს ახლა მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგისკენ აქვს გადატანილი. სამშაბათს პირველ ნახევარფინალში „როსონერიმ" „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედთან" 2:3 წააგო და საპასუხო შეხვედრისთვის, რომელიც ოთხშაბათს გაიმართება, გუნდს ძალების მაქსიმალური მობილიზება სჭირდება. ამიტომ მოსალოდნელია, რომ დღეს **კარლო ანჩელოტი** ბევრ წამყვან ფეხბურთელს დაასვენებს. მოედანზე არ იქნება დაცვის „ჩემპიონთალიგური" ოთხეული **ოდო-ნესტა-მალდინი-იანკულოვსკი**. **კალაძე** დისკვალიფიცირებულია, ამიტომ დაცვის ცენტრში **ბონერა-შიმიჩის** წყვილს ვიხილავთ, ფლანგებზე კი **კაფუსა** და **ფავალის**. მალდინიმ მანჩესტერში ტრავმა მიიღო და რეაბილიტაციის კურსს გადის, თუმცა ირწმუნება, რომ „მანჩესტერთან" აუცილებლად ითამაშებს. ანალოგიურ სიტუაციაშია **ჯენარო გატუზოც**, რომელიც დაზიანებულ კოჭს იმუშებს. მის მაგივრობას **ბროკი** გასწევს. **კაკას** ადგილს **ზეედორფი** დაიკავებს, შეტევაში კი **რონალდო** და **ჯილარდინო** ითამაშებენ. ბოლო სამ ტურში „ტორინომ" მხოლოდ ერთი ქულის აღება შეძლო და გასავარდნ ზონას ორი ქულა აშორებს. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული **ბარონე** და დაშავებული **პანკარო** დააკლდებათ.

დღესვე, მოგვიანებით, „ფიორენტინა" „კიევოს" უმასპინძლებს. გასულ ტურში ფლორენციელებმა სტუმრად „ლაციოს" მოუგეს (1:0) და უეფას საგზურისთვის ბრძოლაში ჩაებნენ. დისკვალიფიკაციის გამო „ვიოლას" დღეს **ლუკა ტონი** დააკლდება. ვერონულმა გუნდმა ბოლოს შინ „ლივორნო" დაამარცხა, მაგრამ კიდევ ბევრი წვალება ელის სერიაში ადგილის შესანარჩუნებლად.

„ინტერი" უკვე ჩემპიონია და დარჩენილ თამაშებში **რობერტო მანჩინის** მთავარი პრობლემა ფეხბურთელების მოტივირება იქნება. გუნდს ტონუსში ყოფნა მაინც სჭირდება, რადგან 9 მაისს იტალიის თასის პირველ ფინალში „რომას" სტუმრობს. გასულ კვირას „ნერაძური" სიენაში ჩემპიონი გახდა და ოთხი დღე ზეიმსა და დასვენებას მოანდომა. გუნდმა ვარჯიში ხუთშაბათს განაახლა. ხვალ ჩემპიონები შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებენ: **იბრაჰიმოვიჩს** ბოლო დროს ბარძაყის კუნთზე პრობლემები ჰქონდა. საექიმო შტაბის გადაწყვეტილებით, შვედი ამ დღეებში ოპერაციას გაიკეთებს. ასე რომ, ზლატანისთვის სეზონი უკვე დასრულდა. „ემპოლისთან" არ იქნებიან ასევე დაშავებული **ვიეირა, მაიკონი, ბურდისო, კრესპო** და დისკვალიფიცირებული **ადრიანო**. შეტევაში **კრუსი** და **რეკობა** ითამაშებენ, დაცვის ცენტრში კი **მატერაცის** მეწყვილე ახალგაზრდა **ანდრეოლი** იქნება. მილანელებისგან განსხვავებით, ქულები ჰაერივით სჭირდება „ემპოლის", რომელიც მეხუთე ადგილზეა და ისტორიაში პირველად ეძლევა შანსი, რომ ევროტურნირებში ითამაშოს.

ტურის ცენტრალური შეხვედრა რომაული დერბია. სატურნირო თვალსაზრისით ეს შეხვედრა ბევრს არაფერს წყვეტს, მაგრამ დედაქალაქელ ტიფოზებში მოლოდინი მაინც ძალიან დიდია. განსაკუთრებულად ფორმალური მასპინძელი „რომა" ემზადება. „ჯალოროსიმ" პირველი წრის დერბი სამარცხვინო ანგარიშით 0:3 წააგო და ახლა შურისძიებას აპირებს. გამარჯვების შემთხვევაში, „რომა" მეორე ადგილს არითმეტიკულად ინაღდებს, მაგრამ გუნდის მთავარი პრობლემა **ფრანჩესკო ტოტის** ჯანმრთელობაა. კაპიტანმა პარასკევსაც ვერ შეძლო გუნდთან ერთად ვარჯიში და მხოლოდ ტრენაჟორებითა და ფიზიოთერაპიით შემოიფარგლა. კლუბის ექიმები ტოტის მონაწილეობის შანსს გუშინ 50 პროცენტით აფასებდნენ. თუ კაპიტანმა მოედანზე გასვლა ვერ შეძლო, მის ადგილს **ვუჩინიჩი** დაიკავებს. დაცვაში „რომას" გამოჯანმრთელებული **ტონეტო** დაუბრუნდა, რომელიც დისკვალიფიცირებულ **კასეტის** შეცვლის. თანაქალაქელებისგან განსხვავებით, „ლაციოს" ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს, მაგრამ სათამაშო პრობლემები ბოლო დროს საკმაოდ დაუგროვდა. ზედიზედ რვა შეხვედრის მოგების შემდეგ **დელიო როსის** გუნდი მეორე ადგილსაც კი უმიზნებდა, მაგრამ ბოლო სამ ტურში ჯერ ორი ფრე ითამაშა აუტსაიდერებთან, კვირას კი შინ „ფიორენტინასთან" წააგო.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 33 | 26 | 6 | 1 | 68-29 | 84 |
| 2. რომა | 33 | 20 | 8 | 5 | 66-26 | 68 |
| 3. ლაციო | 33 | 17 | 9 | 7 | 54-27 | 57 |
| 4. მილანი | 33 | 18 | 10 | 5 | 53-30 | 56 |
| 5. ემპოლი | 33 | 13 | 11 | 9 | 35-31 | 50 |
| 6. პალერმო | 33 | 13 | 10 | 10 | 49-43 | 49 |
| 7. ფიორენტინა | 33 | 18 | 8 | 7 | 53-28 | 47 |
| 8. უდინეზე | 33 | 11 | 10 | 12 | 42-45 | 43 |
| 9. ატალანტა | 33 | 10 | 12 | 11 | 47-46 | 42 |
| 10. სამპდორია | 33 | 11 | 9 | 13 | 40-42 | 42 |
| 11. ლივორნო | 33 | 8 | 12 | 13 | 35-49 | 36 |
| 12. სიენა | 33 | 7 | 14 | 12 | 29-37 | 34 |
| 13. კალიარი | 33 | 7 | 13 | 13 | 28-38 | 34 |
| 14. ტორინო | 33 | 8 | 9 | 16 | 25-43 | 33 |
| 15. კატანია | 32 | 8 | 9 | 15 | 38-61 | 33 |
| 16. კიევო | 33 | 7 | 11 | 15 | 35-44 | 32 |
| 17. პარმა | 33 | 7 | 11 | 15 | 32-52 | 32 |
| 18. რეჯინა | 33 | 10 | 12 | 11 | 43-44 | 31 |
| 19. მესინა | 33 | 5 | 9 | 19 | 31-58 | 24 |
| 20. ასკოლი | 32 | 3 | 11 | 18 | 26-56 | 20 |

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტურის წინ

# ცალი თვალით ჩემპიონთა ლიგისკენ

## მანჩესტერმა და ჩელსიმ ძალებიც უნდა დაზოგონ და ჰაერივით საჭირო ქულებიც მიამატონ აქტივს...

**დღეს**

ჩელსი-ბოლტონი
ევერტონი-მანჩესტერ იუნაიტედი
ბლექბერნი-ჩარლტონი
მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა
მიდლსბრო-ტოტენჰემი
პორტსმუთი-ლივერპული
შეფილდ იუნაიტედი-უოტფორდი
ვიგანი-ვესტ ჰემი

**ხვალ**

არსენალი-ფულჰემი

**ზეგ**

რედინგი-ნიუკასლი

"ევერტონი" "მანჩესტერის" დამწუხრებას აპირებს. ჩემპიონატის დასასრულს უახლოვდება. "იუნაიტედსა" და "ჩელსის" ოთხი თამაში აქვთ დარჩენილი, მათ შორის, 9 მაისს, "სტემფორდ ბრიჯზე" ურთიერთშეხვედრა. "ეშმაკებს" მცველები თვალსა და ხელს შუა ეცლებიან. "მილანთან" სამშაბათის მატჩი ერთბაშად ხუთმა უკანახაზელმა გააცდინა - **რიო ფერდინანდმა, ნემანია ვიჩიდმა, მიკაელ სივესტრმა, გარი ნევილმა** და **კირან რიჩარდსონმა**. ეს უკანასკნელი შემთხვევით არ გვიხსენება. ის ნომინალური ნახევარმცველია, მაგრამ ტრავმების ეპიდემიის გამო დაცვაში ათამაშებენ. ოთხშაბათს "მენიუს" მილანში საპასუხო შეხვედრა აქვს. "გუდისონ პარკზე" ერთი ფეხბურთელის დაშავებაც კი სერ ალექსისათვის, შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს. მწვრთნელს იღბალმა ზურგი შეაქცია. თვით ახალგაზრდული გუნდის მცველი **კრეიგ კეთკარტი**, რომელიც საკადრო კრიზისისას ძირითადი გუნდში გადაიყვანეს, მძიმედ დაიმტვრა და სეზონი ნაადრევად დაასრულა.

შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად, "მენიუ" საბრძოლო სულისკვეთების ნაკლებობას არ უჩივის. ეს "როსონერისთან" შეხვედრაშიც დადასტურდა. **უეინ რუნი**, რომელმაც იტალიელებს დუბლი გაუტანა, ყოფილი კლუბთან მატჩს სათასო ფინალს ადარებს. ნევილი, ფერდინანდი და ვიდიჩი ლივერპულში არ წასულან. რიომ და ნემანიამ "მილანთან" საპასუხო მატჩისათვის, შეიძლება, მწყობრში ჩადგომა მოასწრონ.

"ევერტონი" სერიოზული მეტოქეა. **დევიდ მოიესის** შეგირდები მეხუთე ადგილზე იმყოფებიან და უეფას თასის საგზურს უმიზნებენ. ქულები მათაც ჰაერივით სჭირდებათ. თანაც პირველ წრეში, "ოლდ ტრეფორდზე" წაგებული მატჩის გამო (0:3) რევანში აქვთ ასაღები. ლივერპულელებს წამყვანი თავდამსხმელი **ენდი ჯონსონი** არ ეყოლებათ. ვირუსისაგან განიკურნა **ენდი ვან დერ მეიდე**. მან "ვესტ ჰემთან" ერთი კვირის წინანდელი მატჩი გამოტოვა. დღეს კი, შეიძლება, განაცხადში ვიხილოთ. ევერტონელებმა "შეფილდში" იჯარით გაშვებული მეკარე **იან ტერნერი** გამოიძახეს. ის **ტიმ ჰოვარდს** შეცვლის. ეს უკანასკნელი მანჩესტერელთა საკუთრებაა. ამიტომ თავისი კლუბის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. "გუდისონზე" წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ "ევერტონის" ლეგენდა **ალან ბოლს**, რომელიც რამდენიმე დღის წინ, 61 წლისა გარდაიცვალა.

"ჩელსის" კალენდარი "იუნაიტედის" კალენდრის ანალოგიურია. რამდენიმე დღეში "არისტოკრატებსაც" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო შეხვედრა ელით. ამიტომ ტრავმებს ისინიც უნდა ერიდონ, ამავე დროს, "ბოლტონთან" სამი ქულისათვის იბრძოლონ. ბოლტონელები უეფას თასის საგზურს უმიზნებენ. ამ წყვილში უპირობო ფავორიტად ლონდონელები მიიჩნევიან. მათ **ჯო კოული** დაუბრუნდათ (და ოთხშაბათს "ლივერპულთან" გამარჯვების გოლიც შეაგდო). საუცხოო ფორმაშია **დიდიე დროგბა**. ერთმატჩიანი პაუზის შემდეგ ძირითადში ვიხილავთ **მიკაელ ესიენს**. განელმა მერსისაიდელებთან დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა. ტრავმებს იშუშებენ **მიხაელ ბალაკი** და **არიენ რობენი**. ამ უკანასკნელმა მსუბუქად ივარჯიშა კიდეც. "ბოლტონს" სასჯელმოხდილი **ივან კამპო** დაეხმარება. ვერ ითამაშებენ დაშავებული **ელჰაჯი დიუფი, აბდულაიე ფაიე** და **ტალ ბენ ჰაიმი**. წარმატების შემთხვევაში, **სემ ელერდაისი** "ჩელსის" 60-იატჩიან წაუგებელ საშინაო სერიას შეწყვეტს, რომელიც 2004 წლის თებერვლიდან გრძელდება.

"ლივერპული" "პორტსმუთთან" მატჩში რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს დაასვენებს. რატომაც არა? **რაფა ბენიტესს** ჩემპიონთა ლიგის საგზური განაღდებული აქვს. ისიც ნათელია, რომ მისი გუნდი ჩემპიონობისათვის ველარ იბრძოლებს. სამშაბათს კი "ჩელსისთან" უმძიმესი საპასუხო შეხვედრა აქვს გასამართი. "პორტსმუთში" არ გაემგზავრნენ **სტივ ჯერარდი, ჩაბი ალონსო** და **ხოსე რეინა**. **ჯეიმი კარაგერსა** და **დანიელ აგერს** კი, სავარაუდოდ, თადარიგში გაამწესებენ.

"პორტსმუთის" წამყვან მცველებს, **სოლ კემპბელსა** და **ლინვოი პრიმუსს** მცირე ტრავმები აქვთ. **ჰარი რედნაპი** მათ საკითხს მატჩის წინ გადაწყვეტს. შეიძლება, ითამაშოს **გლენ ჯონსონმა**. **სვეტოსლავ ტოდოროვი** და **შონ დევისი** ჯანმრთელად არიან.

ხვალ "არსენალი" "ფულჰემთან" დერბის მართავს. "მეთოფეებს" დარჩენილ სამ მატჩში ერთი ქულაც ჰყოფნით, რათა ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზური გაინაღდონ. დღეს ისინი **ტომაშ როსიცკისა** და **ფრედი ლიუნგბერგის** გარეშე ითამაშებენ. როსიცკი "ჩელსისთან" მომდევნო ტურისათვის უნდა გამოჯანმრთელდეს. ლიუნგბერგს კი დარჩენილი შეხვედრების გამოტოვება ემუქრება.

"ფულჰემი" ერთ-ერთია იმ ხუთი კლუბიდან, რომელსაც პრემიერლიგიდან გავარდნა ემუქრება. ერთი გავარდნილის ვინაობა გარკვეულია. "უოტფორდი" მომავალ სეზონს ქვედა დივიზიონში გაატარებს. დარჩენილია ორი საბედისწერო ადგილი. აუტსაიდერები, "ვიგანი" და "ვესტ ჰემი" ერთმანეთში გაარკვევენ ურთიერთობას. ლონდონელი ფანები 34 ვაგონით მიემგზავრებიან საყვარელი გუნდის გასამხნევებლად. გამარჯვების შემთხვევაში, "ჩაქუჩები" მეტოქეს წამოეწევიან. "ვიგანის" გამარჯვების შემთხვევაში კი ისინი, ფაქტობრივად, გაინაღდებენ ადგილს საგაისო პრემიერლიგაში. სახიფათო ზონის სიახლოვეს მყოფი "შეფილდი" გავარდნილ "უოტფორდს" ეთამაშება, ხოლო "ჩარლტონი" "ბლექბერნის" სტუმარია. ჩარლტონელებმა "ვესტ ჰემის" მაგალითს არა მარტო მიბაძეს, გადააჭარბეს კიდეც. კლუბმა 71 ვაგონი დაიქირავა და რამდენიმე ჩარტერული ავიარეისი დანიშნა "ივუდ პაკზე" 6 ათასამდე ფანის ჩასაყვანად. **ალან პერდიუს** გუნდმა ბოლო რვა შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ წააგო. ის დღესაც მაქსიმალური შედეგისათვის აპირებს ბრძოლას.



მაიკლ ოუენი ბრუნდება

დასასრულს, ორშაბათის მატჩის შესახებაც მოგახსენებთ. "რედინგი"-"ნიუკასლი" იმით იქნება საინტერესო, რომ სტუმართა შემადგენლობაში **მაიკლ ოუენი** ითამაშებს. ოუენი განაცხადშია და გუნდთან ერთად იმყოფება, თუმცა უცნობია, ძირითადში დააყენებენ მას თუ მეორე ტაიმში შეცვლაზე შეიყვანენ. ტრავმები მოიშუშეს **სკოტ პარკერმა** და **ანტუან სიბირსკიმაც**. **შეი გივენი** და **დემიენ დაფი** ინტენსიურ მკურნალობას აგრძელებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 34 | 26 | 4 | 4 | 78-24 | 82 |
| 2. ჩელსი | 34 | 24 | 7 | 3 | 60-20 | 79 |
| 3. ლივერპული | 35 | 20 | 7 | 8 | 54-22 | 67 |
| 4. არსენალი | 35 | 18 | 9 | 8 | 59-33 | 63 |
| 5. ევერტონი | 35 | 14 | 12 | 9 | 46-31 | 54 |
| 6. ბოლტონი | 35 | 16 | 6 | 13 | 42-45 | 54 |
| 7. რედინგი | 35 | 15 | 6 | 14 | 48-42 | 51 |
| 8. პორტსმუთი | 35 | 13 | 11 | 11 | 43-38 | 50 |
| 9. ტოტენჰემი | 34 | 14 | 8 | 12 | 49-50 | 50 |
| 10. ბლექბერნი | 34 | 13 | 5 | 16 | 42-49 | 44 |
| 11. ასტონ ვილა | 35 | 9 | 16 | 10 | 36-39 | 43 |
| 12. ნიუკასლი | 35 | 11 | 9 | 15 | 37-43 | 43 |
| 13. მანჩესტ. სიტი | 35 | 11 | 9 | 15 | 28-39 | 42 |
| 14. მიდლსბრო | 35 | 10 | 10 | 15 | 38-45 | 40 |
| 15. ფულჰემი | 35 | 7 | 15 | 13 | 35-54 | 36 |
| 16. ვიგანი | 35 | 9 | 8 | 18 | 35-54 | 35 |
| 17. შეფილდი | 35 | 9 | 8 | 18 | 30-50 | 35 |
| 18. ჩარლტონი | 35 | 8 | 9 | 18 | 31-52 | 33 |
| 19. ვესტ ჰემი | 35 | 9 | 5 | 21 | 28-58 | 32 |
| 20. უოტფორდი | 35 | 4 | 12 | 19 | 26-57 | 24 |

ერთიანი ბიბლიოთეკა




გერმანია. ბუნდესლიგა. XXXI ტურის წინ

# ბაიერნის ბოლო შანსი

## რეკორდმაისტერი გლადბახის იმედადაა

**გუშინ**

| | |
|---|---|
| ბოხუმი-შალკე | 2:1 |

**დღეს**

ბაიერნი-ჰამბურგი
ალემანია-ჰერტა
ბორუსია (მ)-შტუტგარტი
მაინცი-ჰანოვერი
ბორუსია (დ)-აინტრახტი
ნიურნბერგი-ვოლფსბურგი

**ხვალ**

არმინია-ვერდერი
კოტბუსი-ლევერკუზენი

ლიდერი "შალკე" გუშინ თამაშობდა (სტუმრად, "ბოხუმთან"), მეორეადგილოსანი "ვერდერი" კი ხვალ იასპარეზებს (ასევე სტუმრად, ბილეფელდში). შესაბამისად, დღეს ყურადღების ცენტრში ისევ მიუნხენის "ბაიერნია". რეკორდმაისტერი ჩრდილო-სამხრეთულ კლასიკაში, ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ "ჰამბურგს" მასპინძლობს. ეს მატჩი ბავარიელთათვის ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია იმისა, რომ სამეულში მოხვდნენ და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვონ. როგორც იცით, **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი "შტუტგარტს" უკვე 5 ქულით ჩამორჩება. ასე რომ, მიუნხენელებს ქულების დაკარგვის უფლება არ აქვთ. ასეთივე სიტუაციაშია "ჰამბურგიც". მართალია, **ჰუუბ სტევენსის** სამწყსო მეორე წრის ცხრილში მეოთხე ადგილზეა და გასავარდნი ზონა დიდი ხანია, დატოვა, მაგრამ HSV მე-16 ადგილზე მყოფ "ალემანიას" მხოლოდ და მხოლოდ 3 ქულით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სტევენსის გუნდი ჯერ კიდევ ძალიან სახიფათო ზონაშია.

გარკვეულია, რომ ბავარიელებს დღეს **ლუკას პოდოლსკი** არ ეყოლებათ. პოლდიმ ხუთშაბათს მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მისთვის მიმდინარე სეზონი უკვე დასრულებულია. კითხვის ნიშნის ქვეშაა **ოლივერ კანის, კლაუდიო პისაროსა და მარკ ვან ბომელის** თამაშიც. "ჰამბურგს" **დე იონგი და ლაასი** გამოუჯანმრთელდნენ და ერთ-ერთ მათგანს, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ (**ვიკის** ნაცვლად). შესაძლოა, თამაში მოახერხოს **ტიმოთი ატუბამ**. ასეთ შემთხვევაში, **ხუან პაბლო სორინი** დაცვიდან ნახევარდაცვაში გადაინაცვლებს.

ერთი სიტყვით, "ბაიერნი" ყველაფერს გააკეთებს "ჰამბურგის" დასამარცხებლად, მაგრამ ჰიტცფელდის გუნდის მოგებას ფასი არ ექნება, თუკი "შტუტგარტიც" სამ ქულას მოიპოვებს. ბავარიელები იმედოვნებენ, რომ მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებლად განწირული "გლადბახი" ბოლო შანსს გამოიყენებს და შვაბებს მიონხენგლადბახში სამ ქულას დაატოვებინებს. ნიშანდობლივია, რომ "შტუტგარტს" სუსტ გუნდებთან სასურველი შედეგის მიღწევა ყოველთვის უჭირს. გარკვეულია, რომ **არმინ ფეე** კვლავ დაიხმარს თავდამსხმელ **ბენი ლაუთს** და მცველ **ტასკის**. ამ უკანასკნელს კარგი შანსი აქვს, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს, რადგან **ფერნანდო მეირას** თამაში უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა. "გლადბახს" **ოლივერ ნოივილი და მიხაელ დელურა** აკლია.

აახენში "ალემანია" "ჰერტას" მიიღებს და თუ "სოფლელებს" ელიტაში დარჩენა სურთ, ეს თამაში უნდა მოიგონ. ბერლინელებს **არნე ფრიდრიხი** გამოუჯანმრთელდათ. საინტერესო თამაში იქნება დორტმუნდში, სადაც "ბორუსია" უშუალო კონკურენტ "აინტრახტს" მასპინძლობს. BVB ფრანკფურტულ კლუბს 1 ქულით უსწრებს, გასავარდნ ზონას კი ვესტფალიელებს მხოლოდ 2 ქულა აშორებთ. ასე რომ, "ბორუსია" ვალდებულია, მოიგოს. "აინტრახტს" იმედს ის ფაქტი აძლევს, რომ ამ გუნდმა მეორე წრეში მხოლოდ ერთი გასვლითი შეხვედრა წააგო. "მაინცი" "შტადიონ ამ ბრუხვეგზე" "ჰანოვერს" მიიღებს - **იურგენ კლოპის** გუნდისთვის ეს მატჩი გადარჩენის ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია. გასავარდნ ზონას ძალიან მიუახლოვდა "ვოლფსბურგიც". ორიოდ კვირის წინათ "მგლები" მე-7 ადგილზე იყვნენ და გერმანიის თასის ფინალში გასვლის იმედიც ჰქონდათ, ახლა კი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებათ. დღეს "ვოლფსბურგი" ნიურნბერგში ჩადის, სადაც ქულების წაღება ძალიან ძნელია.

"ვერდერს" მძიმე კვირა ჰქონდა. დავიწყოთ იმით, რომ "მუსიკოსებმა" ხუთშაბათს უეფას თასის პირველი ნახევარფინალური მატჩი "ესპანიოლთან" 0:3 წააგეს. მანამდე ბრემენულ კლუბში მდგომარეობა სამშაბათს გავრცელებულმა ინფორმაციამ დაძაბა, რომლის თანახმადაც, **მიროსლავ კლოზე** "ბაიერნის" შეფებს შეხვდა. გარდა ამისა, სწორედ ამ კვირაში გაირკვა, რომ **დიეგო** მადრიდის "რეალთან" აწარმოებს მოლაპარაკებებს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ **ტორსტენ ფრინგსს** "იუვენტუსისკენ" მიუწევს გული და ცხადი გახდება, თუ რატომ ველარ თამაშობს "ვერდერი" ძველებურად. შესაბამისად, ნირწამხდარ ბრემენელებს "არმინიასთან" სასურველი შედეგის მიღწევა წესით ძალიან უნდა გაუჭირდეთ. აქვე გეტყვით, რომ შააფის გადაწყვეტილებით, ხვალ ბრემენელთა კარს არა **ტიმ ვიზე**, რომელიც "ესპანიოლთან" გააძევეს, არამედ ვეტერანი **ანდრეას რაინკე** დაიცავს. დიდი შანსია, რომ შააფმა არც კლოზე ათამაშოს - მიზეზი ისაა, რომ მირო სამშაბათს "ბაიერნის" შეფებს შეხვდა, ისე, რომ "ვერდერი" საქმის კურსში არ ჩაუყენებია. ხვალვე "კოტბუსი" "ლევერკუზენს" მასპინძლობს და თუ მოუგო, "ენერგის" უეფას თასის საგზურის მოპოვების შანსი გაუჩნდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 31 | 19 | 5 | 7 | 50-29 | 62 |
| 2. ვერდერი | 30 | 18 | 6 | 6 | 67-34 | 60 |
| 3. შტუტგარტი | 30 | 17 | 7 | 6 | 53-34 | 58 |
| 4. ბაიერნი | 30 | 16 | 5 | 9 | 45-35 | 53 |
| 5. ლევერკუზენი | 30 | 13 | 6 | 11 | 47-42 | 45 |
| 6. ნიურნბერგი | 30 | 10 | 14 | 6 | 39-28 | 44 |
| 7. ბოხუმი | 31 | 11 | 6 | 14 | 42-47 | 39 |
| 8. ჰერტა | 30 | 10 | 8 | 12 | 41-47 | 38 |
| 9. კოტბუსი | 30 | 10 | 8 | 12 | 35-41 | 38 |
| 10. ჰანოვერი | 30 | 10 | 8 | 12 | 36-43 | 38 |
| 11. ჰამბურგი | 30 | 7 | 15 | 8 | 35-33 | 36 |
| 12. ვოლფსბურგი | 30 | 8 | 11 | 11 | 34-38 | 35 |
| 13. ბორუსია (დ) | 30 | 9 | 8 | 13 | 34-41 | 35 |
| 14. აინტრახტი | 30 | 7 | 13 | 10 | 39-53 | 34 |
| 15. არმინია | 30 | 8 | 9 | 13 | 38-43 | 33 |
| 16. ალემანია | 30 | 9 | 6 | 15 | 44-56 | 33 |
| 17. მაინცი | 30 | 7 | 10 | 13 | 28-48 | 31 |
| 18. ბორუსია (მ) | 30 | 6 | 7 | 17 | 22-37 | 25 |

მანჩესტერი VS ჩელსი

# ინტრიგების დიდოსტატი მოურინიო

## ფერგიუსონი: ჟოზე მსაჯებზე ზეწოლას ახდენს, რას ფიქრობს ასოციაცია და ლიგა?

**ჟოზე მოურინიომ** "მანჩესტერ იუნაიტედთან" მორიგი ომი წამოიწყო. მოგეხსენებათ, ერთი კვირის წინ მან ინგლისში ამოქმედებულ ახალ საფეხბურთო წესებზე ისაუბრა - არბიტრებს "მანჩესტერ იუნაიტედის" კარში და "ჩელსის" სასარგებლოდ პენალტების დანიშვნა ეკრძალებათო. პორტუგალიელმა მიმომხილველებმა ამ სიტყვებზე კომენტარის გაკეთება "მენიუს" ვარსკვლავ **კრისტიანო რონალდოს** სთხოვეს. პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელმა მიუგო: *"არ მინდა, მოურინიოსთან პოლემიკაში ჩავება. ხომ იცით, მას უყვარს ასეთი ლაპარაკი. ჟოზეს ყოველთვის რაღაც აქვს სათქმელი, თუმცა შეცდომებს არასოდეს აღიარებს."*

რონალდოსინტერვიუ მოურინიომაც წაიკითხა და თანამემამულეს შეახსენა საკამაო ეპიზოდები "მენიუს" ბოლოდროინდელი მატჩებიდან "შეფილდისა" და "მიდლსბროს" წინააღმდეგ: *"თუ კრისტიანო მეტყვის, რომ იმ მატჩებში საეჭვო არაფერი მომხდარა, ცრუპენტელა ყოფილა. და თუ ის ცრუობს, ვერასოდეს ავა იმ სიმაღლეზე, რომლის მიღწევაც სურს."*

პენალტებთან დაკავშირებულ დებატებში კიდევ ერთი პორტუგალიელი ჩაება. "მანჩესტერის" მეორე მწვრთნელმა **კარლუშ კეირუშმა** თქვა, რომ მოურინიო ყოველთვის იმ საკითხებით აპელირებს, რომელიც მისთვისაა მომგებიანი: *"ეს მისი ტაქტიკაა. ჩვენ კი განსხვავებული ფასეულობები გაგვაჩნია. ჩვენ დაუძინებელ მეტოქეებსაც პატივს ვცემთ."*

ინგლისურ გიგანტებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს. ისინი ინგლისის ჩემპიონობასა და ასოციაციის თასს ეცილებიან ერთმანეთს და შეიძლება, ჩემპიონთა თასიც მათი გასაყოფი გახდეს - ეს იმ შემთხვევაში, თუ "მანჩესტერი" და "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალებში მოპოვებულ უპირატესობებს შეინარჩუნებენ.

საინტერესო კომენტარი გააკეთა **სერ ალექს ფერგიუსონმა**. მან მოურინიო ცილისმწამებლური კამპანიის აგორებაში დაადანაშაულა, რათა "იუნაიტედი" უფრო მეტი წნეხის ქვეშ მოექცეს: *"ყველას საკუთარი აზრი აქვს. კრისტიანო რონალდოსაც, კარლუშ კეირუშსაც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი ცრუობს. ჟოზე შეცვლილ წესებზე საუბრობდა. მაინტერესებს, ვინ შეცვალა ის. ჩვენ? საფეხბურთო ასოციაციამ? ან იქნებ საფეხბურთო ლიგამ? ასოციაციამ და პრემიერლიგამ მის განცხადებებს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. ის ამბობს, რომ ჩვენს ჩემპიონატში საეჭვო ამბები ხდება. მიკვირს, რომ პასუხი არავის გაუცია. ჟოზეს უსაფუძვლო ბრალდებებს კი ბოლო არ უჩანს... წარსულში მან "ბარსელონისკენ" გაიშვირა ხელი, სერიოზული ბრალი წაუყენა ანდერს ფრისკს. იმ დღეს მარკუს მერკს აუხირდა, ლივერპულელებს დიდიე დროგბას დამტვრევა უნდოდათო. ეს "ლივერპულისათვის" შეურაცხმყოფელი კომენტარია. ზოგიერთის თვალში ის გმირია. მე ნამდვილად არ ვიცი, გმირია თუ არა, მაგრამ მისი ბევრი ქმედება რომ დაბნეულობას იწვევს, ფაქტია. აი, მაგალითად, რამდენიმე დღის წინ გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ჟოზემ უეფა მოატყუა, სარეცხის კონტეინერში ჩაიმალა და მიუხედავად იმისა, რომ დისკვალიფიცირებული იყო, გუნდი მაინც დამოძღვრა. მაინტერესებს, არის თუ არა ეს კანონმდებლობის დარღვევა... წელს "ოლდ ტრეფორდზე" სტუმართა სასარგებლოდ ოთხი პენალტი დაინიშნა, "სტემფორდ ბრიჯზე" მასპინძელთა კარში ერთი 11-მეტრიანიც არ დაურტყამთ. ჟოზე მსაჯებზე ზემოქმედებას ცდილობს. ის ამბობს, არბიტრებს "იუნაიტედის" პენალტით დასჯის ეშინიათო. მსაჯი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ექცევა. მას არ სურს, მშიშარა უწოდონ. თუ მომდევნო ოთხ მატჩში ჩვენს კარში 11-მეტრიანი დაინიშნება, ჟოზე მიზანს მიაღწევს. გამოვა, რომ მას სწორად გაუთვლია. ეს კი დიდ უსამართლობად მიმაჩნია."*



მოურინიო და ფერგიუსონი. ასეც მომხდარა...

სკანდალი

# ვერდერი: ბაიერნი კლოზეს ვერ მიიღებს!

## ალოფსი გადარეულია და ჰიონესს სასამართლოთი ემუქრება...

"ბაიერნი" "ვერდერის" წინააღმდეგ - დიდი ხნის ომში ფრონტის ახალი ხაზი გაიხსნა. დაპირისპირების ობიექტი ბრემენული კლუბისა და გერმანიის ნაკრების ფორვარდი **მიროსლავ კლოზეა**. ახალი სკანდალის მიზეზი ის გახლავთ, რომ სამშაბათს "ბაიერნის" გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** და მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** ჰანოვერში მიროს შეხვდნენ და მიუნხენურ კლუბში გადასვლა შესთავაზეს (ამ კვირაში ვწერდით). "ვერდერის" მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** ამ შეხვედრის შესახებ არაფერი იცოდა, რის გამოც ეს უკანასკნელი განრისხებულია. ალოფსი ჰიონესსა და კლოზეზეა გაბრაზებული.

*"ძალიან მიკვირს, რომ ულიმ ასეთი რამ ჩაიდინა. საქმის კურსში აუცილებლად უნდა ჩავეყენებინე. რაც შეეხება კლოზეს, მასზეც ნაწყენი ვარ. მირო ყოველთვის ამბობდა, თუ "ვერდერიდან" წავალ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უცხოეთში გადავალო. ახლა კი უცებ ირკვევა, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელებს შეხვდა. ჰიონესი ჩემთან დაკავშირებას ტყუილად შეეცდება, მაინც არ დაველაპარაკები,"* - ამბობს ბრემენული კლუბის ბოსი.

რას ამბობენ მიუნხენში? ჰიონესი ყოველგვარ კომენტარზე უარს აცხადებს. ჰიტცფელდი კი იმას იმეორებს, რაც ბავარიელებს არაერთხელ უთქვამთ: *"წინასწარ არაფერს ვიტყვით. სანამ ამა თუ იმ ფეხბურთელის "ბაიერნში" გადმოსვლა გადაწყვეტილი არ იქნება, არაფერს დავაკონკრეტებთ."* საინტერესოა ის, რომ "ბაიერნმა" ასეთი საქციელით ფიფას წესდება დაარღვია, რაკი კლოზესთან შეხვედრის თაობაზე "ვერდერს" არაფერი აცნობა. "ბილდის" ინფორმაციით, ბრემენელებმა საქმეში გერმანიის საფეხბურთო ლიგა ჩართეს და თუ DFL "ვერდერს" გაამართლებს, ჰიონესს სასამართლოს წინაშე მოუწევს თავის მართლება.

სასჯელი ემუქრება კლოზესაც. *"მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მიროსა და მის მრჩეველს შევუთანხმდით, რომ კლოზე "ვერდერის" დატოვების შემთხვევაში, სხვა გერმანულ კლუბში არ გადავიდოდა,"* - ამბობს "მუსიკოსთა" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **იურგენ ბორნი**. მართალია, "ვერდერი" მზადაა, რომ კლოზეს თაობაზე ნებისმიერ უცხოურ კლუბთან აწარმოოს მოლაპაკება, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მიროს არცერთი ევროპული გრანდი არ ეპატიჟება. იყო "ბარსელონისა" და "იუვენტუსის" დაინტერესება, მაგრამ არც ტურინელებს და არც კატალონიელებს ბრემენელთათვის ოფიციალური წინადადებით არ მიუმართავთ. შესაძლოა, კლოზე სწორედ ამიტომ შეხვდა "ბაიერნის" შეფებს.

*"დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ "ბაიერნი" კლოზეს ვერ მიიღებს. ეს გამორცხულია,"* - ამბობს ალოფსი. გერმანიის ნაკრების გოლეადორის ფასი 15 მილიონი ევროა. მაგრამ "ბილდი" იმასაც წერს, რომ თუ მიუნხენელები "მუსიკოსებს" 25 მილიონს შესთავაზებენ, "ვერდერი" დანებდება...

**გოტფრიდ ლენცი**



ჰიონესი, კლოზე და ალოფსი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXII ტურის წინ

# კაპელო: პირველი ადგილი უკვე ამ ტურში



ფაბიო კაპელო

**დღეს**

**ატლეტიკო-ბეტისი**
**ვალენსია-რეკრეატივო**

**ხვალ**

**ხეტაფე-სოსიედადი**
**ხიმნასტიკი-ვილარეალი**
**სელტა-მალიორკა**
**ოსასუნა-სარაგოსა**
**რასინგი-დეპორტივო**
**სევილია-ესპანიოლი**
**ბარსელონა-ლევანტე**
**ბილბაო-რეალი**

**ფაბიო კაპელოს** იმედი აქვს, რომ პრიმერა დივიზიონის 32-ე ტურის შემდეგ, მისი გუნდი პირველ პოზიციაზე გადანაცვლებას შეძლებს. იტალიელ სპეციალისტს ოპტიმიზმს ფეხბურთელების მზადყოფნა უღრმავებს. მისი თქმით, "რეალი" ასეთი წელში გამართული და სრულყოფილი მთელი წლის განმავლობაში არ ყოფილა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, სამეფო კლუბის დამრიგებლის გუშინდელი პრესკონფერენციის ფრაგმენტს შემოგთავაზებთ: *"ბიჭებმა ბოლომდე გააცნობიერეს, რომ ჩემპიონობის შესანიშნავი შანსი აქვთ. ისინი გულმოდგინედ, თავდაუზოგავად ვარჯიშობენ. მიჩელ სალგადოს აშკარად ეტყობოდა, რომ ფეხი ტკიოდა, მაგრამ ამის შესახებ იქამდე არ გვითხრა, მანამ აუტანელი ტკივილისგან არ წაიქცა. გმირობაც ამას ჰქვია. ზოგჯერ ეჭვი მეპარება, ფეხბურთელები რამეს ხომ არ მიმალავენ და ჯანმრთელობას საფრთხეში ხომ არ იგდებენ. წინ დრამატული შვიდი ტური გველის. "რეალი" და მისი კონკურენტები, ბუნებრივია, ბოლომდე იბრძოლებენ. არ გამოვრიცხავ, 32-ე ტურმა სერიოზული ცვლილებები შემოგვთავაზოს. ვინ იცის, იქნებ, პირველ ადგილზე ალმოვჩნდეთ. ამის დიდი იმედი მაქვს. ბილბაოში თამაში ყოველთვის დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩემი ბიჭებისთვის შეუძლებელი არაფერია".*

როგორც ხვდებით, **მიჩელ სალგადოს** ტრავმა აწუხებს. მას მარჯვენა კოჭი დაუშავდა. შესაძლოა, ვეტერანი მცველი მატჩის დაწყებამდე გამოჯანმრთელდეს, თუმცა ძნელად წარმოსადგენია, რომ კაპელომ ის ძირითად შემადგენლობაში დააყენოს. მიმომხილველების ვარაუდით, ეს პატივი **დევიდ ბექჰემს** ერგება. ინგლისელი მისთვის ჩვეულ მარჯვენა ნახევარმცველის ამპლუას შეითავსებს. დაცვაში კი სავარაუდოდ, **ანხელ ტორესს** ან **მეხიას** ვიხილავთ.

"ბარსელონა" ეგვიპტიდან დაბრუნდა. კატალონიელებმა ფარაონების ქვეყანაში კომერციული შეხვედრა გამართეს. გულშემატკივრების დიდი ნაწილი ამის გამო აღშფოთებას ვერ მალავს. ისინი შიშობენ, რომ შორეულმა მგზავრობამ ფეხბურთელები დაღალა. **ხოან ლაპორტას** საკუთარი არგუმენტები აქვს. პრეზიდენტის თქმით, სექტემბერში გაფორმებული კონტრაქტის დარღვევა სირცხვილი იქნებოდა. ინჩასების დამშვიდება **ფრანკ რიიკაარდმა** სცადა. ჰოლანდიელი სპეციალისტი საზოგადოებას ამცნობს, რომ ეგვიპტურ მატჩში არავინ დაშავებულა. ასე რომ, "ბარსელონა" "ლევანტეს" უძლიერესი შემადგენლობით დაუხვდება.

"სევილია" "ესპანიოლს" უმასპინძლებს. უეფას თასის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში "ოსასუნასთან" განცდილმა მარცხმა ანდალუსიელებს განწყობა გაუფუჭა. **ხუანდე რამოსი** ყველაფერს აკეთებდა, რათა ფეხბურთელებს წარუმატებლობა დაევიწყებინათ და "ესპანიოლთან" სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ორთაბრძოლას მაქსიმალური ყურადღებითა და კონცენტრაციით მოკიდებოდა. **ფრედერიკ კანუტემ** მიკრო ტრავმის გამო ბოლო ვარჯიში გამოტოვა, თუმცა "სევილიის" სამედიცინო შტაბი იუწყება, რომ კლუბის საუკეთესო ბომბარდირი კვირას "სანჩეს პისხუანზე" გასვლას შეძლებს. ჯერჯერობით, ხუანდე რამოსს ტრავმები პრობლემას არ უქმნის. მას იმედი აქვს, რომ დღევანდელ ვარჯიშზე არავინ დაშავდება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 31 | 17 | 8 | 6 | 60-29 | 59 |
| 2. სევილია | 31 | 17 | 7 | 7 | 52-27 | 58 |
| 3. რეალი | 31 | 17 | 6 | 8 | 44-28 | 57 |
| 4. სარაგოსა | 31 | 15 | 8 | 8 | 45-30 | 53 |
| 5. ვალენსია | 31 | 16 | 5 | 10 | 43-31 | 53 |
| 6. ატლეტიკო | 31 | 14 | 8 | 9 | 35-26 | 50 |
| 7. რეკრეატივო | 31 | 14 | 7 | 10 | 45-41 | 49 |
| 8. რასინგი | 31 | 12 | 11 | 8 | 39-39 | 47 |
| 9. ხეტაფე | 31 | 11 | 10 | 10 | 29-24 | 43 |
| 10. ესპანიოლი | 31 | 10 | 12 | 9 | 35-35 | 42 |
| 11. დეპორტივო | 31 | 11 | 9 | 11 | 23-31 | 42 |
| 12. ვილიარეალი | 31 | 11 | 8 | 12 | 31-39 | 41 |
| 13. მალიორკა | 31 | 11 | 6 | 14 | 32-41 | 39 |
| 14. ოსასუნა | 31 | 10 | 6 | 15 | 35-37 | 36 |
| 15. ბეტისი | 31 | 7 | 13 | 11 | 31-38 | 34 |
| 16. ბილბაო | 31 | 8 | 8 | 15 | 35-50 | 32 |
| 17. სელტა | 31 | 7 | 9 | 15 | 31-46 | 30 |
| 18. ლევანტე | 31 | 6 | 12 | 13 | 25-41 | 30 |
| 19. სოსიედადი | 31 | 6 | 9 | 16 | 23-37 | 27 |
| 20. ხიმნასტიკი | 31 | 6 | 6 | 19 | 30-53 | 24 |

## ვესტ ჰემი 5.5 მილიონს გადაიხდის

"ვესტ ჰემს" სარეკორდო ჯარიმა გამოუწერეს. სატრანსფერო კანონმდებლობის დარღვევისათვის ლონდონელები 5.5 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. საქმე ეხება **ხავიერ მასკერანოსა** და **კარლოს ტევესის** ტრანსფერებს გასული წლის 31 აგვისტოს. "ჩაქუჩებმა" უხეშად დაარღვიეს კანონმდებლობის ერთ-ერთი პუნქტი. ის ინგლისურ კლუბებს კონტრაქტების გაფორმებას უკრძალავს ისეთ ფეხბურთელებთან, რომელთა სატრანსფერო უფლებები მესამე პირის ხელშია, იმ მესამე პირს კი (თეორიულად) საშუალება აქვს, ფეხბურთელი და კლუბი საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენოს. იგულისხმება ის, რომ მასკერანო და ტევესი ლონდონში ჩასვლის შემდეგაც "მედია სპორტს ინვესტმენტის" საკუთრებაში რჩებოდნენ. 5.5 მილიონიანი ჯარიმა ბევრად აღემატება ინგლისურ ფეხბურთის წინა რეკორდს. 1994 წელს, "ტოტენჰემს" ფინანსური დარღვევებისათვის 1.5 მილიონი გირვანქის გადახდა დააკისრეს. "ვესტ ჰემი" ქულების დაკლებას გადაურჩა. ამგვარი სანქციის შემთხვევაში, "ჩაქუჩებს" ქვედა დივიზიონში დაქვეითებისაგან სასწაულიც კი ვერ გადაარჩენდა.

## პარკმა სეზონი დაასრულა

**ჟი სუნ პარკმა** სეზონი დაასრულა. გუშინ მას მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. კორეელი ლეგიონერი მინდორს რამდენიმე თვის შემდეგ დაუბრუნდება. მას მარტის შემდეგ არ უთამაშია. ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ პარკი ქირურგიულ ჩარევას გადაურჩებოდა, მაგრამ ეს გაურდაუვალი აღმოჩნდა. "მენიუსთვის" სასიამოვნო ინფორმაცია ისაა, რომ **ნემანია ვიდიჩმა** მსუბუქად ივარჯიშა და შეიძლება, მილანში ითამაშოს. ლავიწის ძვლის მოტეხვის შემდეგ სერბმა მცველმა უკვე შვიდი მატჩი გამოტოვა. მილანში წასასვლელად ემზადება **რიო ფერდინანდიც**.

## ვუდგეიტი მიდლსბროელია

**ჯონათან ვუდგეიტი** "მიდლსბროში" ჩაირიცხა. რივერსაიდელები "რეალს" 7 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. 27 წლის მცველი მშობლიურ კლუბში გასულ ზაფხულს ერთწლიანი იჯარით გადავიდა. მადრიდში გატარებული ორი კოშმარული სეზონის შემდეგ ის ოპტიმალურ ფორმას მიუახლოვდა და ინგლისის ნაკრების კანდიდატი გახდა. ესპანელებმა ჯონათანი 2004 წელს "ნიუკასლიდან" 13.4 მილიონ გირვანქად შეიძინეს. ვუდგეიტი პირველსავე ვარჯიშზე დაშავდა და სადებიუტო სეზონი მთლიანად გააცდინა. მან "მიდლსბროსთან" ოთხწლიანი კონტრაქტზე მოაწერა ხელი.

## კოვერმანსი რეინჯერსში?

"რეინჯერსი" "ალკმაარის" თავდამსხმელ **დენი კოვერმანსს** ეპატიჟება. "თაიმსის" ცნობით, გლაზგოელთა თავკაცი **უოლტერ სმიტი** პირადად გაემგზავრა ჰოლანდიაში, რათა აზ67-ის მატჩს დასწრებოდა და ფავორიტი ფეხბურთელი საქმეში ენახა. ბოლო ორი თვის განმავლობაში რეინჯერსის ემისრებმა კოვერმანსის არა ერთი მატჩი ნახეს. მან ამ სეზონში ყველა ტურნირში 25 გოლი გაიტანა. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია.

## სად ითამაშებს სისე?

"მარსელი" **ჯიბრილ სისეს** შეძენას არ აპირებს. ფრანგი თავდამსხმელი "სტად ველოდრომზე" გასულ ზაფხულს, ერთწლიანი იჯარით გადავიდა. კონტრაქტში ჩაიწერა პუნქტი, რომლის თანახმად, წარმატების შემთხვევაში, ფეხბურთელთან ხანგრძლივი კონტრაქტი გაფორმდებოდა, მაგრამ 14 მატჩში გატანილი 4 გოლი წარმატებად ძნელად შეიძლება ჩაითვალოს. "მარსელის" ხელმძღვანელობას 8 მილიონი გირვანქის გადახდა მიზანშეუწონლად მიაჩნია. "ლივერპულს" კი სისე არ სჭირდება და გამალებით ეძებს მყიდველს.

ინტერვიუ ანდრეი შევჩენკოსთან

# ვაკეთებ იმას, რასაც მავალებენ

## შევა მილანს ათენის ფინალში ელის...



ანდრეი შევჩენკო

**ინგლისში გაკვირვებულები კითხულობენ, სად დაიკარგა ის თავდამსხმელი, რომელიც ყველა პრინციპული თამაშის ბედს მარტო წყვეტდა. იტალიაშიც იგივე კითხვას სვამენ, როცა საჯარიმოს ცხელი წერტილებიდან ასე მოშორებულს ხედავენ: ანდრეი შევჩენკო ნახევარდაცვაში, შორს საგოლე ზონისგან? აქ რაღაც გაუგებრობა ხომ არ არის? ის რაც ბევრისთვის გაუგებარია, შევჩენკოსთვის დღესავით ნათელია. „მე ვაკეთებ იმას, რის გაკეთებასაც მავალებენ", – ასე მიმართა „ჩელსიში" რიგითად ქცეულმა უკრაინელმა „გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს, რომელმაც მას ეს ინტერვიუ ლონდონში ჩამოართვა.**

**- ჟოზე მოურინიომ „ლივერპულთან" ნახევარმცველად გათამაშათ.**

- „ჩელსისთვის" უკეთესი იყო, თუკი ამ პოზიციაზე ვითამაშებდი, მწვრთნელის თეორიების გარჩევა და კამათი ჩემი საქმე არასოდეს ყოფილა. ამ სეზონში მნიშვნელოვანი გოლებიც გავიტანე, „ლივერპულთან" მოვიგეთ და მთავარიც სწორედ ეს არის. ეგოისტი ფეხბურთელი არ ვარ, გუნდზე ვფიქრობ და არა საკუთარ თავზე.

**- „მანჩესტერი"-„მილანი" დიდი სანახაობა გამოვიდა, „სტემფორდ ბრიჯზე" კი დიდი ბრძოლა იყო.**

- „ჩელსისა" და „ლივერპულს" შორის შეხვედრა ყოველთვის ასეთი გამოდის.

**- მიზეზი ის ხომ არაა, რომ ამ გუნდის მწვრთნელს ერთმანეთი თვალში არ მოსდით?**

- მიზეზი ისაა, რომ „ლივერპულმა" „ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის მილმა ერთხელ უკვე დატოვა და ჩემს თანაგუნდელებს შურისძიება უნდათ. მწვრთნელებს რაც შეეხება, არცერთი არ არის ისეთი პიროვნება, რომ პირადი სიმპათიები თუ ანტიპათიები მოედანზე გამოაჩინონ.

**- ამბობენ, მოურინიო რჩებაო. თქვენ კმაყოფილი იქნებით, რომ დარჩეს?**

- მოურინიომ „ჩელსიში" ისტორია შექმნა, ორი ჩემპიონატი მოიგო და ახლა შანსი გვაქვს, რომ ყველა შესაძლო ტიტული მოვიგოთ. არის საჭირო დამატებითი კომენტარის გაკეთება?

**- ისევ დარწმუნებული ხართ, რომ „მილანი" ფინალში გასვლას შეძლებს?**

- მანჩესტერში „მილანმა" ბრწყინვალე პირველი ტაიმი ჩაატარა და ბუნებრივიც იყო ის ჩავარდნა, რომელიც მეორე ტაიმში ჰქონდა, განსაკუთრებით, მალდინისა და გატუზოს გასვლის შემდეგ. მაგრამ „მილანს" აქვს ის, რაც ფინალში გასვლისთვის არის საჭირო.

**- იტალიურ ფეხბურთს არცთუ კარგი დროება უდგას, მაგრამ ისე ჩანს, რომ მანჩესტერში „მილანს" საკმაოდ აფასებენ.**

- „მილანი" ყველგან მოსწონთ, იმიტომ, რომ „მილანი" სანახაობის გარანტიაა, ყოველთვის გახსნილ ფეხბურთს თამაშობს და ჩემპიონთა ლიგაში ყოველთვის შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს. გარდა ამისა, ხალხი პატივს სცემს „მილანის" ვარსკვლავებს და თავად კლუბის ტრადიციებს.

**- კაკა უფრო ძლიერია თუ კრისტიანო რონალდო?**

- კაკა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. „ოქროს ბურთს" იმსახურებს და ამ პრიზს აუცილებლად მოიგებს, წელს თუ არა, უახლოეს სეზონებში.

**- ბერლუსკონიმ თქვა, რომ ფინალში „მილანთან" შეხვედრა თქვენთვის მძიმე დარტყმა იქნება. თქვენს ყოფილ პრეზიდენტს „ლივერპული"-„მილანის" ფინალი ურჩევნია და დარწმუნებულია, რომ არც თქვენ გინდათ ათენში „მილანთან" შეხვედრა.**

- ასეთ საკითხებზე ფიქრიც არ მინდა, ფინალამდე კიდევ ერთი თამაშია. ცხადია, ჩემთვის ეს ძალიან ამაღელვებელი და მძიმე შეხვედრა იქნებოდა, რადგან „მილანი" არ არის ჩემი ყოფილი გუნდი, ის ჩემი ოჯახია, ცხოვრების ნაწილია. თუმცა კლუბებისთვის ფანტასტიკური იქნებოდა: როცა ფინალში გადიხარ, იცი, რომ იქ თამაში უკვე არის ბრწყინვალე შედეგი.

**- თქვენთვის ბრწყინვალე შედეგი იყო ისიც, რომ უკრაინა ევრო 2012-ის თანამასპიძლად დასახელდა.**

- უკრაინისთვის და პოლონეთისთვის ეს შანსია, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობით ჩემი ქვეყანა შეძლებს, რომ ევროპას უფრო დაუახლოვდეს. მჯერა, რომ ნდობას გავამართლებთ, ვიმუშავებთ და თავს კარგად წარმოვაჩენთ.

**- ზოგიერთებმა უკრაინას ასეთი დიდი მანიფესტაციისთვის შეუსაბამო ქვეყანა უწოდეს.**

- იმ ხალხმა, ვინც ამბობს, რომ გზები და სასტუმროები არ გვაქვს, ერთი რამე უნდა გააკეთოს: თვითმფრინავის ბილეთი შეიძინოს, ჩამოვიდეს და უკრაინა საკუთარი თვალით ნახოს. პოლიტიკურ სიტუაციას რაც შეეხება, ამჟამინდელი უთანხმოება მალე ყველას დაავიწყდება: როცა ხალხს ერთი საერთო მიზანი ექნება, მთელი ერი გაერთიანდება და ქვეყანაში მეტი სიმშვიდე იქნება. ერთი სიტყვით, უკრაინაში სტაბილურობა იქნება.

**- ჩემპიონთა ლიგას რომ დავუბრუნდეთ, როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ ნახევარფინალში სამი ინგლისური გუნდი მონაწილეობს?**

- ინგლისური ფეხბურთი დიდ პროგრესს განიცდის, სტადიონები ყოველთვის სავსეა ხალხით, დიდია ენთუზიაზმი. ამ მომენტისთვის ინგლისს ერთი უპირატესობა აქვს იტალიასთან შედარებით – სიმშვიდე. „კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ იტალიაში ხალხი გაბრაზებულია, სტადიონები ცარიელია და ფეხბურთელებიც კი განბილებულები არიან იმ სისტემის გამო, რომელიც ამ წლების განმავლობაში მოქმედებდა. მაგრამ იტალიელებს ერთი დიდი კოზირი აქვთ – ტემპერამენტი. ფეხბურთი ყველაფერზე მეტად უყვართ და დარწმუნებული ვარ, რომ ძველ პოზიციებს მალე დაიბრუნებენ.

**- რა რეაქცია გქონდათ „ინტერის" სკუდეტოზე?**

- ეს მათი წელიწადი იყო. იპოვეს სიმშვიდე, ჰყავთ ძლიერი ფეხბურთელები და ძლიერი მწვრთნელი. იმსახურებენ სკუდეტოს და პირველ რიგში, იმსახურებს მორატი, რომელმაც ძალიან დიდი ფული და დიდი ენერგია დახარჯა.

**- მაგრამ „მილანი"?**

- იმედი მაქვს, რომ ერთმანეთს მალე შევხვდებით, რაღაც დიდისთვის ბრძოლაში.

**- მერე?**

- მერე კი, გაიმარჯვოს ღირსეულმა.

**გოგა ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები

# სამარცხვინო ვერდერი

## ფავორიტმა ჩაისვარა. თუ სასწაული არ მოხდა, გლაზგოში ესპანურ ფინალს ვიხილავთ...



ოსასუნა-სევილია. გოლის ავტორ სოლდადოსა (მარცხნივ) და ნავაროს ორთაბრძოლა

**ესპანიოლი-ვერდერი 3:0**

ესპანიოლი: ირაისოსი, ლაკრუსი, ტორეხონი, ხარკე, დავიდ გარსია, რუფეტე (83. კორო), ურტადო, დე ლა პენია (79. ჟონატასი), რიერა, ტამუდო, პანდიანი (73. იტო).

ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა, პასანენი, ნალდო, ფრიტცი, ფრინგსი, ბაუმანი (78. ვრანიეში), იენსენი (60. რაინკე), დიეგო, კლოზე (74. ალმეიდა), ჰანტი.

გოლები: 1:0 მოისესი (21), 2:0 პანდიანი (50), 3:0 კორო (88)

გაძევება: ვიზე (59. ვერდერი)

მაყურებელი: 37 000

არბიტრი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

"ვერდერი" უეფას თასის ნომერ პირველი ფავორიტი, "ესპანიოლი" კი აუტსაიდერი? კატალონიური კლუბის თავკაცმა **ერნესტო ვალვერდემ** მატჩის წინ თქვა, ბრემენელები მთელ ტურნირში კი არა, ჩვენთანაც არ არიან ფავორიტებიო და ფინალში გასვლის შანსები ამ წყვილში 50/50-ზე შეაფასა. "ვერდერის" დამრიგებელი **თომას შააფი** კი ამბობდა, მეტოქეს დიდ პატივს ვცემთო. მატჩის შემდეგ კი ცხადია: "მუსიკოსებმა" "ესპანიოლს" უფრო დიდი პატივი უნდა სცენ. შააფის გუნდი "მონჟუიკზე" პირწმინდად შერცხვა და ფინალში გასვლის შანსები ახლა უკვე 90/10-ზეა, რა თქმა უნდა, კატალონიელთა სასარგებლოდ. 3:0 ის ანგარიშია, რომელიც ვალვერდეს შეგირდებმა ნამდვილად დაიმსახურეს და ოდნავ მეტი იღბალი რომ ჰქონოდათ, უეფას თასის უმთავრეს ფავორიტად შერაცხულ "ვერდერს" უფრო დიდი ანგარიშითაც დაამარცხებდნენ.

ვალვერდემ "ბეტისთან" მატჩისგან განსხვავებით, ძირითად შემადგენლობაში 6 ცვლილება განახორციელა: **საბალეტას, ჩიკას, ლუის გარსიას** (სამივე დისკვალიფიცირებული იყო), **ჟონატასისა** და **კოროს** ნაცვლად, **ლაკრუსი, დავიდ გარსია, დე ლა პენია, რუფეტე** და **ტამუდო** ვიხილეთ. აღსანიშნავია ის, რომ ვალვერდე უეფას თასზე კარში **ირაისოსს** აყენებს ხოლმე, პრიმერადივიზიონში კი **კამენის**. ასე რომ, "ვერდერთან" კატალონიელთა კარს ირაისოსი იცავდა. რაც შეეხება "ვერდერს", შააფმა "ახენთან" მოგებული თამაშისგან განსხვავებით, მხოლოდ ერთ ცვლილებას მიმართა - **იურიცა ვრანიეშის** ნაცვლად **დანიელ იენსენი** ათამაშა.

ბრემენელთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მათ თამაში აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთებიდან უპირატესობის მოპოვება სცადეს. მე-5 წუთზე "მუსიკოსების" დაწინაურება **მიროსლავ კლოზეს** შეეძლო, მაგრამ კარგ პოზიციაში მყოფმა, ხეირიანად ვერ დაარტყა და კარს ააცილა. მაგრამ "ვერდერმა" დომინანტის როლში ყოფნა დიდხანს ვერ მოახერხა და პოზიციები ნელ-ნელა დათმო. მე-19 წუთზე კატალონიელებმა გოლის გატანა მოახერხეს, მაგრამ ნორვეგიელმა არბიტრმა **ტომ ჰენინგმა ხარკეზე** თამაშგარე მდგომარეობა სამართლიანად დააფიქსირა. ეს ბრემენელთათვის ცუდი ნიშანი გახლდათ, რაც ძალიან მალე დადასტურდა: 21-ე წუთზე დე ლა პენიამ კუთხური რუფეტესთან გაითამაშა, ამ უკანასკნელმა კი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ყველას **მოისეს ურტადომ** დაასწრო და ბურთი **ტიმ ვიზეს** კარში გადაგზავნა. მიუხედავად გაშვებული გოლისა, "ვერდერს" გამოცოცხლება არ დაეტყო. შააფის ბიჭები ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. თავად განსაჯეთ, "მუსიკოსებმა" პირველი ტაიმის დარჩენილ დროში მხოლოდ ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნეს: 23-ე წუთზე **დიეგომ ფრინგსს** უპასა, ამ უკანასკნელის დარტყმა კი ირაისოსმა ჩინებულ ნახტომში მოიგერია; 35-ე წუთზე კი ფრინგსის ჩაწოდებას კლოზე და დიეგო ვერ გამოეხმაურნენ. ესპანელები კი კიდევ ორჯერ დაემუქრნენ ვიზეს კარს: 44-ე წუთზე "მუსიკოსთა" კარის დარაჯმა ლაკრუსის დარტყმა (20 მეტრიდან) გააუვნებელყო, 1 წუთის შემდეგ კი **ნალდომ** "ვერდერი" ლაკრუსის დარტყმის შემდეგ გადაარჩინა.

დაიწყო მეორე ტაიმი და 5 წუთში ვიზეს კარში მეორე გოლი გავიდა: დე ლა პენიას კუთხურს ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი **ვალტერ პანდიანი** გამოეხმაურა, ყველას დაასწრო, ბურთს მიმართულება ოდნავ შეუცვალა და ვიზეს კარში გადაგზავნა. **პასანენმა** და ნალდომ რეაქცია დააგვიანეს. ეს გახლდათ პანდიანის მე-11 გოლი, რითაც ამ ფორვარდმა ბომბარდირთა დავაში პირველი ადგილი განიმტკიცა. მე-60 წუთზე "ვერდერის" მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა: დე ლა პენიას ჩინებული პასით ტამუდო ვიზესთან პირისპირ დარჩა, "ვერდერის" მეკარე საჯარიმოს გარეთ გამოვარდა და "ესპანიოლის" კაპიტანს ფეხებში ჩაუხტა, რის გამოც მსაჯმა მას მყისვე წითელი ბარათი უჩვენა. შააფმა კარში ვეტერანი **ანდი რაინკე** ჩააყენა, თამაშიდან კი იენსენი მოხსნა.

რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ "ესპანიოლმა" უფრო დიდი ძალებით შეუტია - ვალვერდეს შეგირდები მიხვდნენ, რომ ფინალის საგზურის განაღდება პირველივე მატჩში შეიძლებოდა. 73-ე წუთზე დიეგოს "ვერდერისთვის" საოცნებო გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ კარგ პოზიციაში მყოფმა ბურთი მცირე მანძილით ააცილა ირაისოსის კარს. 83-ე წუთზე რაინკემ რუფეტეს დარტყმა კი მოიგერია, მაგრამ ხუთ წუთში თავისიანები მესამე გოლისგან უკვე ველარ იხსნა: **რიერამ** მარცხენა ფლანგი გაარღვია და **კორო** მოძებნა, რომელმაც აუღელვებლად დაამწუხრა ვეტერანი რაინკე და "მონჟუიკის" პუბლიკა აღფრთოვანებაში მოიყვანა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში პასანენს ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ირაისოსი ვერ დაჯაბნა. ამრიგად, 3:0 კატალონიელთა სასარგებლოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ "ვერდერს" საპასუხო მატჩში სასწაული სჭირდება.

**ერნესტო ვალვერდე:** *"ჩემმა შეგირდებმა დღეს დიდი თამაში ჩაატარეს, მაგრამ შეცდომებიც ბევრი იყო. არაჩვეულებრივ გუნდს 3:0 მოვუგეთ, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის გარანტიას, რომ აუცილებლად ფინალში ვითამაშებთ. ვფიქრობ, ჩემი გუნდის გამარჯვება იმის დამსახურებაა, რომ ბიჭები ძალიან მონდომებულები იყვნენ. საპასუხო შეხვედრა რთული იქნება."*

**თომას შააფი:** *"ეს არ იყო ჩემი "ვერდერი"! დაცვაში, ნახევარდაცვაში, თავდასხმაში - არსად არაფერი გამოგვდიოდა. ძალიან იოლად ვკარგავდით ბურთს და არცერთ ფეხბურთელს არ ეტყობოდა ჟინი. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ საპასუხო მატჩში სასურველი შედეგის მიღწევა შეგვიძლია."*

**ტორსტენ ფრინგსი:** *"გუნდს, რომელსაც უეფას თასის მოგება უნდა, ასეთ შეცდომებს არ უნდა უშვებდეს. 3:0 ძალიან სამარცხვინო ანგარიშია და სასწაული გვჭირდება იმისთვის, რომ ფინალში გავიდეთ. ასეთი თამაშით კი, სასწაულების მოხდენა შეუძლებელია."*

**ოსასუნა-სევილია 1:0**

ოსასუნა: რიკარდო, ისკიერდო, კრუჩაგა, კუელიარი, კორალესი, ხუანფრანი, რაულ გარსია, პუნიალი, დავიდ ლოპესი, სოლდადო (81. ვებო), მილოშევიჩი (88. ვალდო ლოპესი).

სევილია: კობენო, ალვეში, ნავარო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ნავასი, პოულსენი, ხოსე მარტი (78. ჰინკელი), კორეია (90. პუერტა), ლუიშ ფაბიანო (61. კერჟაკოვი), კანუტე.

გოლი: 1:0 სოლდადო (55)

მაყურებელი: 19 800

არბიტრი: ერიკ ბრაამჰაარი (ჰოლანდია)

დამარცხდა მეორე ნახევარფინალის ფავორიტიც - უეფას თასის მოქმედმა გამარჯვებულმა "სევილიამ" პამპლონაში "ოსასუნასთან" 0:1 წააგო, თუმცა ეს ის ანგარიშია, რომელიც "ვერდერისგან" განსხვავებით, ანდალუსიელებს ფინალში გასვლის კარგ შანსს უტოვებს. პირველ წუთებში სევილიელები აშკარად სჯობდნენ მასპინძლებს, მაგრამ ვითარება მალევე შეიცვალა. **ხოსე ანხელ სიგანდას** ბიჭებმა მე-10 წუთიდან უფრო დალაგებული ფეხბურთი გააჩალეს, თუმცა მე-14 წუთზე ძალიან გაუმართლათ, კაცნაკლულნი რომ არ დარჩნენ. სევილიელ **კრისტიან პოულსენთან** ორთაბრძოლის შემდეგ, "ოსასუნას" ფორვარდმა **სავო მილოშევიჩმა** დანიელ ნახევარმცველს სილა გააწნა, მაგრამ მთავარმა მსაჯმა **ერიკ ბრამჰაარმა** სერბი მოედნიდან არ გააძევა. პირველი ტაიმიდან გამოსარჩევია პამპლონელთა სამი გამოუყენებელი საგოლე მომენტი: მე-16 წუთზე ანგარიშის გახსნა **პუნალს** შეეძლო, 22-ე და 35-ე წუთებზე კი **ხუანფრანს**.

მასპინძლები მეორე ნახევარშიც სჯობდნენ ფავორიტად შერაცხულ მეტოქეს, რამაც შედეგი 55-ე წუთზე გამოიღო: მარჯვენა ფლანგიდან პუნალმა ჯარიმა შეასრულა, მის ჩაწოდებას კი "რეალიდან" არენდით აყვანილი ფორვარდი **რობერტო სოლდადო** გამოეხმაურა და 16 მეტრიდან ზუსტი თავური დარტყმით ბურთი **კობენოს** კარში გადაგზავნა. სევილიელ მცველებს გაშვებული გოლის შემდეგაც დიდი ჯაფა დაადგათ.

66-ე წუთზე თამაში დროებით შეწყდა. მაგრამ ამის მიზეზი არც ტრიბუნებზე მომხდარი არეულობა ყოფილა და არც მოედანზე ნასროლი საგნები. მიზეზი ის გახლდათ, მსაჯ ბრამჰაარს კუნთი დაეჭიმა. ცოტა ხანში მისი ადგილი მეოთხე მსაჯმა **ვინკმა** დაიკავა და მატჩიც გაგრძელდა. 90-ე წუთზე **კერჟაკოვს** ანგარიშის გათანაბრება შეეძლო, მაგრამ ვერ ივარგა - მისი დარტყმის შემდეგ ბურთი **რიკარდოს** კარის ხარიხას მცირე მანძილით ასცდა.

**ხოსე ანხელ სიგანდა:** *"ძალიან კარგად ვითამაშეთ, ჩვენთვის დიდი მიღწევაა ის, რომ ისეთი გუნდი, როგორიც "სევილიაა", აშკარად დავჯაბნეთ. შედეგითაც კმაყოფილი ვარ, მაგრამ თუ ფინალში გასვლა გვინდა, სევილიაშიც ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც დღეს საღამოს. ჩვენი მიზანია, რომ საპასუხო მატჩში მინიმუმ ერთი გოლი გავიტანოთ. ასეთ შემთხვევაში მეტოქეს 3 ექნება გასატანი."*

**ხუანდე რამოსი:** *"კარგად დავიწყეთ და პირველ წუთებში ინიციატივასაც ვფლობდით, მაგრამ მერე რატომღაც ავირიეთ. "ოსასუნამ" დღეს კარგი ფეხბურთი აჩვენა, ჩვენ კი თავდასხმაში სერიოზული პრობლემები გვქონდა - ფორვარდებს არაფერი გამოსდიოდათ. ვაღიარებ, რომ მეტოქემ გვაჯობა და მოგება დაიმსახურა. იმედი მაქვს, რომ საკუთარი პუბლიკის წინაშე სასურველ შედეგს მივაღწევთ და გლაზგოში წავალთ."*



ლუკა ტონი

იუვენტუსი. ტრანსფერები

# თუ ტონი არა, მაშინ ბიანკი ან ჰუნტელაარი

## ტურინელებს, ფრინგსთან ერთად, მილიტოც უნდათ

**ჯანლუიჯი ბუფონის** მომავალი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, მაგრამ „იუვენტუსში" დღეს არანაკლებ აქტუალურად დგას სერია A-სთვის შესაძენი ფეხბურთელების საკითხიც. „ბიანკონერის" ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მეკარეს დარჩენაში დაარწმუნებს (გოლკიპერს კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს), პარალელურად კი შემადგენლობის გაძლიერებაზე მუშაობს. კარგა ხანია, რაც „ბებერი ქალბატონის" მთავარი სამიზნე **ლუკა ტონია**, „ფიორენტინისა" და „სკუადრა აძურას" ცენტრფორვარდი, რომელმაც ბოლო დღეებში „ინტერისა" და „მილანის" მაცდური წინადადებები მიიღო. ეს ყველაფერი კი თავდამსხმელის სატრანსფერო ფასის აწევას იწვევს. სანამ ტონი და „ფიორენტინა" ერთმანეთში მორიგდებიან, „იუვენტუსი" ალტერნატიულ ვარიანტებს ამუშავებს. ტურინელთა სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** ამ დღეებში „რეჯინას" ხელმძღვანელობას შეხვდა და **როლანდო ბიანკის** თაობაზე ესაუბრა. სერია A-ს 32 შეხვედრაში გატანილი 17 გოლით ბიანკის ჩემპიონატის აღმოჩენას უწოდებენ. კალაბრიელთა პრეზიდენტმა **ფოტიმ** 24 წლის ცენტრფორვარდი ზაფხულში „ატანალტასგან" 4 მილიონ ევროდ გამოისყიდა და ახლა მასში თითქმის სამჯერ მეტს ითხოვს. მაგრამ „რეჯინა" უარს არაა, რომ თანხის ნაწილის სანაცვლოდ „იუვენტუსისგან" რომელიმე ნიჭიერი ახალგაზრდა წამოიყვანოს.

თავდასხმაში მეორე ალტერნატივა **კლას ჰუნტელაარია**. „აიაქსის" 22 წლის ცენტრფორვარდმა თავის სიძლიერეში **მარკო ვან ბასტენიც** დაარწმუნა და ჰოლანდიის ნაკრებში უკვე რეგულარულად ხვდება. მაგრამ ფინანსური მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც ძალიან მაღალია: ამსტერდამული კლუბი თავისი ახალგაზრდა ფორვადის დათმობას 15 მილიონ ევროზე ნაკლებად არ აპირებს. ტურინელთა სასურველი თავდამსხმელების სიაში ადგილი უდინეზელ **ვინჩენცო იაკუინტასაც** აქვს.

ხუთშაბათს ალესიო სეკო ბარსელონაში ჩავიდა და უეფას თასის ნახევარფინალურ შეხვედრას დაესწრო „ესპანიოლსა" და „ვერდერს" შორის. ტურინელი დირექტორის მიზანი **ტორსტენ ფრინგსის** საქმეში ნახვა იყო. გერმანელ მცველთან „იუვეს" სიტყვიერი შეთანხმება უკვე აქვს, მთავარი ახლა „ვერდერის" დაყოლიებაა. გერმანული პრესის ბოლო ცნობებით, ბრემენული კლუბი შეიძლება, 10 მილიონ ევროს დაყაბულდეს. ამასობაში, სულ უფრო იძაბება კონკურენცია **გაბრიელ მილიტოზე**, რომელსაც „იუვენტუსმა" იანვარში დაადგა თვალი. არგენტინელი მცველის გადაბირება ერთი კვირის წინათ „ბარსელონამაც" მოისურვა. „სარაგოსა" მილიტოს 12 მილიონ ევროდ აფასებს, რაც 3 მილიონით ნაკლებია იმ თანხაზე, რომელსაც „იუვენტუსისგან" „პალერმო" **ანდრეა ბარძალის** სანაცვლოდ ითხოვს.

ნახვარდაცვისთვის „ქალბატონს" არგენტინელი **სერხიო ალმირონი** მოსწონს, მაგრამ „ემპოლის" მოთხოვნას ტურინში, ჯერჯერობით, გადაჭარბებულად მიიჩნევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფაბიო კანავაროსთან

# ბარსელონას სერიოზული პრობლემები აქვს

## პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ სამეფო კლუბი ესპანეთის ჩემპიონი გახდება...

**პრიმერა დივიზიონი დასკვნით სტადიაში შევიდა. სიტუაცია იმდენად დაძაბულია, რომ ნებისმიერმა ქულამ გადამწყვეტი როლი შეიძლება ითამაშოს. "ბარსელონამ" ფავორიტის სტატუსი დაკარგა. კატალონიელები უახლოეს მდევარ "სევილიას" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს, "რეალი" კი ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება. ესპანეთის ჩემპიონატის თითოეულ ორთაბრძოლას ისეთივე ფასი აქვს, როგორიც ფინალურ დაპირისპირებას. სამეფო კლუბი "სან მამესზე" "ბილბაოს" ესტუმრება. "ბარსა" კი "კამპ ნოუზე" "ლევანტეს" დაუხვდება. პარასკევს ფაბიო კანავაროს "დიარიო ასის" კორესპონდენტი გაესაუბრა. იტალიელმა მცველმა მომდევნო ტურებსა და პრიმერა დივიზიონში არსებულ დაძაბულობაზე ისაუბრა.**

**- ფაბიო, მოდით, პირდაპირ და გულწრფელად ვისაუბროთ. რამდენიმე კვირის წინათ "ბარსელონას" ფაქტობრივ ჩემპიონად მიიჩნევდნენ. ალბათ, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ კატალონიელებთან მიახლოებას შეძლებდით. მართალია, სამეფო კლუბი საგრძნობლად გამოცოცხლდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებას ფრანკ რიიკაარდის ბიჭების ჩავარდნას უნდა უმადლოდეთ. მათ ქულები რომ არ დაეკარგათ, ბევრი არაფერი შეიცვლებოდა. როგორ ფიქრობთ, რა ჭირს "ბარსელონას"?**

- იქიდან გამომდინარე, რომ მადრიდის "რეალის" ფეხბურთელი ვარ, "ბარსელონაზე" კომპეტენტურად ვერ ვისაუბრებ. თუმცა, ვეცდები, ჩემი სუბიექტური მოსაზრებები გაგიზიაროთ. შთაბეჭდილება მრჩება, "ბარსას" ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს შორის სერიოზული განხეთქილებაა. "კამპ ნოუზე" დაახლოებით ისეთი სიტუაციაა შექმნილი, როგორიც რამდენიმე თვის წინათ "სანტიაგო ბერნაბეუზე" სუფევდა. კატალონიელი ინჩასები მაქსიმუმს ითხოვენ და ვერ ეგუებიან, როცა რომელიმე მოთამაშე 90 წუთის განმავლობაში გაუჩერებლად არ დარბის. ამას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს. სეზონის ბოლოს ყველა დაღლილია, ან ვინმეს საკუთარი საქმის კეთება ეზარებოდეს. ერთი რამ კი ფაქტია, "ბარსელონამ" კონკურენტებს მასთან მიახლოების საშუალება მოგვცა. ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

**- გულშემატკივრობის თვალსაზრისით, ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. მიგაჩნიათ, რომ "რეალს" ახლა საუკეთესო ინჩადა ჰყავს?**

- ჩემთვის, რა თქმა უნდა, მადრიდელ გულშემატკივრებს ვერავინ შეედრება. ხოლო, როგორც ნეიტრალურ ადამიანს, შემიძლია მოგახსენოთ, რომ ყველაზე მეტად სევილიური საფეხბურთო ატმოსფერო მომწონს. ესპანეთში უკვე 8 თვეა ვთამაშობ და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ "სევილიის" ქომაგები სათაყვანებელი გუნდის კეთილდღეობისთვის ყველაფერს გაიღებენ, სიცოცხლესაც კი გაწირავენ. რაც არ უნდა ხდებოდეს, ისინი მუდამ ფეხბურთელების გვერდით არიან და თითქმის, არასოდეს არაფერს საყვედურობენ. გამოგიტყდებით, ძალიან რთულია, როცა საკუთარი მაყურებელი ფსიქოლოგიურ წნეხში გაქცევს. დასამალი არ არის, რომ "ბერნაბეუზე" სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებოდით. ტრიბუნებიდან სტვენისა და გინების ხმა მოდიოდა. დემარშიც არაერთხელ მოუწყვიათ, მაგრამ ბოლო დროს სიტუაცია შეიცვალა. სლოგანი - "ერთად შეგვიძლია", სწორედ გულშემატკივრებმა შემოგთავაზეს. ჩვენც ამას ველოდით. რომელ ფეხბურთელსაც არ უნდა ჰკითხოთ, გიპასუხებთ, რომ წნეხისგან გათავისუფლდა. საშინაო შეხვედრების ჩატარება ახლა განუზომელ სიამოვნებას გვანიჭებს. ჩვენი ფანები მეთორმეტე ფეხბურთელის ფუნქციას წარმატებით ასრულებენ.

**- "სან მამესზე", რა თქმა უნდა, "ბილბაოს" დაუჭერენ მხარს. ბასკებთან მატჩის წინ როგორ გრძნობთ თავს?**

- უკვე გადმომცეს, რომ სამეფო კლუბისთვის "სან მამესი" ერთ-ერთი ყველაზე რთული მოედანია. "ბილბაო" პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ცხადია, ბასკები შესაძლებლობის მაქსიმუმს გაიღებენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ სამი ქულა მოიპოვონ. მოტივაცია ჩვენც არ გვაკლია. არ უნდა დავუშვათ, "ბარსელონას" კვლავ დავცილდეთ. მზადყოფნას რაც შეეხება, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი იდეალურადაა. ზოგი ფორმაში არ არის, ზოგს მიკროტრავმა აწუხებს და ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების დახმარებით უხდება თამაში, მაგრამ "რეალმა" ყველა განსაცდელს უნდა გაუძლოს. სეზონის ამ მონაკვეთში დასვენებული არავინაა. აბსოლუტურად ყველას შესაძლებლობების ზღვარზე თამაში უწევს.

**- ფაბიო, თქვენი გუნდი ახლა გამართულად თამაშობს. აქამდე რა გჭირდათ?**

- ბანალური პასუხის გაცემა მომიწევს. "სანტიაგო ბერნაბეუზე" ახალი მწვრთნელი და ფეხბურთელები მივიდნენ. კაპელოსთვის მე კარგად ნაცნობი მოთამაშე ვარ, მაგრამ სხვებთან პირველად მოუხდა მუშაობა. სამწუხაროდ, ადაპტაციისთვის დრო არავის ჰქონია. პირდაპირ ჯოჯოხეთში აღმოვჩნდით. ასე დაუნდობლად ადრე არავის გავუკრიტიკებივარ. ფიფამ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული გადმომცა, მაგრამ პრესა მაინც მიწასთან მასწორებდა. საკმარისი იყო, თუნდაც, ერთი ორთაბრძოლა წამეგო, მედია და გულშემატკივრები უმალ ფაბიო კანავაროს ლანძღვას იწყებდნენ. დროთა განმავლობაში "რეალს" შევეჩვიე. ესპანურ ფეხბურთში გავითქვიფე და უკეთ თამაში დავიწყე. აბსოლუტურად იგივეს ვიტყოდი დიარას, ემერსონისა და ვან ნისტელროის შემთხვევაშიც. ყველაზე დიდი განსაცდელი ალბათ, ემერსონმა გამოიარა. საშინაო შეხვედრებში ბურთთან ყოველი მისი შეხება გამაყრუებელი სტვენის პროვოცირებას იწვევდა. მადლობა ღმერთს, დრომ ემერსონსაც უშველა. ვგონებ, მადრიდულმა ინჩადამ ბრაზილიელი გულწრფელად შეიყვანა.

**- შესაძლოა, პარადოქსულად გამოიყურებოდეს, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ ფიზიკური თვალსაზრისით, ახლა უფრო კარგად გრძნობთ თავს, ვიდრე ორი ან სამი თვის წინათ. ეს გარემოება კაპელოს უცნაური სამუშაო მეთოდებით უნდა აიხსნას?**

- ფაბიო სასწაულებრივსა და ჯერ არნახულს არაფერს აკეთებს. ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი დარტყმა იყო, მაგრამ მეორეს მხრივ, დასვენების საშუალება მოგვეცა. ადრე კვირაში სამ-ოთხ შეხვედრას ვატარებდით. ახლა კი მხოლოდ ერთი მატჩით ვიფარგლებით. მართალი, ბრძანდებით, "რეალი" დღეს ფიზიკურად უკეთესად გამოიყურება. შევეცდებით, ეს უპირატესობა მაქსიმალურად გამოვიყენოთ. წინ შვიდი ფინალი გველის, მაგრამ სამეფო კლუბმა ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წაიწიოს წინ. დღეს ჩემთვის სულ ერთია, რას იზამს "ბარსელონა", მთავარია, "ბილბაოს" მოვუგოთ და ჩემპიონობის შანსი შევინარჩუნოთ.

**- შეუძლებელია, "ბარსელონის" ბედ-იღბალი არ გაინტერესებდეთ. კატალონიელები ქულებს თუ არ დაკარგავენ, პირველ ადგილს ვერ შეწვდებით...**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ "რეალი" დარჩენილი შვიდი შეხვედრის მოგების შემთხვევაში, პრიმერა დივიზიონის გამარჯვებული გახდება. ასე რომ, მთელი ენერგია და ძალისხმევა ჩვენი მატჩებისკენ უნდა მივმართოთ. თუ, მაინც და მაინც, აუცილებელია, "ბარსელონისკენ" ცალი თვალით შეგვიძლია გავიხედოთ (იცინის).

**- "სევილიაზე" რას ფიქრობთ? რამდენად დიდია ამ გუნდის გამარჯვების შანსი?**

- ანდალუსიელებს სოლიდური შანსი აქვთ. ბევრი რამ იღბალზე იქნება დამოკიდებული. მე მაინც ჩემს აზრზე ვარ და დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ 21 ქულის მოპოვების შემთხვევაში, ჩემპიონები გავხდებით. შესაძლოა, ამდენიც არ დაგვჭირდეს.

**- როგორ ფიქრობთ, დარჩენილი ორთაბრძოლების კალენდარი ვის აძლევს ხელს?**

- ჩემი აზრით, ამ მხრივ უპირატესობას არავინ ფლობს. მალე "რეალი" და "სევილია" ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. "ბარსელონას" კი "ატლეტიკოსთან" ურთულესი გასვლა ელის.

**- "ბარსელონაში" რომ თამაშობდეთ, ფსიქოლოგიურ წნეხში აღმოჩნდებოდით?**

- მესმის, რასაც გულისხმობთ. შეუძლებელია კატალონიელები არ ღელავდნენ. რამდენიმე კვირის წინათ მათ ჩემპიონობაში ეჭვი არავის შეჰქონდა, მაგრამ ახლა ზეციდან მიწაზე დაენარცხნენ. კარგი იქნება, თუ მღელვარებას ვერ გაუმკლავდებიან, თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ისინი ძალებს მოიკრებენ და თავიანთ შეხვედრებს მაქსიმალური პასუხისმგებლობით მოეკიდებიან. ისე კი, "ბარსელონას" სერიოზული პრობლემები აქვს.

**- რონალდინიოს "მილანში" წასვლაზე უამრავი ჭორი ვრცელდება. როგორ გგონიათ, ეს აჟიოტაჟი მათზე უარყოფით გავლენას იქონიებს?**

- ნიუანსებში გარკვეული არ ვარ, ამიტომ პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ. ბუნებრივია, რონალდინიოს კლასის ფეხბურთელის დაკარგვა არავის გაახარებს.

**- მსაჯებმა "რეალი" მეტისმეტად დააზარალეს?**

- ამ სკანდალურ თემაზე ძალიან ბევრი ვისაუბრეთ. მეც აწერვიულებული გახლდით და ტურიენსო ალვარესის წინააღმდეგ გავილაშქრე. ემოციების მოთოკვის შემდეგ კი მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. ისინიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან. არ მსიამოვნებს, როცა შეცდომის გამო მლანძღავენ. სამწუხაროდ, სხვას სწორედ ისე მოვეპყარი, როგორც არ მსურს რომ მე მომეპყრონ.

**- ვინ გახდება ესპანეთის ჩემპიონი?**

- (იცინის) რა თქმა უნდა, მადრიდის "რეალი". არ ვტრაბახობ. მე და ჩემი თანაგუნდელები ყველაფერს ვილონებთ იმისთვის, რომ მაქსიმუმ 17 ივნისს "სიბელესზე" ინტერნაციონალური ფიესტა მოეწყოს.

**- რატომ ინტერნაციონალური?**

- აბა, მხოლოდ ესპანელებს გსურთ ზეიმი? "რეალის" ღირსებას უამრავი უცხოელი იცავს, ეს ჩვენი ფიესტაც იქნება.

**გოგა ახალაძე**



ფაბიო კანავარო



ერიკ აბიდალი

ბარსელონა. ახალი ამბები

# აბიდალი კამპ ნოუზე ითამაშებს

## რონალდინიოს კატალონიური გრანდიდან აბარგება ვერ წარმოუდგენია...

კატალონიის ტელევიზიამ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა. TV3 ამტკიცებს, რომ **ჩიკი ბეგირისტაინმა** "ლიონის" ხელმძღვანელობასთან **ერიკ აბიდალის** თაობაზე შეთანხმებას მიაღწია. სატელევიზიო არხის საინფორმაციო სამსახურს თუ დავუჯერებთ, ფრანგი მცველი "კამპ ნოუზე" ხუთ წელიწადს გაატარებს. სამწუხაროდ, საკომპენსაციო თანხის შესახებ ჯერჯერობით, არაფერი თქმულა. იმავე არხის ცნობით, სენიორ ბეგირისტაინი მიღწეულით არ კმაყოფილდება და **დანი ალვეშის** გადაბირებაზე მუშაობს. ამ საქმეში "ბარსას" გენერალურ დირექტორს გაცილებით მეტი პრობლემა ელის. ცნობილია, რომ "სევილია" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გასხვისების იდეას მტკივნეულად ხვდება. პრეზიდენტმა **დელ ნიდომ** უამრავი მთხოვნელი უარით გაისტუმრა. სხვათა შორის, უარი თვით ბეგირისტაინსაც უთხრეს, მაგრამ ის მაინც არ ისვენებს. კულუარული ინფორმაციით, თავად ალვეშს კარიერის "კამპ ნოუზე" გაგრძელების პერსპექტივა ძალიან მოსწონს. როგორც ჩანს, სენიორ ჩიკის სწორედ ამის იმედი აქვს.

ამასობაში **რონალდინიოს** "მილანში" შესაძლო გადაბარგებასთან დაკავშირებით მითქმა-მოთქმა არ წყდება. იტალიური პრესის ცნობით, "ბარსელონის" ვარსკვლავის ძმას, **რობერტო დე ასისს** "როსონერის" ემისრებმა სან პაულუში ჩააკითხეს. ვიზიტის ერთადერთი მიზანი, რა თქმა უნდა, ტრანსფერზე მოლაპარაკება იყო. მილანელებს პირობა არ შეუცვლიათ. **სილვიო ბერლუსკონი** კვლავ მზად არის, გაუჩოს სანაცვლოდ არც მეტი, არც ნაკლები, 100 მილიონი ევრო გადაიხადოს.

კატალონიურმა საზოგადოებამ მილანელთა ბრაზილიაში მოგზაურობის ფაქტი შემაშფოთებლად მიიჩნია. ისინი შიშობენ, რომ იტალიელებისა და რობერტო დე ასისის ხშირი ურთიერთობა "ბარსას" კატასტროფულ შედეგს მოუტანს, რაც სხვა არაფერია, თუ არა რონალდინიოს "სან სიროზე" გადაბარგება. გულშემატკივრების დამშვიდების მიზნით, "დიარიო სპორტმა" ბრაზილიელი ვარსკვლავის კომენტარის მოპოვება დაისახა მიზნად. უამრავი წარუმატებელი მცდელობის მიუხედავად, ჟურნალისტებს იმედი არ დაუკარგავთ და როგორც იქნა, საწადელს მიაღწიეს. აი, რა განაცხადა გაუჩომ: *"მილანელთა "სან პაულუში" ჩასვლაში უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ. ყველამ კარგად ვიცით, რომ მათ ჩემი გადაბირება სურთ. კარტები გახსნილია, ამიტომ იტალიელები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ტრანსფერი გაჩარხონ. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ, რომ "ბარსელონიდან" წასვლა ვერც კი წარმომიდგენია. ძალიან მშვიდად ვარ და მომდევნო პაექრობებისთვის ვემზადები. ჩვენი გუნდი ხომ ესპანეთის ჩემპიონი უნდა გახდეს".*

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკური ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონები ლელოს რედაქციაში

# მძიმე არდადეგები

ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც სოფიაში, ევროპის ჩემპიონატზე აქამდე არნახული წარმატებით გამოვიდნენ ქართველი „ანტიკოსები", რომლებმაც ორი ოქროს მედალი მოიპოვეს - მანუჩარ კვირკველიამ (74) და რამაზ ნოზაძემ (96). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ორი უმაღლესი ჯილდო პირველად მოვიპოვეთ. ეს პირველი ევროპული ოქროა მსოფლიო ჩემპიონ კვირკველიას კარიერაში, ხოლო მსოფლიოსა და ოლიმპიადის მედალოსან ნოზაძისთვის - მეორე.

სამშობლოში დაბრუნებულ ჩემპიონებს დახვედრაც საკადრისი მოუწყვეს. მწვრთნელებმა ერთკვირიანი დასვენების ნებაც მისცეს, თუმცა ვინ დაასვენა. ტრადიციულ ოფიციალურ ღონისძიებებში ეს ერთი კვირა ისე გაფრინდა, ჩემპიონებმა დასვენება, პრაქტიკულად, ვერც მოასწრეს. მათი მოხელთება ჩვენც გაგვიჭირდა, თუმცა როცა მოიცალეს, რედაქციაში სტუმრობაზე უყოყმანოდ დაგვთანხმდნენ. დაღლილობის მიუხედავად, ჩემპიონები სიამოვნებით იგონებენ განვლილ ტურნირს და არაერთი საინტერესო ეპიზოდიც გაიხსენეს. წინასწარ გეტყვით, რომ ორივე მათგანი იმაზე ბევრად ენაწყლიანი მოსაუბრე აღმოჩნდა, ვიდრე აქამდე ვიცოდით. განსაკუთრებით, კვირკველია, რომელიც თითქოს უფრო სიტყვაძვირია, მაგრამ გურულებისთვის დამახასიათებელი იუმორი არ აკლია.

**- გამოხვედით საჩემპიონო ეიფორიიდან, თუ ჯერ ისევ იმ ამბების გავლენის ქვეშ იმყოფებით?**

კვირკველია: - ვინ გამოგვიყვანა? ტელევიზიებიდან ტელევიზიებში და შეხვედრებზე სიარული უფრო რთული ყოფილა. ვარჯიშის დაწყება მინდა, მერე უფრო დავისვენებ.

ნოზაძე: - ვიდრე ვარჯიშებს განვაახლებდეთ, ამ ერთკვირიან პერიოდში ვცდილობთ, მოვწყდეთ სპორტულ ცხოვრებას. გვინდა, ეს დრო ოჯახთან და მეგობრებთან ერთად გავატაროთ. ჭიდაობაზე საერთოდ არ ვლაპარაკობთ. დაღლილობამ ცოტა კი გაგვიარა, მაგრამ არა ბოლომდე. აი, გუშინაც საღამოს მივედი სახლში და ვიფიქრე, უბანში გავჩერდები ცოტა ხნით-მეთქი, მაგრამ ისეთი დაღლილი ვიყავი, პირდაპირ სახლში ავედი და დავიძინე. დასასვენებლად უფრო ამ შაბათ-კვირას გამოვიყენებ - აუცილებლად წავალ სათევზაოდ. შესაძლოა, სანადიროდაც.

**- წონაც ხომ არ აგივარდათ?**

ნოზაძე: - წონაში მე დიდად არ ვიმატებ. 100-ზე ზევით არ ავდივარ. ესაა ჩემი სტაბილური წონა, მაგრამ ამის დაკლება იოლია.

კვირკველია: - მგონი, ისევ ვიკლებ. სოფიაშიც ვიკლებდი, ჭიდაობის წინა დღესაც აბანოში ვიჯექი.

ნოზაძე: - კაცი 66-ში იყავი და იკლებდი. 74-ში ხარ და ისევ იკლებ, ასეთი არაფერი გამიგონია. 84-ში რომ გადავიდეს, იქაც დაიკლებს!

**- მანუჩარ, ოლიმპიადის შემდეგ ხომ არ ფიქრობთ 84-ში გადასვლას?**

კვირკველია: - ალნაგობა არ მიწყობს ხელს. კარგი იქნებოდა, ლევან თედიაშვილი ვყოფილიყავი, მაგრამ არა ვარ...

ნოზაძე: - თორემ 96-შიც გადმოხვიდოდი, არა?

კვირკველია: - მერე შენ რა გეშველებოდა?

**- მთლიანობაში, ჩემპიონობისკენ სავალი გზა მოსალოდნელზე ძნელი აღმოჩნდა თუ პირიქით?**

ნოზაძე: - ჩემპიონატს მართლა კარგ ფორმაში შევხვდით. პიკს უშუალოდ ტურნირის მსვლელობისას მივაღწიეთ. შეიძლება ისე ჩანდა, რომ ტურნირი იოლად გავიარეთ, მაგრამ ნამდვილად არ იყო ასე. მე პირადად მსოფლიო ჩემპიონს, ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორებს მოვუგე, ასეთი ხალხის დამარცხება კი ადვილი არაა.

კვირკველია: - ადვილი ჭამაა. ამ რანგის ტურნირზე იოლად ვინ რას მოგაგებინებს?

**- თქვენ იქ ფავორიტებად ჩახვედით, ანუ თქვენთან ყველა განსაკუთრებით მოინდომებდა...**

ნოზაძე: - არა, მე დიდი ხანია, თავი ფავორიტად აღარ მიგრძვნია. თავს ჩვეულებრივ მოჭიდავედ ვგრძნობდი, რომელსაც ყველასთან - ძლიერთანაც და სუსტთანაც ერთნაირი მონდომებით უნდა მეჭიდავა.

კვირკველია: - ფავორიტთან ყველა განსაკუთრებულად ცდილობს. იქნებ სხვასთან არ მოინდომონ ეგრე, მაგრამ შენთან - მაქსიმუმს გააკეთებენ. მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია და არ მიკვირს. ჩვენც ასე ვიყავით, როცა ჭიდაობას ვიწყებდით და ფავორიტებს არ მივეკუთვნებოდით.



მანუჩარ კვირკველია და რამაზ ნოზაძე ლელოში სტუმრობისას

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**- ფინალში მეტოქეებს ორივე კარგად იცნობდით. ალბათ, გარკვეული მონახაზიც გექნებოდათ, როგორ უნდა წარგემართათ ბრძოლა...**

კვირკველია: - შვეიცარიელ ბუშეს მანამდეც შევხვედრივარ, მაგრამ მეტოქის ცოდნა არაა მთავარი. მთავარია ჭიდაობა. ჩემზე მეტი მწვრთნელმა - ბეგი დარჩიამ იცის. რჩევა-დარიგებებსაც ის მაძლევს, თუმცა წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავ, რა მოხდება ხალიჩაზე.

ნოზაძე: - როცა გავდიოდი საჭიდაოდ, მწვრთნელი ოთარ ტატიშვილი მარიგებდა, მერე მივყვებოდი შეხვედრის მიმდინარეობას. თანაც, მე ამ შვედს მესამედ ვხვდებოდი და დაახლოებით ვიცოდი, როგორ ჭიდაობდა. თან, უკვე ფედერაციაც აკეთებს კარტოთეკას და მეტოქეებზე დაკვირვების საშუალება აქაც მოგვეცემა.

**- თქვენ თუ აგროვებთ საკუთარი ჭიდაობების ჩანაწერებს?**

ნოზაძე: არა. თუ დამიჯერებთ, ჩემი არც ერთი შეჯიბრების ჩანაწერი არ მინახავს. დამთავრდება ჭიდაობა და ჩემთვის ის შეხვედრაც წარსულია. სამაგიეროდ, კასეტებს ჩემი სიძე მინახავს. მთელი დასტა აქვს ჩემი ჭიდაობების ჩანაწერებისა. თან, ინტერნეტის დახმარებით დღეს უკვე არც ჩანაწერების მოძიებაა პრობლემა.

კვირკველია: - დღეს ნებისმიერი ტურნირის ჩანაწერის გამოწერა შეიძლება. ამას წინათ ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა თემურ ყაზარაშვილმა გამოიწერა და ისეთი შეხვედრების ჩანაწერები ჩამოუვიდა, ისეთი ეპიზოდები აღმოაჩინა, თავად არც კი ახსოვდა უკვე.

**- დარბაზის ქომაგობაზე რას იტყვით?**

ნოზაძე: - ბულგარელებმა კარგად იციან ჭიდაობის ყადრი და საოცარი ქომაგობა იყო. აზერბაიჯანში თუ ჩატარდა მსოფლიო პირველობა, იქაც ისეთივე სიტუაცია იქნება.

კვირკველია: - ფინალში მთელი დარბაზი მე მქომაგობდა, ამას რა დამავიწყებს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფინალში მსაჯებმა დაჩაგვრა დამიპირეს. ამის მერე სულ „გრუზია, გრუზიას" იძახდნენ. საერთოდ, ასეთი პირველობები ისეთ ქვეყნებში უნდა ჩატარდეს, სადაც ჭიდაობა პოპულარულია.

**- თქვენზე როგორ მოქმედებს დარბაზის ხმაური - აქცევთ მას ყურადღებას?**

ნოზაძე: - ქართველი ქომაგების ხმა სტიმულს მაძლევს, მეტოქის გულშემატკივრებს კი ყურადღებას არ ვაქცევ.

კვირკველია: - ჩემთვის ეს სტანდარტულია - იქ ვერ არჩევ, ვინ რას იძახის. მწვრთნელის ხმა კი მესმის... თუმცა ეს სპორტსმენსაც გააჩნია. მაგალითად, ირაკლი ჭოჭუა ამბობდა, დარბაზში მუსიკის ხმა არც გამიგონიაო. არადა, იმხელა ხმაზე იყო ჩართული, თავი ამტკივდა.

**- რამაზ, თქვენი მწვრთნელის - ტატიშვილისთვის სიურპრიზი იყო ის გდება, ფინალის შემდეგ რომ გაუკეთეთ, თუ ადრეც ულოცავდით ასე ერთმანეთს?**

ნოზაძე: - არა, ეს ექსპრომტად მომაფიქრდა. აქამდე სულ ეგ გვიკეთებდა ილეთებს, ახლა კი ჩემი ჯერი დადგა!

**- მანუჩარ, სამაგიეროდ, თქვენი და დარჩიას ურთიერთობაში დამკვიდრდა ჩემპიონობის აღნიშვნა მწვრთნელის ეფექტური ილეთით...**

კვირკველია: - ჰო, 2003-ში მსოფლიო ჩემპიონი რომ გავხდი, მაშინაც ასე გამიკეთა. მაგრამ მაშინ მოულოდნელი იყო, ახლა კი ველოდი. თუმცა მწვრთნელისგან ეგ არაფერია, მთავარია, ასე სხვამ არ გამიკეთოს. ისე, ჩემკენ რომ წამოვიდა, ერთი კი ვიფიქრე, გადავიყვან და მე გადავაგდებ-მეთქი, მაგრამ საბოლოოდ მაინც შევიკავე თავი.

**- თანაგუნდელთა გამოსვლებს როგორ შეაფასებთ, ვის ჰქონდა მედლის მოპოვების შანსი?**

ნოზაძე: - შანსი ყველას ჰქონდა. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე ისე სუსტად ჭიდაობდა, მედლის მოპოვება არ შეეძლო-მეთქი.

კვირკველია: - შანსი მხოლოდ ზურაბ კახაბრიშვილს არ ჰქონდა - გუნდის ექიმს. ხუმრობა იქით იყოს და ის მართლაც დიდი ძალაა ჩვენთვის. გარდა იმისა, რომ კარგი ექიმია, კარგი ფსიქოლოგიცაა და შეუძლია, ნებისმიერი სტრესული მდგომარეობიდან გამოგიყვანოს, დაგაწყნაროს, განგაწყოს... ისეთი პიროვნებაა, მაგის გვერდით არ მოიწყენ კაცი.

**- თითო-ოროლა ლიდერი გაკლდათ წონებში. თქვენი აზრით, მათი ყოფნა შეცვლიდა რამეს?**

კვირკველია: - ჩემთან მხოლოდ რუსი სამურგაშევი არ იყო. მაგრამ ის შარშანაც იყო მსოფლიო ჩემპიონატზე და რა მაგითი? არ წააგო?

**- მაგრამ ამ ევროპამდე მან განაცხადა, რომ შარშან გადაიღალა და წლეულს ამიტომ ტოვებდა ევროპის ჩემპიონატს...**

კვირკველია: - ზუსტად ეგრე თქვა, გადავიღალეო? მაშინ იცოდეს, რომ მეც ეგრე გადაღლილი ვიყავი, როცა შარშანწინ წავაგე ევროპა და მსოფლიო (იცინის). საერთოდ, მაგ ბიჭს რომ ვაკვირდები, ერთ სეზონში ორი ტურნირის ზედიზედ მაღალ დონეზე ჭიდაობა უჭირს. ჭიდაობს ერთს და კარგად. ორი შეჯიბრების მოგება უჭირს. ეგ არაა იმ დონის ფალავანი, მთელი სეზონი ასე ერთნაირად მაღალ დონზე ჩაატაროს და ყველაფერი მოიგოს.

**- ბრძანეთ, რომ ევროპის ჩემპიონატს პიკში შეხვდით. როგორ ფიქრობთ, მსოფლიო ჩემპიონატსაც შეხვდებით პიკში? ანუ, სეზონში ორჯერ პიკში შესვლა შესაძლებელია?**

ნოზაძე: - პიკი ბოლოს მოდის, მანამ კი მოსამზადებელი ციკლი უნდა წარმართო სწორად. ტურნირზე პირველი შეხვედრის მერე უკვე ხვდები, რამდენად კარგად ხარ მომზადებული, ხარ თუ არა პიკში... მზადებისას თანდათან უმატებ დატვირთვებს და გადამწყვეტი ბოლო შეკრებაა. იქ უკვე ატყობ, როგორ ფორმაში ხარ. თუ ტრავმებმა არ შეგიშალა ხელი, მგონი, უნდა შეხვიდე პიკში.

**- მაგრამ ბევრი ხომ მსოფლიოსთვის მზადების მიზნით ევროპის პირველობას ტოვებს, რათა იმას შეხვდეს პიკში?**

ნოზაძე: - არა მგონია, ერთი ტურნირი ამდენს ნიშნავდეს. პირიქით, შეჯიბრებები აუცილებელია, რადგან ყველანაირად გეხმარება.

**- წლევანდელი მსოფლიო პირველობა შარშანდელივით არ უნდა გაგიჭირდეთ, რადგან აკლიმატიზაციის პრობლემა იმდენად არ შეგაწუხებთ.**

ნოზაძე: - ეგ მართლაც დიდი შეღავათი იქნება. აკლიმატიზაციამ ჩინეთში მართლაც ძალიან იმოქმედა. ლამის ხალიჩაზე გვეძინა. ამას ჩახუთული ჰაერიც ემატებოდა. იქ ლურჯი ცა არ დამინახავს.

კვირკველია:- ჩინეთში ჭიდაობა საშინელება იყო. ქალაქში აუტანელი ბული იდგა. ცა არ მოწმენდილა, შორს რომ გაგვეხედა...

**- ჭიდაობის წესებში შეტანილ ცვლილებებზე რა აზრის ხართ, მოგწონთ ახალი წესები?**

ნოზაძე: - ეგ ცვლილებები მართლაც ყელში ამოვიდა. ბოლო წლებში ჭიდაობა საგრძნობლად შეიცვალა. იქნებ დგომში ილეთები ბევრი არც ადრე კეთდებოდა, მაგრამ ძიძგილაობდნენ მაინც და ჭიდაობას ჰგავდა.

კვირკველია: - დგომში ჭიდაობა არც ადრე იყო. სანამ ძალა ეყოფოდა, ილეთს არც მაშინ გაგაკეთებინებდა ვინმე. თუ დაიღლებოდა, იქნებ მაშინ გაგეკეთებინა ილეთი, თორემ ადრეც ყველა ჩოქბჯენში ჩაყვანას ცდილობდა. ახლაც თუ გამოუვათ და გააკეთებენ, თორემ ელოდებიან იმ ერთი წუთის გასვლას და ჩოქბჯენში გადასვლას. თუმცა ახლა ეფექტური გდებები ბევრად მეტია. მსოფლიოსა და ევროპის პირველობებიდან თქვენ მარტო ფინალებს უყურებთ, იქ კი ყველა შეზღუდულია. ფინალი ფსიქოლოგიურად უფრო ძნელი საჭიდაოა, მაგრამ ერთი განახათ, მანამ რეები ხდება დარბაზში. 3-ქულიანზე თუ 5-ქულიანზე დაფრინავს ეს ხალხი აქეთ-იქით.

ნოზაძე: - ადრე ერთხელ თუ გაკეთდებოდა ეგეთი გდება და ხალხი აღტაცებაში მოიდოდა, ახლა კი ხუთქულიანი ილეთები ჩვეულებრივი ამბავია.

**- რამაზ, თქვენთვის ეს სტილი უფრო მისაღები არაა? ადრე დგომში ჭიდაობა შედარებით გიჭირდათ და საგანგებო ვარჯიშობდით მის დასახვეწად.**

ნოზაძე: - კი, უფრო მისაღებია, მაგრამ მას შემდეგ იმდენი რამ გადამხდა. შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ორივე ფეხზე და ორივე ხელზე კუნთები დანაწყვეტი მაქვს. მართალია, აქაჩვასაც ვაკეთებ, ტრიალსაც და ყველაფერს, მაგრამ ჯერ მაინც მიჭირს.

**- გეტყობათ კიდეც - ძველებურად ძლიერად ვერ ატრიალებთ მეტოქეებს.**

ნოზაძე: - რა გასაკვირია. ტრავმების გამო ორი წელიწადი გამიცდა. პრაქტიკულად, ვერაფერს ვაკეთებდი, ფორმის აღდგენა ასე იოლი არაა.

**- ახლაც გაგიწყდათ არა, მხრის კუნთი, ევროპაზე, ფინალში?**

ნოზაძე: - კი. დამატებით პერიოდში, ბოლო 30-წამიან მონაკვეთში, როცა შვედი აქაჩვას მიპირებდა, მაშინ გამიწყდა. ხმაც კი გავიგონე, მაგრამ მაინც გამიძლო და სწორედ ამ მხარის ხარჯზე მოვახერხე თავდაცვა. თუ დააკვირდით, რომ წამოვდექი, მხარს ვაკოცე. მადლიერების ნიშნად, რომ ბოლომდე გამიძლო.

**- მაშინ ძალიან კრიტიკული მომენტი შეგექმნათ - კინაღამ დაგატრიალათ...**

ნოზაძე: - მაგრამ დატრიალება რომ დამიპირა, უკვე მივხვდი, შანსი არ ჰქონდა, ვერ დამატრიალებდა. ამის გაკეთება დასაწყისში უფრო შეეძლო, თორემ მაშინ - არა.

**- როგორც ვიცი, მოსამზადებელ პერიოდში ორივეს საკმაოდ სერიოზული ტრავმები გაწუხებდათ.**

კვირკველია: - მე ვარჯიშზე, მინსკში ბოლო შეკრებაზე გამგზავრების წინ ვიტკინე ნეკნი. გვერდი ისე გამისივდა, ვიფიქრე, სად მივდივარ, რა მინდა-მეთქი. მაგრამ მინსკში გუნდის ექიმ ზურაბ კახაბრიშვილის დახმარებით მოვირჩინე. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და დიდ მადლობას გადავუხდი ყველას, ვინც ამ წარმატების მოპოვებაში დაგვეხმარა - კახაბრიშვილსაც, ოლიმპიურ კომიტეტსაც, ჭიდაობის ფედერაციას, სპორტის დეპარტამენტს, სპორტკლუბ „დინამოს", ნაკრებისა თუ პირად მწვრთნელებს. მათ გარეშე ეს წარმატება ნამდვილად არ იქნებოდა.

ნოზაძე: - მე ბაკურიანში, პირველ შეკრებაზე ვიტკინე ხელი და მას მერე ვერც აქაჩვას ვაკეთებდი და ვერც - ტრიალს. მინსკშიც, იმ ბოლო შეკრებაზეც არ დამიტანებია თავისთვის ძალა. ანთალიაშიც, მსოფლიო თასზეც ამიტომ ვერ ვიჭიდავე პირველი შეხვედრის მეტი. მე კი მინდოდა ჭიდაობა, მაგრამ კუნთში სისხლჩაქცევა განვითარდა და გამაჩერეს. ალბათ, კარგი გავაკეთე, თავს რომ ძალა არ დავატანე. ევროპის პირველობაზე წასვლამდე ხელი ნელ-ნელა ჩადგა ფორმაში.

აქვე მეც ვისარგებლებ შემთხვევით და შევუერთდები მანუჩარის სამადლობელს იმ ხალხისადმი, რომლებიც მზადების პერიოდში გვეხმარებოდნენ - ფედერაცია, ოლიმპიური ფონდი, „დინამო", სპორტის დეპარტამენტი, სპორტკომპლექსი "ოლიმპი", მწვრთნელები, სამედიცინო შტაბი - ზურაბ კახაბრიშვილი, თეა ადამია და სხვები. ერთი სიტყვით, ყველას მადლობას გადავუხდი, ვისაც წვლილი მიუძღვის ჩვენს წარმატებაში. ასევე დიდ მადლობას მოვუხდი იმ დახვედრის ორგანიზატორებს, რომელიც აეროპორტში მოგვიწყვეს. ეს მართლაც დაუვიწყარი დახვედრა იყო, თუმცა ცოტა კი ჩამაცივდნენ, იცეკვე, იცეკვეო... ცხოვრებაში არ მიცეკვია და იქ როგორ გამეშალა ხელები?.

**- რამაზ, ზევით ახსენეთ, რომ სათევზაოდ აპირებთ წასვლას. ნადირობა-თევზაობის და სპორტის გარდა, სხვა გატაცებები გაქვთ?**

ნოზაძე: - ძალიან ბევრი. ამ ბოლოს უფრო ექსტრემალური გართობა მიტაცებს. ძალიან მინდა პარაშუტით გადმოხტომა და ოდესღაც ავისრულებ ამ სურვილს.

კვირკველია: - ძირითადად - მანქანები. ფეხბურთსაც სიამოვნებით ვთამაშობ, თუმცა ბოლო შეხვედრა „თავისუფალთა" ნაკრებთან ცუდად მახსენდება - წავაგეთ. მათ უმეტესად ვუგებთ, მაგრამ ეს ბოლო შეხვედრა ბორჯომში, სპორტკომპლექს „ოლიმპში" შეკრებაზე ყოფნისას, სადაც მართლაც ჩინებული პირობებია მოსამზადებლად, იქაურ ცენტრალურ სტადიონზე ვითამაშეთ და მიზეზთა გამო, წავაგეთ.

**ირაკლი თავაძე**

კალათბურთი



ყველა ვარსკვლავის მატჩი

# ვარსკვლავები გვამცნობენ: მზად ვართ!

**გუშინ, კაფე "მსოფლიო სპორტში" კალათბურთელთა წარმომადგენლობითი დელეგაცია შეიკრიბა. 10 მოთამაშეს ორი მწვრთნელი ახლდა - დავით უსტიაშვილი და ვაჟა მხეიძე. დაკვირვებული მკითხველი მიხვდებოდა, რომ კაფეში მათი ვიზიტი საქართველოს მე-5 "ოლ სტართან" უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ეს შეხვედრა დღეს 16:45 დაიწყება და სასტარტო შემადგენლობის ათივე წევრმა წინასამატჩო ამბებზე ისაუბრა.**

შეხვედრაზე მარჯვნივ **ლევან მოსეშვილის** გუნდი (რომელსაც მისი თანაშემწე ვაჟა მხეიძე განვრთნის. ბატონი ლევანი შეუძლოდაა) განლაგდა, შესაბამისად, პრესკონფერენციაც მისმა გამთამაშებელმა, თსუ-ელმა **ბესიკ ლეჟავამ** გახსნა: "ვარსკვლავთა მატჩისგან ნებისმიერი ჩვენგანი ლამაზ თამაშს ელის. ჩვენი მხრიდან ყველაფერს ვილონებთ, რომ შეხვედრა სანახაობრივი გამოვიდეს."

**ლუკა შანიძე** (თსუ): "პირველ რიგში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ღონისძიება ქომაგებისთვისაა და ჩვენც მათ განწყობაზე უნდა ვიზრუნოთ. ვიმედოვნებთ, ქომაგი დარბაზიდან ნასიამოვნები წავა."

**შიო ხეცურიანი** (თსუ): "ჩემი დაკვირვებით, ყველა "ოლ სტარი" ლაღი თამაშით იწყება და ბრძოლით მთავრდება. ალბათ, არც ხვალინდელი შეხვედრა იქნება გამონაკლისი - საწყის სამ მეოთხედში სანახაობრივ თამაშს უნდა ველოდეთ, ხლო ბოლო ათწუთეულში შედეგზე მოგვიწევს ზრუნვა."

**ნოდარ ბერაია** (სტუ): "ჩემმა კლუბმა ჩემპიონატი უკვე დაასრულა. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სტუ-ს მაისური არ შევარცხვინო. იმის იმედიც მაქვს, რომ სამქულიანების კონკურსში შედარებით გამოცდილ მოწინააღმდეგეებს ღირსეულ კონკურენციას გავუწევ."

**რიჩარდ მათიაშვილი** (თსუ): "ჩემმა მეგობრებმა საკმარისად ისაუბრეს და ჩემი მხრიდან მხოლოდ ერთს დავძენ - მაყურებელს ლამაზი შოუ ელის."

**ვაჟა მხეიძე** ("ავიამშენისა" და ლევან მოსეშვილის გუნდის მწვრთნელი): "ჩვენს შემადგენლობაში ერთი ცვლილება მოხდა. ოჯახური პირობების გამო, გამოგვაკლდა ირაკლი ხოშტარია. მის ნაცვლად დავიმატეთ აზერბაიჯანიდან დაბრუნებული დავით ბარბაქაძე, რომელმაც სეზონი "ავიამშენში" დაიწყო. ვიმედოვნებ, ქომაგების რაოდენობა შარშანდელზე მეტი იქნება..."

**დავით უსტიაშვილი** ("აზოტის" მწვრთნელი): "მატჩი საინტერესო უნდა იყოს. ამასთან, ჩვენთვის მთავარია, ხვალინდელმა დღემ უტრავმოდ ჩაიაროს. მომდევნო კვირას ხომ ფლეი ოფები იწყება."

**დავით უგრეხელიძე** ("აზოტი"): "მეტოქე კალათბურთელები ქომაგს ლამაზ თამაშს დაჰპირდნენ. ჩვენც იგივეს გავაკეთებთ და ძალიან მინდა, გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩეს."

**ანატოლი ბოისა** ("აზოტი"): "მხოლოდ გაციებას ვუჩივი. სხვა მხრივ პრობლემა არა მაქვს - ფორმაშიც ვარ და განწყობაც საბრძოლოა. ვფიქრობ, მატჩსაც მოვიგებ და ჩატენვების კონკურსსაც."

**კოტე ტულუში** ("აზოტი"): "ჩემთვის სამქულიანების კონკურსში მთავარი მონაწილეობაა, რადგან გიორგი მარკოიშვილი და ირაკლი ბერიშვილი სერიოზული კონკურენტები არიან."

**გიორგი მარკოიშვილი** ("აზოტი"): "სამქულიანების კონკურსის ფავორიტად მეც ორ მოთამაშედ, დავასახელებ - ბერიშვილსა და ტულუშს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთი წლის წინათ ახალგაზრდა ნოდარ ბერაია ამ შეჯიბრების ფინალში გავიდა... მოკლედ, ვის ვინ აჯობებს, ხვალ ვნახავთ."

**ლაშა გამყრელიძე** ("აზოტი"): "საქართველოში წინაღობების დაძლევის კონკურსი პირველად ტარდება. შესაბამისად, მასში მონაწილეობა და გამარჯვება მეტად საპატიოა. ვეცდები, პირველობა არავის დავუთმო."

**ვაჟა სიმონიშვილი**

**დასაწყისი 16:45**

სავარაუდო ხანგრძლივობა 2 საათი

1. გახსნა
2. მერაბ სეფაშვილის სოლო-ნომერი

**3. I მეოთხედი**

4. შესვენება - სამქულიანების კონკურსის შესარჩევი ეტაპი

**5. II მეოთხედი**

6. დიდი შესვენება - ჩატენვების კონკურსი
7. მედოლეთა ნომერი
8. წინაღობების დაძლევა და გამარჯვებულის დაჯილდოება

**9. III მეოთხედი**

10. შესვენება - სამქულიანების ფინალი და დაჯილდოვება

**11. IV მეოთხედი**

12. ჩატენვების ფინალი და დაჯილდოვება
13. მატჩის საუკეთესო მოთამაშის დასახელება და დაჯილდოვება

შეხვედრას გაუძღვება ქართული შოუ-ბიზნესის ცნობილი წარმომადგენელი მამუკა ონაშვილი.

**უსტიაშვილის გუნდი**

სასტარტო ხუთეული: კოტე ტულუში (აზოტი), გიორგი გამყრელიძე (აზოტი), დავით უგრეხელიძე (აზოტი), ანატოლი ბოისა (აზოტი), გიორგი მარკოიშვილი (აზოტი)

სათადარიგოები: რამაზ გოგობერიშვილი (აზოტი), რევაზ დიდია (აზოტი), ვლადიმერ ბეჟანიშვილი (აზოტი), გიორგი დოლიძე (მაკაბი), ლექსო ლაფანაშვილი (დინამო), გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო), დავით გვიმრაძე (დინამო).

**მოსეშვილის გუნდი**

სასტარტო ხუთეული: შიო ხეცურიანი (თსუ), ბესიკ ლეჟავა (თსუ), ლუკა შანიძე (თსუ), ნოდარ ბერაია (სტუ), რიჩარდ მათიაშვილი (თსუ).

სათადარიგოები: ზვიად ბაბიაშვილი (თბილავიამშენი), დავით ბერიშვილი (თბილავიამშენი), ირაკლი ხოშტარია (თბილავიამშენი), პლასიდე როდუმტა (თბილავიამშენი), მიხეილ ბერიშვილი (თსუ), ბუბა ბერიშვილი (თსუ), გიგი ბარბაქაძე (სტუ).

**სამქულიანების კონკურსი**

კოტე ტულუში (აზოტი), დავით ბერიშვილი (თბილავიამშენი), გიორგი მარკოიშვლი (აზოტი), ნოდარ ბერაია (სტუ), ზურაბ კორკოტაძე (მაკაბი).

**წინაღობების დაძლევა**

გიორგი გამყრელიძე (აზოტი), დავით არნიეიძე (თსუ), გიორგი ნიკოლაძე (თბილავიამშენი), ირაკლი ბერიშვილი (თბილავიამშენი).

**ჩატენვის კონკურსი**

ანატოლი ბოისა (აზოტი), ვახტანგ მინაშვილი (აზოტი), გიგი ბარბაქაძე (სტუ), მიხეილ ფანჩულიძე (თსუ).

უკანასკნელი კონკურსის გამარჯვებულის გამოსავლენი ჟიური: ვლადიმერ უგრეხელიძე, ამირანი ორმოცაძე, ირაკლი ჯაფარიძე, კახა შენგელია და სპეციალურად ამ თამაშისთვის თბილისში ჩამოსული ზაზა ფაჩულია.

ლეგიონერი. გიორგი ცინცაძე

# პირველი ნაბიჯი ფინალისკენ



გიორგი ცინცაძე ესტონეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში ჩაერთო. მისმა "ტარტუ როკმა" სერიის პირველი მატჩი შინ ჩაატარა და "დალკია" დამაჯერებლად დაამარცხა - 88:73.

ქართველი გამთამაშებელი სათადარიგო იყო და შეცვლაზე შესულმა 18 წუთში დამაჯერებლად ითამაშა: 2 სამქულიანი ტყორცნიდან ორივე გამოიყენა და 6 ქულას 4 მოხსნა და 2 პასი მიამატა. გეხსომებათ, რომ გიორგი არც მეოთხედფინალებში თამაშობდა სასტარტო შემადგენლობაში. ამის მიზეზი ამერიკელი გამთამაშებელი **დევიდ ბეილია**, რომელიც "როკერთა" მწვრთნელმა სეზონის დასკვნით ნაწილში დაიმატა.

ესტონეთის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია სამ მოგებამდეა. მომდევნო მატჩს "როკი" "დალკიას" მოედანზე 29 აპრილს გამართავს.

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# მამული აღარ ითამაშებს

**მამული-იმედი 27:30**

მამული: ხონელიძე, კიზირია, გველესიანი (9), შ. დორეული (1), შონია (5), მოციქულაშვილი (6), ი. გელაშვილი (6)

იმედი: ვახანია, გონჩაროვი, კვერნაძე, ლომიძე, ჟღენტი (3), ქარდავა (13), ბერიაშვილი (2), კერესელიძე (1), ყაველაშვილი (3), თეთრუაშვილი (3), მაისურაძე (5), საბანაშვილი, ცოტაძე, ბიდოდაშვილი

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

**თბილისი-ქარიშხალა 38:32**

თბილისი: გ. სეთურიძე, ნატროშვილი (3), ფორაქიშვილი (1), ნივნივაძე (15), ქირია (3), ღლანიძე (2), გრიშიკაშვილი (1), ოსიყმაშვილი (4), ლ. გელაშვილი (9), სამარღანიშვილი, ქუთათელაძე

ქარიშხალა: გ. ტორონჯაძე, ქანთარია, სხიერელი (7), ი. ტორონჯაძე (5), ჯორბენაძე (3), მელქოშვილი (12), დ. სეთურიძე, ჩიხლაძე (2), ფერაძე (1), ა. ამირანაშვილი, ო. ამირანაშვილი, ჯოხარიძე (2), მუმლაძე

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ/თელავი | 13 | 11 | 1 | 1 | +190 | 23 |
| თბილისი | 13 | 11 | 1 | 1 | +147 | 23 |
| ქარიშხალა | 14 | 5 | 1 | 8 | -13 | 11 |
| იმედი | 14 | 5 | 1 | 8 | -84 | 11 |
| მამული | 14 | 0 | 0 | 14 | -208 | 0 |

ბომბარდირები: გიორგი ნივნივაძე (თბილისი 122 ), რამაზ შონია (მამული 102), აკაკი ტალახაძე (სტუ/თელავი 81)

"მამულს" ბოლო ტურის მატჩი აქვს გასამართი, მაგრამ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია, რომ ამ გუნდმა გუშინ დაასრულა წლევანდელი ჩემპიონატი. როგორც მისმა თავკაცმა **რეზო ჭანტურიამ** გვითხრა, ასეთი გუნდით, აქამდეც არ უნდა ეთამაშა:

*"ბოლო ორი წელია, რაც მწვავე ფინანსური კრიზისი გვაწუხებს. წლეულს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვართ. ფაქტობრივად, უპატრონოდ ვართ. სპორტსმენებს ვერ ვაძლევთ ხელფასებს, რის გამოც სეზონის წინ ერთბაშად 11 წამყვანი ხელბურთელი დავკარგეთ. იმ შემადგენლობიდან, ვინც დღეისავის შემომრჩა, უკლებლივ ყველა სათადარიგო იყო. თვით მეკარე ალეასანდრე ხონელიძეც კი, რომელიც წლეულს ბრწყინვალე სეზონს ატარებს, ამ სეზონამდე გიორგი რობაქიძის დუბლიორი გახლდათ. სხვათა შორის, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, მინდა, ხონელიძე უცხოეთში გავუშვა, რადგან აქ ცოდვაა. სავარაუდოდ, იგი რომელიმე სერბულ კლუბში გააგრძელებს კარიერას. ის 11 ხელბურთელი, რომლებიც ფინანსური პრობლემების გამო ვერ შევინარჩუნეთ, ახლა რომ მყავდეს, რეალურად ვიბრძოლებდით ჩემპიონობისთვის. მაგრამ ახლა რა დღეში ვართ, თავადაც ხედავთ. რაც ჩვენი გუნდი არსებობს, სისტემატურად პრიზიორთა შორის ვიყავით, მაგრამ ახლა ჩემპიონატს ისე ვასრულებთ, რომ ერთი ქულაც ვერ ავიღეთ. ბოლო თამაშებში შვიდ ხელბურთელს ძლივს ვაგროვებ ხოლმე, რათა კაცნაკლულებმა არ ვითამაშოთ.*

*ასეთ სირცხვილს ალბათ ჯობდა, წლევანდელ ჩემპიონატში სულ არ გამოვსულიყავით, მაგრამ ისედაც ხუთი კლუბია და ჩვენც რომ გამოვკლებოდით, ვილა დარჩებოდა. ბოლო ტურში კი "თბილისთან" თამაშის აზრს ვერ ვხედავ. საკუთარ თავსაც რომ გადავახტეთ, მაინც გამანადგურებელი სხვაობით წავაგებთ. ამიტომ, წლევანდელი ჩემპიონატის დასრულებას დღევანდელი მატჩით ვაპირებთ. აი, მომავალი სეზონიდან კი აუცილებლად მოვნახავთ სპონსორს, შემადგენლობასაც გავაძლიერებთ და სულ სხვა "მამულს" იხილავთ".*

აქვე იმასაც გეტყვით, რომ "მამულის" ვეტერანმა ხელბურთელმა **ლაშა მოციქულაშვილმა** კარიერის დასრულება გადაწყვიტა და გვითხრა, რომ თავის ბოლო თამაშს ატარებდა. ლაშა და მისი თანაგუნდელები გუშინ ბევრს კი ეცადნენ, თავაწეულებს დაესრულებინათ კარიერა და წლევანდელი სეზონი, მაგრამ კლასით უფრო მაღლა მდგომ "იმედთან" მაინც ვერაფერს გახდნენ. მართალია, მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე, მამულელებმა ორ ბურთამდე დაიყვანეს სხვაობა, მაგრამ მეტის გაკეთება ველარ მოახერხეს.

ფაქტობრივად, არაფრისმომცემი იყო მეორე მატჩი "თბილისსა" და "ქარიშხალას" შორის. გამარჯვებულის ვინაობის გამოცნობა არც აქ იყო რთული და სენსაციაც რომ მომხდარიყო, კარს მომდგარი ფლეი ოფებისთვის, არაფერი შეიცვლებოდა. კარგა ხნის წინათ გადაწყდა, რომ "თბილისი" ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, ხოლო შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი "ქარიშხალისთვის" წლეულს მაქსიმუმი ბრინჯაო იქნება.

ქარიშხალელებმა გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს. საწყის 15 წუთში ათბურთიანი სხვაობის ჩამორჩენის შემდეგ, მათ რამდენჯერმე ორ ბურთამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა. "ქარიშხალაში" მორიგი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა დისკვალიფიკაციამოხდილმა მეკარე **გიგა ტორონჯაძემ**, რომელმაც უამრავი რთული დარტყმა უკუაგდო, ხოლო "თბილისის" რიგებს ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული **ლაშა სამარღანიშვილი.**

მოკლედ, "თბილისმა" ცოტა მძიმედ, მაგრამ მაინც მოიგო და სატურნირო ცხრილში, კვლავ ქულებით გაუთანაბრდა სტუ-"თელავს". 3 მაისს, 15 საათზე, ეს გუნდები თელავში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და იქ გაარკვევენ, ვინ დაასრულებს პირველ ადგილზე რეგულარულ ჩემპიონატს. იქამდე კი, 2 მაისს, "ქარიშხალა" და "იმედი" მესამე ადგილოსნის ბედს გაარკვევს.

**კობა ხატისაშვილი**

ცხენოსნობა

# რეპეტიცია ბაქოსთვის

საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის თაოსნობით, 9 მაისს, ბაქოში, პირველად გაიმართება "კასპიის თასის" გათამაშება დაბრკოლებათა გადალახვაში. საქართველოს ამ წინადადებას მხარი დაუჭირა საერთაშორისო ფედერაციამ და ასპარეზობა თავის კალენდარში შეიტანა. ასე რომ, ტურნირი ბაქოში ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გაიმართება. რატომ ბაქოში? ტურნირის ხარჯების გაღებაზე თანხმობა აზერბაიჯანმა განაცხადა. ეს იყო გადამწყვეტი.

გუშინ ჩვენმა მხედრებმა, ბაქოში გამგზავრებამდე ათი დღით ადრე, დედაქალაქის იპოდრომზე, "თბილისის თასის" გათამაშების ტურნირი დაიწყეს. პროგრამა "კასპიის თასის" ანალოგიურია - დაბრკოლებათა გადალახვა ახალგაზრდა და უფროსი ასაკის ცხენებისთვის. მარშრუტი შეადგინა გამოცდილმა მხედარმა **ზაზა ჩიტრიკაშვილმა.**

"თბილისის თასზე" (კონკური №1, ახალგაზრდა ცხენებისთვის) საუკეთესო იყო **ივანე ნორაკიძე** (ცხენი "ეროსი"), მეორე ადგილზე გავიდა **გიორგი აფციაური** (ცხენი "გედი") - ორივე მხედარი ჟოკეი კლუბის წარმომადგენელია, მესამე პრიზიორი გახდა **გიორგი სამხარაძე** (ცხენი "ელდორადო"). ეს მერანი კერძო მფლობელისაა. ასპარეზობის ინტერესის ამაღლებისა და ნიჭიერ მოზარდ მხედართა გამოვლენის მიზნით, ორგანიზატორებმა ჭაბუკთა შორისაც გამართეს შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში. ადგილები აქ ასე განაწილდა: 1. **გაგა თოხაძე** (ცხენი "ზული"); 2. **გაგა თოხაძე** (ცხენი "სულგრძელი", გამოდიოდა ორი ცხენით); 3. **ცოტნე თავაძე** (ცხენი "სარანგი"). ორივე მხედარი ჟოკეი კლუბის წევრია.

პირველი დღის შედეგებით კმაყოფილი ვართ. მოსაწონი მომზადება გამოავლინეს ჭაბუკებმაც. კარგი თაობა გვეზრდება", - თქვა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა **ლაშა ჯაიანმა.**

ასპარეზობა დღეს დასრულდება.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

თარიღი

**გია გალდავა.** დაიბადა 28.04.1964, თბილისი. თავისუფალი ჭიდაობა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. საქართველოს ოლიმპიური გუნდის უფროსი მწვრთნელი (1994-96) და მწვრთნელი (1996-2004). საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (2004 წლიდან). მისი აღზრდილები არიან ლუკა კურტანიძე და გოჩა კირკიტაძე. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

**კონსტანტინე კუპატაძე.** დაიბადა 28.04.1983, ბოლნისი. კრივი (57 და 6) კგ). ევროპის ჩემპიონატის ორგზის მესამე პრიზიორი (2002, 04). 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (პირველ წრეში წააგო კორეელ სონგ გუკ კიმთან, რომელიც შემდეგ ფინალში გავიდა). დაღესტნისა და ესტონეთის A კლასის ტურნირებში გამარჯვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

ფედერაციის თასი. ინტერვიუ ლალი ზერეკიძესთან

# სიცილ-ხარხარში მოგებული გადამწყვეტი მატჩი

**ერთი კვირის წინ საქართველოს ქალთა ნაკრებმა წარმატებულად ითამაშა მავრიკეთში, ფედერაციის თასზე, ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფში და ერთი საფეხურით ზემოთ აინაცვლა. ვესაუბრებით ნაკრების კაპიტანს, ქალბატონ ლალი ზერეკიძეს.**

- ძალიან ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ, მაგრამ ასეთი უცნაური და ლამაზი პეიზაჟები არსად მინახავს. კიდევ უფრო უცნაური კლიმატია: დღეში რამდენჯერმე წვიმს და გამოიდარებს. წვიმაც არის და წვიმაც - ისეთ თქეშს დაუშვებს, კოკიდან რომ გადმოგილვრია. წვიმა მოკლეა, მაგრამ შემდეგ ძალიან ჩამოცხება ხოლმე. ჩვენი იქ ყოფნის დროს მხოლოდ ერთი დღე იყო უწვიმოდ და ყველანი დავიფუფქეთ, ეკა გორგოძეს კი სახე შეუშუპდა. კიდევ კარგი, შევძელით და კლიმატის ჭირვეულობამ გამარჯვებაში ხელი ვერ შეგვიშალა.

**- ასეთ შორეთში მნიშვნელოვანი ტურნირის ჩატარება რამ განაპირობა?**

- ქვეყანა პატარა კია და მხოლოდ ერთი საჩოგბურთო კლუბი აქვს, მაგრამ ძალიან მაღალ დონეზეა მოწყობილი. ორგანიზაციის მხრივ მასპინძლებს წუნი არაფერში დაედებათ - საოცრად გულისხმიერები და ორგანიზებულები იყვნენ. თავად კუნძული მსოფლიო დონის საკურორტო ზონაა. სასტუმროებიც უმაღლესი კლასისაა და რაოდენობრივადაც ბევრია. მოსახლეობის ძირითად ნაწილს ინდუსები შეადგენენ, ადრე ინგლისის კოლონია იყო და ინგლისური კულტურის გავლენა იგრძნობა; სახელმწიფო ენაც ინგლისურია, თუმცა აქვთ მეორე სახელმწიფო ენაც - ფრანგული და უმეტესობა ფრანგულად საუბრობს.

**- წარმატება თვალსაჩინოა - ევრო-აფრიკული ზონის პირველ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეთ. შედეგით, ცხადია, კმაყოფილი იქნებით, მაგრამ თამაშის ხარისხზე რას იტყვით?**

- პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ წილისყრამ არ გაგვიმართლა: ჩვენს ჯგუფში ტურნირის სამი ფავორიტი მოხვდა - პორტუგალია, ბოსნია და საქართველო, მეორე ჯგუფში კი - შედარებით სუსტები.

ჩვენი გოგონების თამაშის ხარისხით მეტ-ნაკლებად ვარ კმაყოფილი. ერთს აღვნიშნავ, როცა გუნდში მაკა ჩახნაშვილი გყავს, შედარებით მშვიდად ხარ, რადგანაც მაკა საოცრად გუნდური მოთამაშეა, მას შეუძლია თავი გადადოს და გაიმარჯვოს. სხვათა შორის, პირად ასპარეზობებში მაკას ასეთი შემართება ნაკლებად ახასიათებს. ცხადია, როცა სხვები ხედავენ ჩახნაშვილის მონდომებას, თავადაც იმუხტებიან და სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობამ მოიტანა გამარჯვება. მაკას რიგ შეთხვევებში გაუჭირდა. მაგალითად, პირველ ტურში ნორვეგიელთან, რომელიც ქართველზე 600 საფეხურით უკანაა რეიტინგში - პირველ დღეს 5:5-ზე თამაში შეწყდა. აქ საქმეში ამინდის ჭირვეულობა ჩაერია - ჯერ კიდევ მსვლელობისას 4-ჯერ მოუწიათ შეჩერება და ბოლოს მეორე დღისთვის გადაიდო მატჩის დასრულება. მეორე დღეს კი პორტუგალიასთანაც გვქონდა შეხვედრა. ნორვეგიელთან მაკამ 7:5, 6:4 მოიგო, მაგრამ პორტუგალიელთან უკვე დაღლილი იყო და დამარცხდა. წვიმამ აქაც გაგვანამა - თამაში შვიდჯერ შეწყდა და როგორც ჩანს, ნერვებმაც უმტყუნა მაკას.

რაც შეეხება ოქსანა კალაშნიკოვას, მხოლოდ სამხრეთაფრიკელთან წაგებას არ ვგეგმავდი - სუსტად ითამაშა, მაგრამ დანარჩენ შეხვედრებში კარგად გაისარჯა და წარმატებაში დიდი წილი დაიდო. ასევე გამოვყოფ ეკა გორგოძის შესანიშნავ თამაშს. მე მას შანსი გადამწყვეტ ხელში, სამხრეთ აფრიკასთან მივეცი, როცა მაკასთან წყვილში დავაყენე. აფრიკელები წყვილის სპეციალისტები არიან და რეიტინგიანი ტურნირებიც კი მოუგიათ. სიმართლე გითხრათ, მოგებისა ნაკლებად მჯეროდა, მაგრამ ეკას მონდომებამ ყველაფერი საჩვენოდ გადაწყვიტა. გორგოძის კარგი თამაში მაკასთვისაც მოულოდნელი იყო და ღიმილითაც კი ხვდებოდა ყოველ ჩაგდებულ ბურთს. ეკასაც დაძაბულობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა და სიცილ-ხარხარში ჩაამთავრა მატჩი. აქ, შესაძლოა, მიმეთითებინა გოგონებისთვის, - რა გაცინებთ, სერიოზულად მიუდექით თამაშს-მეთქი, მაგრამ მივხვდი, რომ ამით საქმეს გავუფუჭებდი და ბოლომდე მივანდე მატჩის ბედი იმ სცენარს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ გოგონები. ფაქტია, რომ მეტოქეც პირშიჩალაგამოვლებული დარჩა და მთავარი მიზანი მიღწეულ იქნა.

მინდა აღვნიშნო სოფიკო ქვაცაბაიას თამაშიც, რომელსაც შანსი პორტუგალიასთან, წყვილთა შორის მივეცი. ერთსაც მოგახსენებთ, ქართულ ჩოგბურთში ამ გოგონებისა და სხვათა სახით ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის და მათი იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ დღეისთვის მეტის მიღწევა არ შეგვიძლია, იმის გამო, რომ ძალიან ახალგაზრდები არიან. უკვე გაისიდან ბევრად ძლიერები ვიქნებით და თუკი უმაღლეს ლიგაში ვერ გადავალთ, პირველში ადგილის შენარჩუნება აუცილებლად უნდა შევძლოთ.

**- გამარჯვების ნიშნად რაიმე პრიზი ხომ არ გერგოთ?**

- მავრიკეთში არსებობს შუშის ქარხანა და გალერეა, სადაც უნიკალური ნაკეთობანია გამოფენილი. ჩვენ და პორტუგალიელებს გამარჯვების ნიშნად მავრიკეთის სიმბოლო - შუშის იხვის მსგავსი ფრინველი "დოდო" გადმოგვცეს. ამ ფრინველზე ბევრი მოგვითხრეს. თურმე შორეულ 1681-1693 წლებში გადაშენებულა, მაგრამ ადგილობრივებს სიყვარული დღემდე შემორჩენიათ და ყველაფერს ამ ფრინველს ახატავენ.

სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ კუნძულზე პირველი ქართველები ვიყავით. ამ ფაქტით გახალისებული ადგილობრივი სასაზღვრო სამსახურის წევრები ქართულ პასპორტებს ერთმანეთს უჩვენებდნენ.

**- გაისად რა გველი?**

- 16 გუნდში მოგვიწევს ძალების მოსინჯვა. 4 ოთხგუნდიან ქვეჯგუფში თუ გავიმარჯვებთ, შემდეგ ნახევარფინალში გავალთ და უმაღლეს ჯგუფში გადასვლის შანსი მოგვეცემა. თუ ვერა, მაშინ მთავარი ამოცანა II-III ადგილის დაკავებაა, რაც პირველ ჯგუფში ადგილს შეგვინარჩუნებს, თუკი მეოთხეზე გავედით, მაშინ ფლეი ოფში მოგვიწევს ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა.

**ზვიად შათირიშვილი**

## ტატიშვილი მეოთხედფინალშია

**ჩოგბურთი.** 17 წლის **ანა ტატიშვილმა** ჯორჯიის შტატის კურორტ სი აილენდში ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო და 50-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში გავიდა. ანა ორ თანამემამულესთან ერთად (**სოფიო მელიქიშვილი და სალომე დევიძე**) ტურნირში საკვალიფიკაციო წრეებიდან ჩაება, სამი მატჩი მან საკვალიფიკაციო წრეში მოიგო, ორიც - ძირითად ბადეში. სი აილენდის ტურნირის მერვედფინალში ანა ტატიშვილი არგენტინელ **ბეტინა ხოსამის** (226) შეხვდა და მოუგო - 6:4. 7:5. მეოთხედფინალში ანა ტატიშვილი რუს **ალა კუდრიავცევას** (99) შეხვდება. 19 წლის კუდრიავცევა მე-4 ნომრად არის განთესილი, ერთი კვირის წინ მან ტატიშვილს სამ სეტში მოუგო დოტენის ტურნირის ძირითად ბადეში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## რაგბი



გიორგი ჟღენტი (ბურთით)

ლეგიონერები

# ჟღენტი ბიარიცში გადავიდა

## მოსალოდნელია სხვა ტრანსფერებიც

საფრანგეთის ჩემპიონატის დასრულებამდე თვეზე მეტია დარჩენილი. მიუხედავად ამისა, სატრანსფერო ციებცხელება უკვე გახურებულია. წლეულს ქართველი მორაგბეები უჩვეულოდ ადრიანად ჩაერთნენ ამ პროცესში.

ახლახან საფრანგეთის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ "ბიარიცთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი პირველხაზელმა **გიორგი ჟღენტმა**, რომელიც აქამდე "კლერმონის" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ ჟღენტის ახალი, ბასკური კლუბი ყველაზე ტიტულოვანია მათ შორის სადაც ქართველ მორაგბეებს უთამაშიათ. ამ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა ქართული წარმოშობის ფრანგი მორაგბე **დიმიტრი იაშვილი**.

ასევე ბასკეთს მიაშურა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთმა პირველხაზელმა **ავთანდილ კოპალიანმა**. მან "მონტობანი" დატოვა და მომავალი სეზონიდან "ბაიონის" ღირსებას დაიცავს. "ბურგუენს" დატოვებს **დავით ხინჩაგიშვილი**, რომელმაც უკვე დაასრულა მოლაპარაკება "ბრივთან". ამავე კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს ნაკრები მეორეხაზელის, **მამუკა გორგოძის** მენეჯერიც. გორგოძე ბრივულებისგან საბოლოო პასუხს მომავალ კვირაში მიიღებს. არც ისაა გამორიცხული, ქართველი "მონპელიეში" დარჩეს.

ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ გარკვეული კიდევ ერთი ბურგუენელის, **ირაკლი გიორგაძის** მომავალი კლუბის ვინაობა. საქართველოს ნაკრების შუამარბის ხილვა თავის რიგებში მეორე დივიზიონის ერთ-ერთ წამყვან კლუბ "ლიონს" სურს. მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა.

სავარაუდოდ, ფედერალურ დივიზიონს თავს დააღწევს **მალხაზ ურჯუკაშვილი**. ის უკვე იმყოფებოდა გასინჯვაზე "ორიიაკში" და კლუბის ხელმძღვანელებმა ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. "ორიაკი" მეორე დივიზიონიდან შარშანდელ სეზონში გავარდა და ახლა უკან დაბრუნების ყველაზე რეალური კანდიდატია. ამ გუნდში, უკვე ხუთ წელზე მეტია ჩენთვის კარგად ნაცნობი რუმინელები, **რომეო გონტინიაკი** და **გაბრიელ ბრეზოიანუ** თამაშობენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ძიუდო

# ცოტაც გვადროვეთ

გუშინ სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართეს ძიუდოს ფედერაციისა და ქალთა ნაკრების ხელმძღვანელებმა, რომელიც ძირითადად ახალგაზრდული და გოგონათა გუნდების წარმატებულ გამოსვლას მიეძღვნა. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდულმა ნაკრებმა კაუნასში იჭიდავა, სადაც 10 მონაწილიდან 4 მედალი მოიპოვეს - 1 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ჩემპიონი **თინათინ ქულოსაშვილი** (63) გახდა, **დუსკა ქერიმოვა** (57) ფინალში დამარცხდა, ბრინჯაოს მედლები კი **ნათია როსტომაშვილმა** (48) და **მარიამ ჩადუნელმა** (+79) მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ როსტომაშვილმა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში თანაგუნდელი, ეროვნულის ლიდერად შეგულებული **ნაია ვეშაგური** დაამარცხა.

კიდევ უფრო დიდი წარმატებით გამოვიდნენ ჩვენები ანკარაში, გოგონათა მსოფლიო თასზე, რომელშიც 9 გუნდი მონაწილეობდა. ჩვენების მონაგარი 4 ოქროს, 2 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალია. იქ ჩემპიონები **ნაია ვეშაგური** (48), **მარიამ ტარუაშვილი** (57), **თეონა სუხიტაშვილი** (70) და **ნანა კაკაბაძე** (+78) გახდნენ. მეორეზე **სოფიო როსტომაშვილი** (52) და **მარიამ ვარდანაშვილი** (70) გავიდნენ, მესამეზე - **მარიამ ოქრუაშვილი** (57), **შორენა შარაძე** (57) და **ანი ავაქიანი** (63).

მოპოვებულ მედლებზე მეტად გასახარი გოგოების ჭიდაობა გამოდგა - მათ დაამტკიცეს, რომ იზრდებიან და უკვე მომავალ ოლიმპიურ ციკლში უცხოელებს წარმატებით შეებრძოლებიან. გამოითქვა იმედი, რომ უკვე ლონდონის ოლიმპიადაზე მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს ქართველებიც შეემატებიან. ერთადერთი, სინანულით მხოლოდ დუსკა ქერიმოვას ვერცხლზე ისაუბრეს, რადგან, მწვრთნელთა თქმით, იგი ფინალში მსაჯებმა უმოწყალოდ დაჩაგრეს.

იქვე სინანულიც გამოითქვა საქართველოში ქალთა ძიუდოს პირველი ტალღის შეჩერების გამო, რაც პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. ცხადია, გაიხსენეს იმ თაობის წარმომადგენელი, ამჟამად რუსეთის სახელით მოასპარეზე **თეა დონღუზაშვილიც**, რომელიც მძიმე წონაში პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავეა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **შენგელი ფიცხელაურმა** ხაზი იმ უცნაურობას გაუსვა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ვაჟთა ნაკრების ქვეყანაში ქალთა ძიუდო, პრაქტიკულად, არ არსებობს. არადა, მისი თქმით, ოლიმპიადაზე, ევროპისა თუ მსოფლიო პირველობებზე არანაირი განსხვავება არაა ვაჟთა და ქალთა მედლებს შორის, ხოლო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველო მუდამ იჩაგრება იმ უბრალო მიზეზით, რომ სხვები ორივე სქესის ნაკრებთა მონაგარს ითვლიან, ჩვენები - მხოლოდ ვაჟებისას. ფიცხელაურმაც და ფედერაციის კიდევ ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა - **თემურ ხუბულურმა** აღნიშნეს, რომ ქალთა ძიუდოს პერსპექტივა საქართველოში კვლავაც დიდია, ახლანდელ ნაკრებშიც საკმაოდ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, მაგრამ შედეგებს დრო სჭირდება.

პრესკონფერენციაზე არაერთი სამადლობელი ითქვა იმ ხალხისა თუ უწყებების მიმართ, რომლებიც ქალთა ძიუდოს ეხმარებიან. ესენია ბოლნისის რაიონის გამგებელი **გია არევაძე**, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი... ამ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია გალდავამ** კმაყოფილებით აღნიშნა, რომ როცა საქართველოში საკლუბო სისტემა ძნელად იკიდებს ფეხს, ძიუდოში ორი კლუბი არსებობს - ვაჟებისა „საგარეჯო“ და ქალთა კლუბი „ნიკე“ ბოლნისში.

გუშინდელ შეხვედრას ქალთა ნაკრების თავკაცი **გოდერძი ველიჯანაშვილი** არ ესწრებოდა. იგი დანიურ ვეიენშია, სადაც დღეს-ხვალ სეზონის პირველი სალიცენზიო ტურნირი ტარდება. იქ საქართველოდან მხოლოდ ორნი - **დუსკა ქერიმოვა** (57) და **ირინა ლეონიძე** (+78). პრესკონფერენციაზე გამოთქვეს იმედი, რომ ისინი სალიცენზიო ქულებს მოიპოვებენ.

სიტყვამ სალიცენზიო ტურნირები მოიტანა და ბარემ აქვე გეტყვით, რომ ამ უქმეებზე ვაჟთა პირველი სალიცენზიო ტურნირიც იმართება - რომში, სადაც შოთა ხაბარელის კრებული ასეთი შემადგენლობით იჭიდავებს: **დავით ასუმბანი** და **ვახტანგ ხოსიტაშვილი** (ორივე - 60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **გიგა წიკლაური** (73), **საბა გავაშელიშვილი**, **ლევან წიკლაური** (81), **ირაკლი ცირეკიძე**, **ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი**, **გიორგი ყიზილაშვილი** (100), **ლაშა გუჯეჯიანი**, **ზვიად ხანჯალიაშვილი** (+120).




**ირაკლი თავაძე**

NBA. ფლეი ოფი. I წრე

# ლეიკერსმა გაიღვიძა



კობიმ 45 ქულა ჩააგდო

**აღმოსავლეთი**

| ორლან. (8)–დეტროიტი (1) | 77:93 |
|---|---|

23:23, 19:25, 19:23, 16:22

**ორლანდო:** ნელსონი (27 ქ), დ. ჰოვარდი (11 ქ. 12 მ), მილიჩიჩი (11 ქ), თურქოღლუ (10 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**დეტროიტი:** პრინსი (23 ქ. 7 მ. 5 პ. 3 ჩ), ბილაპსი (21 ქ. 6 მ. 2 ჩ), უებერი (15 ქ. 7 მ. 2 დ), რ. უოლასი (15 ქ. 6 მ), რ. ჰამილტონი (10 ქ), მაკდაიესი (4 ქ. 11 მ. 2 დ).

**სერია 0:3**

"დეტროიტმა" მშვიდად, ძალების მაქსიმალური დაზოგვით გაასამა სერიაში ანგარიში და ფლეი ოფის მეორე წრისთვის, **ფლიპ სონდერსის** გუნდს ნებისმიერ ოპონენტთან სოლიდური ფსიქოლოგიური უპირატესობა ექნება. მიჩიგანელებმა "მეჯიქს" მეთოდურად, გამოცდილებისა და ელემენტარული სათამაშო კლასის ხარჯზე მოუგეს, ხოლო სასტარტოს ხუთივე წევრმა 10 და მეტი ქულის დაგროვება მოახერხა.

"პისტონზს" ყველაფერი გამოსდიოდა, "ორლანდოს" კი - არაფერი. **დუაიტ ჰოვარდისთვის** ეს სერია ჭკუის სასწავლებლად და უამრავი მინუსის აღმოსაფხვრელად მშვენიერი საშუალება იქნება, რადგან ფლორიდელთა უნიჭიერესმა, მაგრამ "გამოუთლელმა" ცენტრმა უნდა შეიგნოს, რომ ფლეი ოფი არ არის რეგულარული, სადაც ის 20 ქულას (და მეტს) ლამის ყოველ მეორე შეხვედრაში უყრიდა თავს. ფლეი ოფში კი, ფოლების ინტენსიურობა მატულობს, რისთვისაც ახალგაზრდა მოთამაშეები ხშირად მზად არ არიან. სამწამიანში ცალ ფეხზე მარცხნივ ტრიალით, ფლეი ოფში 20 ქულას არავინ გაგაკეთებინებს, სხვა მხრივ კი, ჰოვარდის შემტევი არსენალი ბევრს არაფერს შეიცავს. გარდა ამისა, მან ხანდახან გუნდურ თამაშშიც უნდა მიიღოს მონაწილეობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელი პროგრესის ნაცვლად, თვალშისაცემ რეგრესს მიიღებს.

გამოცდილმა სტუმარმა მთლიანად გამოთიშა თამაშიდან "პისტონზის" ყოფილი კაპიტანი და ვარსკვლავი, დღეს კი "მეჯიქის" წევრი **გრანტ ჰილი.** ბევრი, თუმცა ჯანმრთელ გრანტს **ტაიშონ პრინსი** აედევნა და "სპრაიტის" სახემაც შეხვედრა 12-დან 10 არაზუსტი სროლით დაასრულა.

**დასავლეთი**

| იუტა (4)–ჰიუსტონი (5) | 81:67 |
|---|---|

23:17, 25:25, 13:10, 20:15

**იუტა:** ბუზერი (22 ქ. 12 მ), ჰარპრინგი (13 ქ. 7 მ), დ. უილიამსი (11 ქ. 8 პ. 7 მ. 2 ჩ), გირიჩეკი (10 ქ), ოქური (7 ქ. 4 ჩ. 4 დ).

**ჰიუსტონი:** მინი (26 ქ. 14 მ), მაკგრეიდი (24 ქ), ბეტიე (11 ქ. 2 დ).

**სერია 1:2**

სერიამ პირობითად მაინც დაიბრუნა ინტრიგა და თუ "ჯაზი" მეორე საშინაო მატჩშიც აჯობებს **ჯეფ ვან განდის** "როკეტსს"... შეიძლება აჯობოს კიდეც, თუ "ჰიუსტონმა" ისევე საშინლად ითამაშა, როგორც გუშინ. "როკეტსმა" გააკეთა ყველაფერი, რათა ეს მატჩი არ მოეგო.

სტუმრების დამრტყმელმა ძალამ - **ტრეისი მაკგრეიდიმ** და **იაო მინმა** თავისი წილი ქულები ამჯერადაც აკრიფა, მაგრამ სხვები? **ბეტიესა** და **ალსტონის** (45 წუთში 6 ქულა, 7 მოხსნა და 5 პასი) გარდა, სტუმართა რიგებში არავის გაუკეთებია თუნდაც ერთი (!) ქულა.

"ჯაზი" ჩვეულ ხისტ და რიგ ეპიზოდებში უხეშ კალათბურთს თამაშობდა, იაოს **მეჰმეთ ოქური** და **კარლოს ბუზერი** მონაცვლეობით აცლიდნენ არაქათს, ხოლო **დერონ უილიამსი** კი, წინა ორი მატჩის დარად, ამჯერადაც სამმაგ დუბლს წაეპოტინა.

**ჯერი სლოუნის** დამჯერმა ბიჭებმა, ზონური დაცვით სტუმრები მაქსიმალურად მოაშორეს სამწამიანს და იგივე იაოს ხშირად პერიმეტრიდან შეტევა უწევდა. შედეგად, ჩინელმა გიგანტმა 14 სროლიდან მხოლოდ 6 გამოიყენა. გარდა ამისა, "როკეტსმა" 18 შეცდომა დაუშვა, ყველაზე მეტჯერ (8) კი, ბურთი ჩინელმა ცენტრმა დაკარგა. მაკგრეიდიც ბევრს სცოდავდა, რაზეც მისი "ცოცხალი" ტყორცნების პროცენტული მაჩვენებელიც (23-ში 9) მეტყველებს.

რაც მთავარია, "ჯაზის" სათადარიგოებმა ოპონენტის რეზერვისტებს 33:0 (!) გადაუარეს.

მესამე მეოთხედის დასრულებამდე 5 წუთი და 26 წამი რომ რჩებოდა, ბეტიემ სამქულიანი გამოიყენა. აქედან მოყოლებული, "როკეტსს" თამაშიდან ზუსტი სროლა 10 წუთის განმავლობაში არ შეუსრულებია და "ჯაზის" გადამწყვეტი დარტყმაც სწორედ ამ სათამაშო მონაკვეთზე მოვიდა.

| ლეიკერსი (7)–ფინიქსი (2) | 95:89 |
|---|---|

17:31, 31:20, 26:19, 21:19

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (45 ქ. 6 მ. 6 პ), კ. ბრაუნი (19 ქ. 6 მ. 2 დ), ოდომი (18 ქ. 16 მ. 2 დ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (24 ქ. 10 მ. 2 დ), ბარბოსა (20 ქ), ნეში (10 ქ. 13 პ), მერიონი (10 ქ. 2 დ).

**სერია 1:2**

**კობი ბრაიანტი** თამაშის იშტაზე მოვიდა, **ლამარ ოდომმა** დაცვაში **შონ მერიონი** არ გაახარა (ამ უკანასკნელმა 12-დან 8 სროლა გააფუჭა), მაგრამ კალიფორნიელთა წარმატების მთავარი მიზეზი მაინც იმ მოთამაშეში უნდა ვეძიოთ, რომელიც თავის დროზე დრაფტის პირველი ნომერი იყო, მაგრამ იქედან მოყოლებული, ყოველი მხრიდან კრიტიკის ობიექტი იყო.

**კვამე ბრაუნმა** 34 წუთში, თამაშიდან 14-ში 8 სროლა შეასრულა ზუსტად და რაც მთავარია, თავისი მოულოდნელი აქტიურობით, "სანზის" თანაამპლუელი **ამარე სტაუდმაიერი** გადამეტებული პერსონალურების გამო დაცვაში ინერტული გახადა. ამარემ მესამე მეოთხედის ბოლოს მეოთხე ფოლი მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ დარჩენილ დროში აღარ დაჯარიმებულა, ბოლო 12 წუთში სტუმართა ვარსკვლავის მონაგარმა საცოდავი 2 ქულა და 1 მოხსნა შეადგინა, მის გარეშე კი "სანზმა" გაქცეული მასპინძლის დაწევა ვერ შეძლო.

ითამაშა საქართველოს ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა **შემონდ უილიამსმაც**, თუმცა "ლეიკერსის" უკანახაზელმა 24 წუთში ხუთივე სროლა გააფუჭა და მატჩი მხოლოდ 2 მოხსნითა და 3 შედეგიანი გადაცემით დაასრულა.

**ზურაბ თალაკვაძე**

ჰოკეი

NHL. ფლეი ოფი. კონფერენციების 1/2 ფინალი

# სტუმრების დღე

**აღმოსავლეთი**

| ნიუ ჯერსი (2)–ოტავა (4) | 4:5 |
|---|---|

1:4, 2:0, 1:1

**გოლები:** 0:1 სპეცა-3 (პრისინგი-3, ჰიტლი-3), 0:2 კორვო-1, 0:3 მაკამონდი-2, 0:4 ჰიტლი-3, 1:4 ზაიაცი-1 (ლანგენბრუნერი-5, პარიზე-1), 2:4 ჯონტა-6 (გომესი-8, პ. მარტინი-2), 3:4 ე. გრინი-2 (ლანგენბრუნერი-6, პარიზე-2), 3:5 რედენი-1 (სპეცა-3, ჰიტლი-4), 4:5 პარიზე-7 (გომესი-9, რაფალსკი-6).

**სერია 0:1**

"ოტავა" სტენლის თასის პირველ წრეში "პიტსბურგის" ახალგაზრდა ვარსკვლავ **სიდნი კროსბის** გაუმკლავდა და კონფერენციის ნახევარფინალში გავიდა, სადაც ახალი ბარიერი დახვდა **მარტინ ბროდოს** სახით. ცნობილია, რომ "ნიუ ჯერსი" სანახევროდ ამ მეკარის გუნდია და როცა ბროდოს თამაში მისდის, "ეშმაკების" დამარცხება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

"სენატორებმა" პირველ მატჩში ეს ბარიერიც დაძლიეს. ბროდოს აწიოკება ისინი პირველივე წუთებიდანვე შეუდგნენ და მატჩის დაწყებიდან 90 წამის შემდეგ, სტუმრები დაწინაურდნენ, ხოლო პირველი პერიოდის მე-16 წუთისთვის ანგარიში უკვე 4:0 იყო "ოტავას" სასარგებლოდ.

ასეთი სტარტის შემდეგ, მასპინძლები მაინც არ დაიბნენ და მეორე პერიოდის ბოლოსთვის, სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. ცოტაც, და "ნიუ ჯერსი" ანგარიშს გაათანაბრებდა, მაგრამ "ოტავას" სულზე მიუსწრო **რედენის** გოლმა და სტუმრებმა 5:3 წაიყვანეს ანგარიში. საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე **ზაკ პარიზეს** შაიბამ ვერაფერი შეცვალა. სტუმრებმა ნახევარი წუთი გაძლეს და ამ მოგებით საკუთარი მოედნის უპირატესობა მოიპოვეს.

**დასავლეთი**

| დეტროიტი (1)–სან ხოსე (5) | 0:2 |
|---|---|

0:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 მ. კარლი-2 (ჯ. ტორნტონი-7, ქლოუ-1), 0:2 გრირი-2 (რისმილერი-2, კ. ბრაუნი-2).

**სერია 0:1**

ამ მატჩშიც, გამარჯვებული პრაქტიკულად, პირველ პერიოდში გაირკვა, კერძოდ კი, იმ 24-წამიან ინტერვალში, რომლის განმავლობაშიც სტუმრებმა ორი გოლის გატანა მოახერხეს. არადა, I წრეში "კალგარისთან" სერიაში, საშინაო მატჩებს სწორედ "დეტროიტი" იწყებდა ასეთ სტილში - პირველი პერიოდში მოათავებდა საქმეს და დარჩენილ დროს ფორმალობად აქცევდა.

ორი გოლის შემდეგ, მთელი "სან ხოსე" დაცვაში ჩადგა და მხოლოდ კონტრშეტევებით პასუხობდა მეტოქეს, თუმცა, მაინცა და მაინც, არც ამით იკლავდა თავს. საბოლოო ჯამში, "დეტროიტის" მეკარე **დომინიკ ჰაშეკს**, სულ რაღაც 17 დარტყმის მოგერიება მოუწია, იმ დროს, როცა მისი რუსი ვიზავი - **ევგენი ნაბოკოვი** 34-ჯერ ჩაება თამაშში და ყველა დუელი მოუგო დეტროიტელებს. საბოლოოდ, ნაბოკოვმა ფლეი ოფში მეხუთე შატაუტი შეასრულა.

სანხოსელები მხოლოდ თავიანთი მეკარის იმედად არ ყოფილან - ამ გუნდის მცველები 18-ჯერ გადაეღობნენ "დეტროიტის" დარტყმებს.

"შარქსის" ეს გამარჯვება სულაც არ იყო მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეგულარულში "ზვიგენებმა" ოთხიდან სამი მატჩი მოუგეს "რედ უინგზს".



გრირი ნაბოკოვს ულოცავს

სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## კანადაში მორიგი შევსებაა

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, კანადის ნაკრებმა 2 ჰოკეისტი დაიმატა. ფინეთში გამართული შეკრების შემდეგ, შემადგენლობაში მოხვდნენ ჩრდილოეთ დაკოტას თავდამსხმელი **ჯონათან ტეივზი** და ფინეთის ჰკ-ში მოთამაშე მცველი - **კორი მერფი**.

კიდევ ოთხი ახალწვეული ჰოკეის ეროვნულ ლიგას წარმოადგენს: მეკარე **კრის მეისონი** ("ნეშვილი"), მცველი **ნიკ შულცი** ("მინესოტა") და ფორვარდები - **მეტიუ ლომბარდი** ("კალგარი") და **კოლბი არმსტრონგი** ("პიტსბურგი").

კანადის ნაკრების შემადგენლობაში სამი ვაკანსიაა დარჩენილი. გუნდის გენერალური მენეჯერი **სტივ აიზერმანი** ცარიელი ადგილების შევსებას მეორე ჯგუფური ეტაპისთვის აპირებს.

## ჩეხებმა დააკომპლექტეს

მსოფლიო ჩემპიონატისთვის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა ჩეხეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა - **ალოის გადამჩიკმა**. განაცხადში 11 ის ჰოკეისტი მოხვდა, რომლებიც შარშანდელ პირველობაზეც თამაშობდნენ.

25 ჩეხი მოთამაშის სია ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - რომან ჩეხმანეკი ("ტრშინეცი"), ადამ სვობოდა ("სლავია"), მარეკ პინცი ("ვიტკოვიცე")

**მცველები** - მიხალ ბარინკა ("ბერნი", შვეიცარია), მარეკ ჟიდლიცკი ("ნეშვილი", NHL), როსტისლავ კლესლა ("კოლამბუსი", NHL), რადეკ ჰამრი ("კლოტენი", შვეიცარია), იან პლატისი (ცსკა, რუსეთი), ზბინეკ მიხალეკი ("ფინიქსი", NHL), ლადისლავ შმიდი ("ედმონტონი", NHL), პეტრ ჩასლავა ("პარდუბიცე")

**თავდამსხმელები** - პეტრ გუბაჩეკი ("ბერნი", შვეიცარია), ზბინეკ ირგლი ("დავოსი", შვეიცარია), იაროსლავ ბედნარი ("სლავია"), ირჟი ნოვოტნი ("ვაშინგტონი", NHL), იაროსლავ ბალაშტიკი (ჰვ-71, შვედეთი), პეტრ ტენკრატი ("ბოსტონი", NHL), იან მარეკი ("მეტალურგი" მ, რუსეთი), დავიდ ვიბორნი ("კოლამბუსი", NHL), როსტისლავ ოლეში ("ფლორიდა", NHL), ტომაშ პლეკანეცი ("მონრეალი", NHL), პეტრ ჩაიანეკი ("სენტ ლუისი", NHL), იაროსლავ გლინკა ("სპარტა"), პეტრ სიკორა, ტომაშ როლინეკი (ორივე - "პარდუბიცე").

არ არის გამორიცხული, რომ ჩეხების რიგებში კიდევ მოხდეს ცვლილებები. მოლაპარაკებები გრძელდება ფილიპ კუბასთან ("ტამპა ბეი") და მარტინ ერატთან ("ნეშვილი"). თუ ამ ჰოკეისტებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები არ ექნებათ, მაშინ ისინი მეორე ჯგუფური ეტაპიდან შეუერთდებიან ჩეხეთის ნაკრებს.

კალათბურთი

## მემფისი ლარი ბრაუნს უმიზნებს

"მემფის გრიზლისის" მფლობელმა **მაიკლ ჰისლიმ** დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებს "ნიუ იორკ ნიქსის" ყოფილ მთავარ მწვრთნელ **ლარი ბრაუნთან**. ამასთან, ჰისლი სააგენტო "როიტერთან" საუბარში იმასაც აცხადებს, რომ თავისი გუნდის დამრიგებლის პოსტზე სხვა კანდიდატურებსაც განიხილავს.

*"ლარი ბრაუნი - ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელია NBA-ის ისტორიაში, მაგრამ მინდა სხვა კანდიდატურებიც განვიხილო"*, - ამბობს "მემფისის" ბოსი.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, "გრიზლისის" დამრიგებლის პოსტზე პრეტენზიას **მარკ იავარონიც** აცხადებს, რომელიც ამჟამად, "ფინიქსის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად მუშაობს.

## ბელინელი დრაფტზე გასვლას აპირებს

"ფორტიტუდოსა" და იტალიის ნაკრების მცველი - **მარკო ბელინელი** აცხადებს, რომ წლევანდელ დრაფტზე თავის კანდიდატურას წარადგენს.

თუ 21 წლის კალათბურთელს NBA-ის რომელიმე კლუბი აირჩევს, მაშინ ბელინელი მეორე იტალიელი გახდება, ვინც მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ შარშან, დრაფტის პირველი ნომერი **ანდრეა ბარნიანი** გახდა, რომელიც წელს "ტორონტოს" რიგებში თამაშობდა.

## ელისი ყველაზე პროგრესირებადია

NBA-ის თემაზე მომუშავე ჟურნალისტებმა 2006-07 წლების სეზონის ყველაზე პროგრესირებადი მოთამაშის პრიზის მფლობელი გამოავლინეს.

ჯილდოს მფლობელი გახდა "გოლდენ სტეიტ უორიორზის" მცველი **მონტა ელისი**, რომელმაც 352 ქულა მიიღო და სულ სამი ქულით აჯობა მეორე ადგილზე გასულ **კევინ მარტინს** ("საკრამენტო კინგზი").

ელისი 21 წლისაა და ის ამ პრიზის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი გახდა.

ჩოგბურთი

## მორესმო 7 მაისს დაბრუნდება

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, კორტს უბრუნდება მსოფლიო კლასიფიკაციის მესამე ნომერი - ამელი მორესმო. როგორც ცნობილია, ფრანგმა 18 მარტს, აპენდიციტის ოპერაცია გაიკეთა.

მორესმოს ტურში დაბრუნება 7 მაისს აქვს გადაწყვეტილი, როცა ბერლინში სტარტს აიღებს WTA-ს მორიგი ტურნირი. ამის შესახებ ჩოგბურთელის ოფიციალურ ვებ-გვერდში წერია. ადრე ვარაუდობდნენ, რომ ამელი მომავალ ორშაბათს, ვარშავას ტურნირში ჩაებმებოდა, მაგრამ ჩოგბურთელმა აღდგენითი პროცესის ერთი კვირით გახანგრძლივება გადაწყვიტა.

# ჩოგბურთი

ტურნირები

**WTA**

**ბუდაპეშტის გრან-პრი**

ბუდაპეშტი (უნგრეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 ევრო

**1/8 ფინალი**

**სორანა კრისტეა (რუმ)**-მარტინა მიულერი (გერ, 2) 3:6, 6:2, 6:2; **ემილი ლუა (საფ, 4)**-ანდრეა კლეპაჩი (სლოვენ) 7:5, 7:5; **ელენი დანილიდუ (საბ, 5)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:4, 6:2; **ხისელა დულკო (არგ, 6)**-მარტინა სუხა (სლოვაკ) 3:6, 6:2, 6:4; **აგნეს ჟავაი (უნგ)**-იულია ბეიგელციმერი (უკრ) 6:3, 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

დულკო (6)-სავჩუკი; ლუა (4)-ჟავაი; კნაპი-კრემერი; დანილიდუ (5)-კრისტეა.

**ATP**

**Open SEAT 2007**

ბარსელონა (ესპანეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 850 500 ევრო

**1/8 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:1, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 2)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 7:6 (5), 7:6 (6); **აგუსტინ კალერი (არგ, 15)**-ტომი რობრედო (ესპ, 3) 6:4, 2:6, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 4)**-კარლოს მოია (ესპ, 16) 6:4, 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-ბორის პაშანსკი (სერ) 6:2, 7:5; **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**-იარკო ნიემინენი (ფინ, 6) 6:1, 6:7 (6), 6:3; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 8) 6:4, 7:6 (10); **გილერმო კანიასი (არგ, 12)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 7:5, 6:3.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ნადალი (1)-სტარაჩე; ნალბანდიანი (4)-ფერერი (5); კალერი (15)-ერნანდესი; დავიდენკო (2)-კანიასი (12).

**Grand Prix Hassan II**

კასაბლანკა (მაროკო). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

**1/8 ფინალი**

**დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ, 1)**-სლიმან საუდი (ალჟ) 7:5, 7:6 (2); **ხოსე აკასუსო (არგ, 2)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:4, 6:4; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-ნიკოლას მასუ (არგ, 7) 6:1, 2:1 მასუს უარი; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 8)**-ედუარდ როჟე ვასელინი (საფ) 4:6, 6:3, 6:4.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ჰრბატი (1)-მონტანიესი; რამირეს იდალგო-გროსჟანი; ბენეტო (3)-ჟიკელი (5); აკასუსო (2)-მატიო (8).



სოკ-ის კოორდინატორი ჰაინ ვერბრუგენი და პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შეფი ძიან სიაუ ჩირაღდანს წარმოგვიდგენენ

პეკინი 2008

# ტაივანი ოლიმპიურ ჩირაღდანს არ მიიღებს

პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა საზოგადოებას წარუდგინეს ოლიმპიური ჩირაღდანი და მისი მოგზაურობის მარშრუტი. ჩირაღდანი ოლიმპიადის დაწყებამდე 130 დღეს გაატარებს გზაში და სანამ პეკინს მიაღწევდეს, 137 000 კილომეტრს გაივლის. ამგვარად, ეს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში, ოლიმპიური ჩირაღდნის ყველაზე ხანგრძლივი და შორეული მოგზაურობა იქნება. ყველაფერთან ერთად, მისი პლანეტის უმაღლეს პიკზე, ევერესტზე ატანაცაა დაგეგმილი.

სამაგიეროდ, ოლიმპიური ჩირაღდნის მიღებაზე უარი განაცხადა ტაივანის ხელისუფლებამ, რომელმაც თავისი ეს ნაბიჯი შემდეგნაირად ახსნა. *"ჩინეთი ცდილობდა, ჩირაღდნის მარშრუტი ისე დაეგეგმა, რომ ჩინეთის ტაიპეი (ტაივანის ოფიციალური სახელწოდებაა) ჩინეთის შემადგენელ ნაწილად წარმოედგინა. ამაზე თანხმობის მიცემა კი ჩვენ არასგზით არ შეგვეძლო"*, - ნათქვამია ჩინეთის ტაიპეის ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში.

ევერესტის გარდა, ოლიმპიური ჩირაღდნის მარშრუტში შეტანილია ყველა კონტინენტი, რომლებსაც ის სიმბოლურად, თითო გაჩერებით მოივლის. ტაივანამდე მარშრუტს ჩინეთის საზღვრებს გარეთ უნდა ემოგზაურა, შემდეგ კი ჩინეთში შევიდოდა, სადაც 113 გაჩერებაა დაგეგმილი, მათ შორის, ჰონ კონგსა და მაკაუშიც.

შეგახსენებთ, რომ ეს ორი ქალაქი ადრე ევროპელთა კოლონიები იყო (ჰონ კონგი ბრიტანეთისა, მაკაუ კი - პორტუგალიისა), ახლა კი ფორმალურად ჩინეთის ტერიტორიად მოიაზრებიან. თუმცა სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონის სტატუსს ატარებენ და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ბევრი ატრიბუტიც გააჩნიათ.

რა თქმა უნდა, ჩირაღდნის მარშრუტის მთავარი, დამაგვირგვინებელი ნაწილი ოლიმპიადის გახსნის ცერემონიას ემთხვევა და მისი კულმინაცია პეკინის ეროვნულ სტადიონზე ოლიმპიური კოცონის დანთება იქნება.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიური ჩირაღდნის მარშრუტის განხილვის დაწყებამდე, ტაივანის ოლიმპიურმა კომიტეტმა პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებს გაუგზავნა შეტყობინება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ტაივანი მარშრუტში შესვლაზე უარს იმ შემთხვევაში იტყვის, თუ კუნძულზე ჩირაღდნის შესვლის წინა, ან გამოსვლის შემდგომი პუნქტები ჰონ კონგი, მაკაუ, ან ჩინეთის რომელიმე რეგიონი იქნებოდა.

ტაივანის მთავრობამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ პეკინის ოლიმპიური თამაშების მზადების პროცესში, ჩინეთი მუდმივად უგულვებელყოფს ტაივანის ინტერესებს და ყოველთვის ცდილობს კუნძულოვანი სახელმწიფოს დამცირებას, რაც ტაივანისთვის მიუღებელია.

პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შეფმა **ძიან სიაუმ** ჩირაღდნისა და მისი მარშრუტის წარდგენის ოფიციალურ ცერემონიაზე განაცხადა, რომ ტაივანის ოლიმპიური კომიტეტისგან ჩირაღდნის მარშრუტთან დაკავშირებით, წინასწარი თანხმობა ჰქონდა მიღებული. მანვე იმედი გამოთქვა, რომ მისი *"ტაივანელი თანამემამულეები შეცვლიან გადაწყვეტილებას და ჩირაღდანს კუნძულზე მოგზაურობის საშუალებას მისცემენ"*. მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტაივანელთა უარი *"არ შეესაბამება ოლიმპიურ სულისკვეთებას"*.

აღნიშნულ სიტუაციასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა და განაცხადა, რომ ამ ეტაპზე, ეს უადგილო და მიუღებელი იქნებოდა.

რაც შეეხება ჩირაღდნის მოგზაურობის მარშრუტის დანარჩენ ნაწილს, ჩინეთის ტერიტორიაზე ის "აბრეშუმის გზაზეც" იმოგზაურებს. მის გარეთ კი ამ გზის მხოლოდ ნაწილს მოივლის და ისიც, საჰაერო ტრანსპორტით (ალმატიდან ისტანბულამდე).

მისი მოგზაურობა კი, რა თქმა უნდა, ანტიკურ ოლიმპიას მთაზე დაიწყება, სადაც ჩირაღდანს აანთებენ ათენის გზას გაუყენებენ, იქიდან კი პეკინში გააფრენენ. სწორედ პეკინში დაიწყება ჩირაღდნის მოგზაურობის ოფიციალური ნაწილი. რა თქმა უნდა, ჩირაღდნის მოგზაურობის მარშრუტში ტიბეტის რეგიონიცაა შეტანილი, რომელიც ჩინეთის ნაწილი წინა საუკუნის 1950-იან წლებში გახდა.

ოლიმპიური ჩირაღდანი 25 მარტს აინთება, მოგზაურობას კი 31 მარტს პეკინიდან დაიწყებს. პეკინშივე, ოლიმპიური კოცონი 8 აგვისტოს აგიზგიზდება.

რაც შეეხება საკუთრივ ჩირაღდანს, მარშრუტთან ერთად, ორგანიზატორებმა თავად ჩირაღდნის დიზაინის პრეზენტაციაც ჩაატარეს. ჩირაღდნის დიზაინის კონკურსში 300-ზე მეტი კონკურსანტი მონაწილეობდა, რომელთაგან ოლიმპიადის ორგანიზატორებმა უპირატესობა კომპიუტერების მწარმოებელ კომპანია "ლენოვოს" დიზაინერების ნამუშევარს მიანიჭეს. ჩირაღდნის სიმაღლე 70 სანტიმეტრია და ის ერთგვარ პაპირუსის გრაგნილს მოგვაგონებს. სიმბოლურადაც ის სწორედ გრაგნილია, რითაც მითითებულია ჩინეთის დამსახურება კაცობრიობის წინაშე - ქაღალდის გამოგონება ხომ სწორედ ჩინეთს მიეწერება.

ჩირაღდნის შექმნაზე "ლენოვოს" 34-მა დიზაინერმა მიიღო მონაწილეობა, რომლებმაც ერთი წლის განმავლობაში, 30 ცალი კონცეპტუალური ნიმუში შექმნეს. სწორედ მათ შორის შეირჩა საუკეთესო ვარიანტი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჩირაღდნის კონკურსში.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## TV სპორტი

### 28 აპრილი. შაბათი

#### I არხი

16:50 კალათბურთი. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).

#### იმედი

16:30 კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა

#### მზე

15:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-შალკე.
14:10 საფეხბურთო კლუბი.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-ვესტ ჰემი (LIVE).
19:55 იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-მილანი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბეტისი (LIVE).
23:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:10 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ლივერპული.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:00 ფეხბურთი. Barca-TV. ჩავი.
09:48 სპორტინფორმი.
09:53 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ვერდერი.
11:40 სპორტის ისტორია.
11:50 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:23 სპორტის სამყარო.
13:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ბუდაპეშტი. უნგრეთი (LIVE).
16:11 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:37 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი (LIVE).
19:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:00 ფეხბურთი. Barca-TV. ჩავი.
21:05 პროფესიული კრივი. ნოკაუტების ჟამი.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბეტისი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეკრეატივო (LIVE).
02:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. დეტროიტი-სან ხოსე.
03:47 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
04:18 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
04:43 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბოხუმი-შალკე.
06:30 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

#### EUROSPORT

09:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
10:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი.
12:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
13:30 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
15:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი.
16:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 მულტისპორტი.
20:00 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. მურსია. ესპანეთი (LIVE).
21:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 მულტისპორტი.
00:45 ბრძოლა წესების გარეშე.

#### EUROSPORT-2

06:30 სუმო.
08:00 მულტისპორტი.
09:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ოიტა-გამბა (LIVE).
11:00 მულტისპორტი.
11:45 სუმო.
13:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ოიტა-გამბა.
14:15 ახალი ამბები.
15:00 მულტისპორტი.
15:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ოიტა-გამბა.
16:30 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-როჩესტერი.
18:00 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. მე-3 ადგილისთვის. მურსია. ესპანეთი (LIVE).
19:30 ფრისტაილ-მოტოკროსი.
20:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ასენი. ჰოლანდია.
21:00 ახალი ამბები.
21:30 მულტისპორტი.
22:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ოიტა-გამბა.
23:00 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. მე-3 ადგილისთვის. მურსია. ესპანეთი.
00:00 ახალი ამბები.
00:15 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. მურსია. ესპანეთი.
01:15 ახალი ამბები.
01:30 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-როჩესტერი.
03:00 ახალი ამბები.

### 29 აპრილი. კვირა

#### I არხი

21:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ლევანტე (LIVE).

#### რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

#### მზე

19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ფულჰემი (LIVE).

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

10:15 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-მანჩესტერ იუნ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 არგენტინის ჩემპიონატი. როსარიო-რივერ პლეიტი.
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰამბურგი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ექსელსიორი-ალკმაარი (LIVE).
18:20 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ფულჰემი (LIVE).
20:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლანსი (LIVE).
22:55 პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-სპორტინგი (LIVE).
00:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვენი-ფეიენოორდი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:31 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
08:06 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. ანაჰაიმ-ვანკუვერი.
09:56 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
11:46 ფეხბურთი. Barca-TV. ჩავი.
13:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
15:30 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
16:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
17:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ესპანიოლი (LIVE).
20:55 სპორტის ისტორია.
21:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალის მიმოხილვა.
22:02 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ემპოლი (LIVE).
00:25 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-რეალი.
02:12 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
02:47 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
04:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ესპანიოლი.
07:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.

#### EUROSPORT

09:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი.
10:30 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
12:00 სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ამსტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
13:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. ასენი. ჰოლანდია (LIVE).
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. უეფას თასი. საპასუხო მატჩი. არსენალი (ინგლისი)-უმეა (შვედეთი) (LIVE).
16:00 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია (LIVE).
18:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
19:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ასენი. ჰოლანდია (LIVE).
20:30 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
20:45 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი.
21:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
00:00 კრივი. ზემძიმე წონა. ე. ჰოლიფილდი (აშშ)-ვ. მედელოუნი (აშშ). აშშ.
00:45 სუმო.
01:45 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

#### EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
10:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი.
11:30 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ასენი. ჰოლანდია (LIVE).
12:15 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი.
13:15 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. მურსია. ესპანეთი.
13:45 ახალი ამბები.
14:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ასენი. ჰოლანდია (LIVE).
15:00 ახალი ამბები.
15:15 ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალადოლიდი (ესპანეთი)-ჰამბურგი (გერმანია) (LIVE).
16:45 ახალი ამბები.
17:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კასტელეტი და ბრანდტული. იტალია (LIVE).
18:00 მინი-ფეხბურთი. უეფას თასი. ფინალი. მურსია. ესპანეთი.
19:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ციუდადრეალი.
20:30 ავსტრალიური ფეხბურთი.
22:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-როჩესტერი.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფინალი. საპასუხო მატჩი. კილი (გერმანია)-ფლენსბურგი (გერმანია).
00:00 ახალი ამბები.
00:15 ხელბურთი. თასების მფლობელთა თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. ადემარ ლეონი (ესპანეთი)-ჰამბურგი (გერმანია).
01:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| სანდერლენდი-ბარნსლი | 3:2 |
| **I ლიგა** | |
| ნორთჰემპტონი-ჰადერსფილდი | 1:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ვერონა-იუვენტუსი | 0:1 |
| ჯენოა-ტრევიზო | 2:1 |
| **გერმანია** | |
| ბოხუმი-შალკე | 2:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ბრაუნშვაიგი-ბურგჰაუზენი | 3:1 |
| კარლ ცაისი-დუისბურგი | 3:3 |
| პადერბორნი-აუე | 1:0 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰერტა II-მაგდებურგი | 0:2 |
| სტ. პაული-ალენი | 3:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ფულენდორფი-ელვერსბერგი | 1:1 |
| შტუტგარტი II-კაიზერი II | 3:2 |
| დარმშტადტი-აალენი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-გინგამი | 3:1 |
| ბასტია-აიაჩო | 4:1 |
| ბრესტი-ისტრი | 0:0 |
| დიჟონი-კრეტეი | 1:1 |
| ლიბურნი-სტრასბური | 1:0 |
| მონპელიე-შატორუ | 1:3 |
| ნიორი-ზური | 0:0 |
| რეიმსი-გრენობლი | 0:1 |
| მეცი-ჰავრი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ომნიუორლდი | 4:1 |
| გრააფსხაპი-მაასტრიხტი | 3:3 |
| ემენი-ვენლო | 1:2 |
| ეინდჰოვენი A-აპელდოორნი | 4:1 |
| ვოლენდამი-დენ ბოში | 2:1 |
| ფორტუნა-ვეენდამი | 0:2 |
| იგლზი-დორდრეხტი | 0:3 |
| ჰაარლემი-ცვოლე | 1:3 |
| როსენდალი-ტელსტარი | 3:1 |
| ტოპ ოსი-ჰელმონდი | 1:3 |
| **ბელგია** | |
| სტანდარდი-ბეერსხოტი | 2:2 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-ლეირია | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ვიკინგეტი-ჰონკა | 3:2 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აუსტრია (ლ)-ადმირა | 3:0 |
| ჰარტბერგი-ლუსტენაუ | 3:1 |
| კერნტენი-კაპფენბერგი | 2:0 |
| ლინცერი-აუსტრია A | 0:2 |
| ლეობენი-გრატკორნი | 3:0 |
| პარნდორფი-შვანენშტადტი | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კონკორდია-კიასო | 1:2 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-გალვეი | 0:1 |
| დერი-ბოჰემიანსი | 0:0 |
| დროგედა-კორკი | 2:2 |
| სტ. პატსი-შემროკი | 2:1 |
| დუბლინი-ლონგფორდი | 2:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ტრენჩინი-ტრნავა | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| ვისლა-ლეგია | 3:1 |
| **სლოვენია** | |
| ფაქტორი-ნაფტა | 2:0 |
| **უნგრეთი** | |
| ვასი-უიპეშტი | 3:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-ლე მანი | 82:76 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| აშშ-ავსტრია | 6:2 |
| უკრაინა-ფინეთი | 0:5 |
| ბელარუსი-ჩეხეთი | 2:8 |
| რუსეთი-დანია | 9:1 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ბარსელონა** | |
| ფერერი-ნალბანდიანი | 7:6, 6:2 |
| ნადალი-სტარაჩე | 6:2, 7:5 |
| ერნანდესი-კალერი | 0:6, 3:6 |
| კანიასი-დავიდენკო | გადაიდო |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| აკასუსო-მატიო | 6:7, 4:6 |
| ჟიკელი-ბენეტო | 3:6, 6:1, 6:1 |
| გროსჟანი-რამ. იდალგო | 6:1, 5:7, 6:7 |
| მონტანიესი-ჰრბატი | 7:6, 6:3 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| ლუა-ჟავაი | გადაიდო |
| კნაპი-კრემერი | 6:2, 6:1 |
| დულკო-სავჩუკი | 6:3, 6:4 |
| დანილიდუ-კრისტეა | 6:2, 1:6, 4:6 |

# მამები და შვილები

...გასული საუკუნის 80-იან წლებში გენიალური **დიეგო მარადონას** ზეობის პერიოდი დადგა. ამასთან, სწორედ ამ დროს მოხდა მართლაც უმაღლესი კლასის ცენტრალური მცველების გამობრწყინებაც; ანუ, თანამედროვე ფეხბურთმა მცველებისგან უშუალო ფუნქციების გარდა, სხვა კომპონენტების შესრულებაც "მოითხოვა": საკუთარი საჯარიმოდან ბურთის ამოტანა ზუსტი პასით, საკუთარი გუნდის შეტევებში მაქსიმალურად ხშირი მონაწილეობა და სტანდარტული მდგომარეობების ეფექტიანად შესრულება. ამ ამპლუაში იმ დროისთვის ხუთი ვარსკვლავი თამაშობდა - **დანიელ პასარელა, გაეტანო შირეა, მარიუს ტრეზორი, ბრუნო პეცაი** და **ული შტილიკე.** აი, ამ ხუთეულს თუ არ ჯობდა, ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა თბილისის "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი **ალექსანდრე ჩივაძე.** ის მართლაც დიდი კაპიტანი იყო, გუნდის უპირობო ლიდერი, რომელმაც კარიერა მარჯვენა ნახევარმცველად დაიწყო და მერე კი საერთაშორისო დონის ცენტრალურ მცველად ჩამოყალიბდა. ჩივაძე დაცვაში შეუდარებელი იყო, ზუსტი პასის კულტურაც ჰქონდა და შეტევა ხომ მისი სტიქია იყო! ვინ მოსთვლის, რამდენი გოლი გაუტანია; საკუთარი საჯარიმოდან დაიძრებოდა და შორეული და ძლიერი დარტყმით ბურთს ზუსტად გზავნიდა მეტოქის კარში. ალექსანდრე ჩივაძის უფროსი ვაჟი, **სანდრო,** მამის მსგავსად, ცენტრალურ მცველად მოგვევლინა. ჯერ "დინამო2-ში" ჩაირიცხა, მალე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უხმეს, მაგრამ ჩინებული ფიზიკური მონაცემების მქონე მცველმა კარიერა, ფაქტობრივად, 20 წლის ასაკში დაასრულა. სამაგიეროდ, მისი ძმა - გიორგი დღესაც თამაშობს; თანაც, **გიორგი ჩივაძე** ძმისა და სახელოვანი მამისგან განსხვავებით, სხვა ამპლუის მოთამაშეა - ტიპური გამთამაშებელია. ცოტა ფიზიკურ კონდიციებში მოიკოჭლებს, თორემ შარშან ("ლოკომოტივში") და წლეულსაც ("მერანში") არაერთხელ დაამტკიცა თავისი ჩინებული ტექნიკური შესაძლებლობები.

**თენგიზ სულაქველიძე** ქართულ ფეხბურთში თავისებური "პიონერი" იყო - მანამდე მსგავსი უნივერსალი მოთამაშე არა გვყოლია. ჰო, ეგრე იყო - ამ მართლაც "არანორმალური" ფიზიკური მონაცემების ფეხბურთელს დაცვასა და ნახევარდაცვაში ყველა პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით რომ შეეძლო თამაში. თავიდან მის პლუსად მხოლოდ ჯანი და გამძლეობა ითვლებოდა, მერე კი ყველა კომპონენტში დაიხვეწა და ერთი-მეორეზე ლამაზი გოლებიც გვაჩუქა ("ფეიენოორდთან" ორი ზღაპრული გოლი გახსოვთ?). არადა, კარგად გვახსოვს, ქართველ ქომაგთა არცთუ მცირე ნაწილი როგორ სკეპტიკურად შეხვდა 1978 წელს "ჭომას" თბილისის "დინამოში" გადმოყვანას. სამაგიეროდ, **ნოდარ ახალკაცმა** იცოდა თავის გუნდში ვინ და როდის მიეწვია. აი, **ვახტანგ ქორიძე** რომ ათამაშდა 27 წლის ასაკში - მაშინდელი "დინამო" ხომ წარმოუდგენელი იყო ფიზიკურად ძლიერი და დაუღალავი ნახევარმცველით. ქორიძეზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბროთ, მანამდე კი ისიც ვთქვათ, რომ **თენგიზ სულაქველიძის** ვაჟიც, უმცროსი **თენგიზ სულაქველიძე** მამის კვალს გაჰყვა და 17 წლისა "დინამო 2-ში" გამოჩნდა. ტანმაღალი ჭაბუკი ამპლუით ცენტრალური მცველი იყო და ერთი პერიოდი საქართველოს სხვადასხვა ნაკრებშიც თამაშობდა. თუმცა ძალიან მალე დაასრულა კარიერა და ამჟამად მწვრთნელად მუშაობს მამასთან ერთად. თანაც, დიღომში მდებარე თენგიზ სულაქველიძის აკადემია საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა...

..."საუკუნის ბომბარდირი" - აი, ასე ვუწოდეთ **რამაზ შენგელიას.** შენგელიას გოლის ალღოს მართლაც განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა. წლების განმავლობაში მეტოქეთა მცველებს ვერაფრით აეხსნათ, თუ როგორ ახერხებდა შენგელია მათი მარწუხებიდან დასხლტომას. თანაც, ქართველი ფორვარდი გადაწყვეტილებას წამებში იღებდა და გოლი გოლს მოსდევდა. აღარ გვინდა მის ტიტულებზე საუბარი, სამწუხაროდ მხოლოდ ის არის, რომ ქართულ ფეხბურთში შენგელიას დონის გოლიადორი არ გამოჩნდა. არადა, იმედებს ბევრზე ვამყარებდით, აი, თუნდაც მის ვაჟზე - **გიორგიზეც.** მამის მსგავსად, გიორგიც ფორვარდია, მაგრამ შენგელიას გვარს რომ ატარებს, ამიტომ ვითხოვდით მისგან უფრო მეტს. სხვათა შორის, ძალიან კარგად დაიწყო - 18 წლისა უკვე ქუთაისის "ტორპედოს" ძირითადში თამაშობდა. სამწუხაროდ, სტაბილურობა აკლდა და გუნდების ("მრეტები", "ტორპედო", "დინამო", "სამგურალი", "ლოკომოტივი", "სიონი") ხშირმა ცვლამაც ნეგატიურად იმოქმედა. გარკვეული პერიოდი კვიპროსზეც თამაშობდა, ამჟამად კი ისრაელში ასპარეზობს და არცთუ ურიგოდ.



სულაქველიძეები



მეგრელაძეები

ზემოთ ვახტანგ ქორიძე ვახსენეთ და მის ვაჟზე - **გელაზეც** უნდა ვთქვათ. მით უმეტეს, რომ ამ ბრძოლისუნარიანმა და დაუღალავმა ნახევარმცველმა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 14 სეზონი ჩაატარა. სადაც კი უთამაშია ("მრეტები", "მერანი", "ლოკომოტივი"), ყველგან ბოლომდე იხარჯებოდა; ჩვენი ჩემპიონატის დონეზე ერთობ გამორჩეულ "საყრდენს" ერთადერთ მინუსად კი ზედმეტად ხისტი თამაში უნდა ჩავუთვალოთ. თუმცა, მეორეს მხრივ, დღესდღეობით, ქართულ ფეხბურთში ბევრი არც არის ისეთი ფეხბურთელი, გელა ქორიძის მსგავსად მოედნის თითოეულ მონაკვეთზე თავგანწირვით რომ იბრძოლოს.

...1982 წელი იყო, თანაც, თუ არ ვცდებით, აპრილი; "დინამო" საკავშირო ჩემპიონატის მატჩში კრასნოდარის "ყუბანს" ხვდებოდა და გუნდები შესვენებაზე რომ მიდიოდნენ, ტრიბუნაზე ვიღაცამ ჩაილაპარაკა: მორჩა, დათო მეორე ტაიმში აღარ გამოვა და საერთოდაც, ეს მისი ბოლო მატჩი იყოო... ძნელი კი არა, დაუჯერებელი იყო იმ გულშემატკივრის მართლაც თავზარდამცემი ინფორმაცია, რომელიც, სამწუხაროდ... გამართლდა! ყოველთვის უჭირდა ამ სტრიქონების ავტორს **დავით ყიფიანზე** წერა; უჭირდა და უძნელდებოდა ერთადერთი მიზეზის გამო - დავით ყიფიანი ძალიან დიდი ფეხბურთელი იყო! დიდი არა მარტო ქართული თუ საკავშირო, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. იმედია, უფროსი თაობის ქომაგები დაგვეთანხმებიან, როცა ვიტყვით, რომ ქართულ ფეხბურთს ევროპის დონის ვარსკვლავი ჰყავდა; ფეხბურთელი, რომელიც თავის თამაშითაც სიამოვნებას იღებდა და ხალხსაც იგივეს ანიჭებდა. მისი თამაში უფრო ხელოვნებას წააგავდა; ხელოვანის ხვედრი კი ყოველთვის და ყველგან ერთი იყო - მის წინაალმდეგ ბრძოლა ყველა დასაშვები და დაუშვებელი მეთოდებით...

დავით ყიფიანს სამი ვაჟი დარჩა, სამივემ ფეხბურთი აირჩია, თუმცა მათი კარიერა არაერთგვაროვნად წარიმართა. ძმებში უფროსზე - **ლევანიზე** სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ. თანაც სახელოვანი მამის მსგავსად ლევანიც "კლასიკური" ათი ნომერი იყო და იმ მართლაც ლამაზ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში არაერთი შთამბეჭდავი მატჩიც ჩაატარა "შევარდენის" შემადგენლობაში. განსაკუთრებული შეხვედრა კი თბილისის "იბერიასთან" (მაშინდელ "დინამოსთან") ჰქონდა, რომელსაც... დავით ყიფიანი წვრთნიდა. აი, იმ მატჩში ლევან ყიფიანმა იშვიათი სილამაზის გოლი გაიტანა **ზაურ ხაპოვის** კარში და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გოლი დღემდე ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში. ლევან ყიფიანმა ოთხი არცთუ ურიგო სეზონი გაატარა "შევარდენში", მერე ცოტა ხნით "დინამოშიც" ითამაშა, მაგრამ 26 წლისამ ფეხბურთს თავი გაანება. **ნიკუშა ყიფიანიც** ეროვნულ ჩემპიონატში გამოჩნდა: ჯერ თსუ-ში იყო, მერე "მერანსა" და "ალაზანში", მაგრამ იგიც ადრე შეეშვა აქტიურ სპორტს. სასიხარულოა, რომ ლევანიცა და ნიკუშაც დღესაც ფეხბურთში მოღვაწეობენ, ხოლო ყიფიანების უმცროსი წარმომადგენელი, **გიორგი** ერთობ იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლება.

...მსოფლიო სპორტის ისტორიაში, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელია ის შემთხვევები, როცა ერთ გუნდში... მამა-შვილი თამაშობდნენ. კანადური ჰოკეის ლეგენდამ **გორდი ჰოუმ** მანამდე არ დაასრულა თავისი ხანგრძლივი კარიერა, სანამ შვილთან და ძმისშვილთან ერთად არ ითამაშა! "ბარსელონას" თავდამსხმელ **ეიდურ გუდიონსენმა** კი ისლანდიის ნაკრებში სადებიუტო შეხვედრაში... მამა შეცვალა. თუმცა რა "გვინდა" კანადა-ისლანდიაში, როცა საქართველოში უნიკალური მოვლენის მოწმენი გავხდით. **მერაბ მეგრელაძეს** სადაც კი უთამაშია ("მერცხალი", "გურია", "ტორპედო"), "გოლების მანქანას" უწოდებდნენ. თანაც, მისთვის სულ ერთი იყო, საკავშირო პირველობის მეორე ლიგა იქნებოდა, პირველი თუ უმაღლესი. 1982 წელს უმაღლეს ლიგაში 18 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა შორის მხოლოდ **ანდრეი იაკუბიკს** ჩამორჩა. მერე, ეროვნული ჩემპიონატი რომ დაიწყო, უკვე აქ გააგრძელა სეზონში 30-30 გოლის გატანა. 1995 წელს კი "ტორპედო"-"დინამოს" შეხვედრაში მამა-შვილი მეგრელაძეების "ტანდემიც" ვიხილეთ! მერაბი 38 წლის იყო, **გიორგი** -16-ის და შემდეგ სეზონშიც რამდენჯერმე ისე მოხდა, რომ "ტორპედოს" გამარჯვება მამა-შვილის გოლებმა მოუტანეს. სხვათა შორის, 1996-97 წლების ჩემპიონატში "ტორპედომ" მეტოქეთა კარში 70 გოლი გაიტანა და ეს ძირითადად სამი ახალგაზრდა ფორვარდის (**მიხეილ აშვეთია,** გიორგი შენგელია, გიორგი მეგრელაძე) და უკვე მეოთხე ათეულ წელში გადამდგარი მერაბ მეგრელაძის დამსახურება იყო. საქართველოში არა, მაგრამ ესტონეთში ასპარეზობისას ასევე ერთად თამაშობდნენ მამა-შვილი **კორღალიძეებიც! ოთარ კორღალიძემ** საკავშირო ჩემპიონატების სკოლაც ("ტორპედო", "გურია", "დინამო") გამოიარა და ეროვნულშიც რამდენიმე შთამბეჭდავი სეზონი ჩაატარა. 1992 წელს სულაც საუკეთესო ბომბარდირი გახდა, თანაც, 40 გოლი ამპლუით ნახევარმცველისთვის ჩინებული შედეგია. სასიამოვნოა, რომ მის გზას აგრძელებს ვაჟიც - **ლევანმა** ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის ჩემპიონატშიც მოასწრო თამაში. საქართველოს ეროვნული ნაკრებიც დააჭაშნიკა და ახალგაზრდულში ხომ ერთ-ერთი ლიდერიც იყო. ასევე გრძელდება სხვა დინასტიებიც: ლანჩხუთის "გურიას" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის **თემურ ჩხაიძის** უფროსი ვაჟი **ლაშა** ამჟამად ფინეთშია; თბილისის "დინამოს" ყოფილი მეკარის **კარლო მჭედლიძის** ორივე შვილი - **ლევანი** და **გიორგი** იტალიური "ემპოლის" ახალგაზრდულ გუნდში არიან; კვლავაც აგრძელებენ საზღვარგარეთულ კარიერას ძმები **ალადაშვილები: კახა** - გერმანიაშია, **ლაშა** - საბერძნეთში. იმასაც შეგახსენებთ, რომ მათი მამა - **იასონ ალადაშვილი** 17 სეზონის განმავლობაში რუსთავის "მეტალურგის" სიმბოლოდ ითვლებოდა.

მამების გზა გააგრძელეს აგრეთვე **მალხაზ მახარაძის, მალხაზ არზიანის, გია გურულის, ნოდარ ჭელიძის, ასლან ბალაძისა** და **კახა ცხადაძის** ვაჟებმა. ფეხბურთელი იყო **ილია რუხაძის** ვაჟიც, **თორნიკეც,** რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დაიღუპა.

და, რაც მთავარია, ტენდენცია გრძელდება - უკვე დიდი ფეხბურთის ზღურბლთან არიან **გელა კეტაშვილის, გოჩა ჯოხაძის, რევაზ ჩელებაძის, გია ჯიშკარიანისა** და **გიორგი ნემსაძის** ვაჟები. და ეს ტენდენციაც, ალბათ, კიდევ გაგრძელდება...

**გია ტუხაშვილი**

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა